ლიტერატურული გაზეთი

№15 (127) 1 აგვისტო - 4 სექტემბერი 2014 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი

ირაკლი სამსონაძე

აპრილის ქარები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

13 აპრილი

1988 წელი.

ქუთაისის ძირძველმა მკვიდრმა, რამდენიმე ცეხის პატრონმა, დიმიტრი კა...ძემ, მეტსახელად ტრულაილამ, ულვაშმოკოხტავებულმა, სუფთად პირგაპარსულმა კაცმა, ქელეხის გადახდა გადაწყვიტა თავისი საოხრისთვის, ბავშვობის ოთხ მეგობარს უხმო ქალაქგარეთ, რესტორან „ნიავში“, ოფიციანტს ცალკე, მომყუდროებულ ოთახში გააწყობინა პურმარილი და როდესაც მოპატიჟებულნი დაიგულა გვერდით, სუფრის თავში მჯდარმა, სევდიანად ბაგემცინარემ თქვა:

— ბიჭებო, დავისვენე, აღარ მიდგება.

დუმილი ჩამოწვა – არცგასაკვირია. გასაკვირი, ალბათ, არც ისაა, რომ ოხუნჯობაზე გამეცადინებულმა ბიჭოიამ დაარღვია სიჩუმე, უხვ სუფრას შეავლო წუწკი მზერა და თქვა:

— ბეჩა, ბეჩა, რაფერ გოუწვალებიხარ, გილოცავ, ძმაო!

გაეცინათ.

//

ვაჟა გიგაშვილი

1 9 5 7

...ამ სამიოდე თვის წინ მარინე რჩეულიშვილმა მთხოვა, 1957 წლის რაიმე ჩანაწერები, ან დღიურები თუ გაქვს, გადახედე და გურამთან დაკავშირებული რაც იქნება, ამომიკრიფეო...

დატვირთული აღმოჩნდა 1957...

...„ცისკრის“ დაარსება, ჩვენი ურთიერთობა რედაქციასთან (გიორგი შატბერაშვილი, ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი)... გურამის მოთხრობების პირველი პუბლიკაცია...

...გახმაურებული ინციდენტი რუს სამხედროებთან, როცა შემთხვევით შემოსწრებულმა შატბერაშვილმა სიცოცხლის რისკით, მამაცი ჩარევით შესძლო სიტუაციის განმუხტვა და მე და გურამი (და თავად სამხედროებიც) დიდ უბედურებას გადაგვარჩინა...

...4 ივლისი, გურამის დაბადების დღე... ეს დღე მან მარტომ გაატარა უფლისციხეში, იქ გააკეთა „უსახელო უფლისციხელის“ საწყისი ტექსტი... საღამოსათვის კი მე გამომიარა მცხეთაში (აქ ვიყავი არქიტექტურულ პრაქტიკაზე, სამთავროს ტაძარში)... აქ დავიწყეთ ქეიფი ოცი მანეთით და გავაგრძელეთ გიჟობების ისეთი კასკადით, რომ ესეც სალაპარაკო და სასკანდალო გახდა...

...ხევსურეთში მოგზაურობა ნოდარ ჩხეიძესა და გიორგი შენგელაიასთან ერთად... კურელას ცოლის დაღუპვა (შემდეგ, შემოდგომაზევე დაიწერა „სიკვდილი მთებში“)...

...სექტემბერში — ასევე გახმაურებული სროლები რუსთაველზე და ლენინის მოედანზე... და კიდევ სხვა „არაგახმაურებული“ ამბებიც...

...ამოკრეფილი მასალა მთლიანად ჩავაბარე მარინეს, აქ კი გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს იმ ძველი ჩანაწერებიდან...

///

მარიამ წიკლაური

სიცოცხლეს

წამირქენს დოყი სტრიქონი,
ცრემლი წამცვივა ისხარი,
როცა პირველ კვალს გაიტანს
ჩემი სიზმრიდან მზის ხარი.
როდესაც იალკიალით
შეიფოთლება სილურჯე
და სამყურები ხსენივით
პირველ ნიჟს რომ დაიუნჯებს.
მთვარის ოლარს რომ შეიხსნის
ნაზი წელიდან აისი,
როცა ვარსკვლავის ისრიმით
ოცნება თითებს გაისვრის,
მთებზე ანთებულ კაბადონს
ფერი ექნება ილეკროს,
ვით იზამს სული, ეს დილა
თვალებში არ აირეკლოს,
ან გულში არ იშრიალოს
ამ სიხასხასემ ქართლის ცის...
ისევ შენთან ვარ ალავერდს,
მარადისობა დაიცდის.

დასაწყისი პირველ გვერდზე

ირაკლი სამსონაძე

აპრილის ქარები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

გაიცინა დიმიტრი (დიტოია) კა...ძემაც, იმავე ტრულაილამ, გაიცინა ხმამაღლა, ხანგრძლივად, სული რომ მოიბრუნა, ხელისგულებით ამოიმშრალა ღია თაფლისფერი თვალები, შუბლთან შემელოტებული ჭაღარა თმა თითებით შეივარცხნა ბაკებთან, ღრმად ჩაისუნთქა და თქვა:

— ჰო, ქელეხია, – შემდეგ ამოისუნთქა.

— მე რომ მკითხოს კაცმა, – თქვა ტანმორჩილმა, წვერმოშვებულმა, კისერზე შარფმოხვეულმა მხატვარმა გერა (გერასიმე) ნი...ძემ, – ამ ქელეხის გადახდა თანთულის უფრო ერგებოდა.

თანთული ტრულაილას ცოლი იყო, ქალი – მოსუქებული, ერთობ დაბნეული რიგ შემთხვევებში.

ტრულაილამ თავი გადააქნია:

— თანთული რა შუაშია, – თქვა მან, – თანთულის რაღა ახსოვს, იმისთანა წინკვები გვსტუმრობდნენ აქედან თუ იქიდან, გავწყდი წელში მაგათი დევნით, ახლა კი მორჩა, დავისვენე, – თქვა ეს და მოვლილ-მოკოხტავებულ ულვაშთან, ბაგის კუთხეში კვლავაც გადაჰკრა სევდის ჩრდილმა.

— ეჰა, – თქვა მხრებში კისერჩატეტკილმა, ნიკაპთან ჰალსტუხწაჭერილმა პარტიულმა ფუნქციონერმა, კიაზო ბა...იამ, – რას გახდები, ადრე თუ გვიან...

— რა იყო, ბიჯო, შენც ხომ არ გაქვს გადასახდელი ქელეხი, – შესცინა ბიჭოიამ პარტიულ ფუნქციონერს.

კიაზო ბა...იას პასუხი არ გაუცია, სულგუნში გახვეულ პიტნიან ნადუღს გადააწვდინა ჩანგალი, ჭადის გუნდაც მოიგდო თეფშზე.

— გაფიცებ ძმობას, – არ მოეშვა ბიჭოია.

— არა, – თქვა კიაზო ბა...იამ კუშტად, მოჭრილად, — ჯერ, არა.

— აგაშენა ღმერთმა, – პირმოთნედ ამოისუნთქა ბიჭოიამ.

წარბთან ნაიარევიანმა, სულერთიანად გამელოტებულმა წარბამ, ვინც კანონიერი ქურდი არ იყო, მაგრამ ქურდებთანაც ეთქმოდა სიტყვა, ბიჭოიას მიმართა:

— მიდი ახლა, ჩამოასხი, გავაცილოთ, რაფერც წესი და რიგია.

ბიჭოია დოქს გადასწვდა.

— შილაფლავი იქნება, რასაკვირველია, – ჩაიფხუკუნა ბიჭოიამ.

— იქნება, – თქვა ტრულაილამ, — ყველაფერი იქნება.

— მე რომ მკითხოს კაცმა, – თქვა მხატვარმა გერა ნი...ძემ, – ქელეხის ლობიოს ლობიო არ სჯობს, – და ნიგვზიანი ლობიო გადაიკაკუნა.

— და მე რომ მკითხოს კაცმა, – თქვა ბიჭოიამ, დოქს ადგილი მიუჩინა მაგიდაზე, შემდეგ ბარკალი ააგლიჯა ტაბაკას და განაგრძო, – ქელეხი თუა, ხორცით უნდა იყოს, მარხვით ქელეხი ისეთია... უნაირო... ხორცი რომ კვდება, ხორცით უნდა გააცილო, ხორცით, პურით და ღვინით... მიდი, აბა, ტრულაილა, გაგვიძეხი, – თქვა ეს და ჭიქა მიუღირა მეგობარს.

— არა, – თქვა ტრულაილამ, – მე ჭირისუფალი ვარ, თქვენგან ითავოს რომელიმემ; წარბა, შენ დამდე პატივი...

— მე რატო, კაცო, – მხრები წამოიჩოჩა წარბამ, – მაგისი ავან-ჩავანი შენ იცი და მე რა შუაში ვარ; კაი ადგილას ბრძანდები, მიხედე საქმეს.

— ჭირისუფალი ვარ-თქვა, არ მეკადრება, – თქვა ტრულაილამ.

— და მე მეკადრება ჭუჭუ-კოკრების ქელეხში თამადობა?! — სახე წამოუხურდა წარბას, – მთელი ქუთაისის დასაცინი გინდა გამხადო? ნაქეიფარზე რა ვუთხრა ბოვშებს, ტრულაილა ბიძიას სირის ქელეხში ვიყავი თამადა-თქვა? შენ მართლა ხო არ გამოსირდი, შეჩემაალა?!

— კიაზო... – სახე მიუსაწყლა პარტიულ ფუნქციონერს ტრულაილამ.

— აქ მოწყვიტე, აღარ გააგრძელო, – ხელი შემართა კიაზო ბა...იამ და მეტად ჩაიბჯინა ნიკაპი, – ეს ამბავი არ დაიმალება ქალაქში, პარტიული კრება გინდა მომიწყონ შენი საოხრის გამო? არა, ძმაო, არა...

— რა ვქნათ, აბა? — ბიჭოიას და გერა ნი...ძეს მიმართა ტრულაილამ.

— რა უნდა ვქნათ, შენს მიცვალებულს შენ უნდა უპატრონო, – თქვა ბიჭოიამ და თავისი გალიცლიცებული ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა სუფრის თავში მჯდომს, — ჰე, – თქვა შემდეგ, – სათამადო ადგილას ხარ, ჰე...

— კაი, – თქვა ტრულაილამ, – კაი, საც ჩემი არ მოხვდა, ჩემი არ გაკეთდაო, ნათქვამია...

— აწი, გინდა მოხვდეს და გინდა... – ისევ ჩაიფხუკუნა ბიჭოიამ.

— ხმა! — თქვა ტრულაილამ, – კრინტი! — და წამოდგა. წარმოსადეგად, მკაცრად, შეიძლება ითქვას, საპანაშვიდო ღირსებით აღსავსე გამოიცქირებოდა ორბორტიან მუქ ლურჯ პიჯაკსა და შავ პერანგში.

— მადლობელი ვარ დაფასებისთვის, მობრძანდით, არ დაიზარეთ, ხსოვნა იყოს, – თქვა ტრულაილამ და ჭიქა მიიბჯინა ბაგესთან.

— აბა, ჰე! — თქვა ბიჭოიამ, – წამოუდგეთ ფეხზე, წამოუდგეთ, ვინც მიდღემჩი ვეღარ წამოდგება.

გაეცინათ ხმამაღლა, აწყვეტილად.

არ გაეცინა დიმიტრი კა...ძეს, იმავე ტრულაილას; ჭიქა ბოლომდე დაცალა, მაგიდაზე ჩამოდგა, თუმც არ დამჯდარა, მაღლიდან დააცქერდა მეგობრებს, უცქირა მოთმინებით, დიდხანს, სანამ სიცილი არ მიწყდა და თქვა:

— ჩემი ზეიმი დამთავრდა, ახლა თქვენ იცით, – მერეღა ჩამოჯდა სკამზე, ფანჯრისკენ გაიხედა.

რესტორნის ეზოში მდგარი ტირიფი თმას იწეწავდა აპრილის იმ ქარიან დღეს. „რა არწევს ხეს?“ – იფიქრა ტრულაილამ და დაჟინებულად მიაცქერდა ტირიფს.

მძიმე სიჩუმე წარბამ დაარღვია:

— მივაგოთ პატივი, – თქვა წარბამ, – ხსოვნა იყოს მეგობრის ამხანაგის.

— ხსოვნა იყოს, – გაისმა აქედან და იქიდან.

შესვეს.

ტრულაილას არც ახლა უქცევია პირი მეგობრებისკენ.

— სხვანაირად წარმომედგინა, ძნელი ყოფილა, – თქვა მან.

— რა ყოფილა, ბიჯო, ძნელი, – აფეთქდა წარბა, – გვარს და სახელს ნუღარ მათქმევიებ და მაგის გაცილება თუა, სიცილით უნდა გააცილო; რა ვქნათ ახლა, რაფერ მოვიქცეთ, ჩავყვეთ საფლავში, თუ გარდაცვლილი ნათესავები მოვუგონოთ, თუ რა გინდა, გამაგებიე?!

ტრულაილამ წარბას გამოხედა:

— ჰო, – თქვა ტრულაილამ, – მეც სიცილით მინდოდა, მარა... საკუთარ ქელეხში თამადობა ნამეტანია...

— იქნება მოგვეწვია ვინმე? – იკითხა ბიჭოიამ.

— მე რომ მკითხოს კაცმა, კაი აზრია, – თქვა მხატვარმა გერა ნი...ძემ, – ჭოჭიე როა, ას მანეთად იმისთანას ჩამოგიტანენ, გინდა – გაცინებს, გინდა – გატირებს, გინდა – ლექსად წაიყვანს სუფრას.

— ლექსებიც მაძღვნევიე ახლა... – ტუჩი აიმრიზა წარბამ.

— ჭოჭიე არა – მოჭიე... – თქვა ტრულაილამ, – ფულის თამადა ფულის წაკლას გავს, ჩამოასხი, ბიჭოია!

ბიჭოიამ ჩამოასხა.

— ვთქვათ, აბა, ერთი, – ჭიქა შემართა ტრულაილამ, – ღმერთო, შენ გვიშველე!..

შესვეს.

— ციცქა-ცოლიკაურია? – იკითხა პარტიულმა ფუნქციონერმა, კიაზო ბა...იამ და პირი გააწკლაპუნა კმაყოფილების ნიშნად.

— ჰო, – დაეთანხმა ტრულაილა, — ბაღდათიდან მომიკითხეს.

— კაია, – თქვა ბიჭოიამ, – იშვიათად თუ შეხვდები კაი ღვინოს ქელეხში.

ტრულაილა დოქს გადასწვდა.

— გეკადრება? – შეეწინააღმდეგა ბიჭოია, დოქი ჩამოართვა, აქეთ მან ჩამოასხა, იქით – მხატვარმა გერა ნი...ძემ.

— ისე, – თქვა ბიჭოიამ, – ამნაირ ქელეხს შილაფლავი კი არა, კაი ყოჩის კაი გაზიზინებული ყვერული უფრო დაამშვენებდა.

გაეცინათ.

გაიცინა დიმიტრი კა...ძემაც, იმავე ტრულაილამ, მერე თქვა:

— ვისაც ჩემთვის სიამოვნება მოუნიჭებია და აღარაა ცოცხალი, გაანათლოს ყველა და მიუტევოს, უცოდველი არავინაა...

— ლამარიეს თამადობით, არცერთიზა არ დოუწყვეტია გული, – გადახედა მეგობრებს ბაგემცინარე ბიჭოიამ.

— არაა მართალი, – თქვა მხატვარმა გერა ნი...ძემ, – მე დამტოვა გულნაკლული...

— მოგიკვდეს ჩემი თავი, – მიმართა ბიჭოიამ მხატვარს, – ეს როგორ დაემართა, რას გერჩოდა?..

— მოკვდა ლამარიე? – იკითხა პარტიულმა ფუნქციონერმა კიაზო ბა...იამ.

— შე კაცო, – ხელისგულები ამოიტრიალა ბიჭოიამ, – ჩვენ რო ბოვშები ვიყავით, ეგ მთელ ქუთაისში სახელგანთქმული ბოზი იყო უკვე, მოკვდებოდა, ცას ხომ არ გამოეკერებოდა.

— იყავი სამძიმარში? – მიმართა ბიჭოიას მხატვარმა გერა ნი...ძემ.

— სამძიმარში – არა, მარა ამბად გავიგე, გაანათლოს საცოდავი, მიუტევოს, – თქვა ბიჭოიამ.

— რაა ცხოვრება, – თქვა პარტიულმა ფუნქციონერმა, კიაზო ბა...იამ, – რომ გამეგო, სამძიმარში მაინც მივიდოდი... არ ვართ ჩვენ კაი ხალხი, არა... – თქვა ეს და შესვა.

შესვეს ჩუმად, ჩაფიქრებულად.

ოფიციანტმა ბიჭმა შემოაღო კარი, შავი ფერის პეპელა-ჰალსტუხი დაებნია თეთრი პერანგის საყელოზე, შავი ჟილეტი ეცვა, გაწკეპილი, მზადყოფნაში მომართული სახე ჰქონდა, იკითხა:

— ჩაქაფულს ახლა ინებებთ, ბატონო დიმიტრი, თუ მერე მოგართვათ?

— ბატკნისაა? – კითხვაზე კითხვით მიმართა ტრულაილამ.

— გახლავთ, ბატონო, ახალდაკლული ბატკნისაა, სულ ახალდაკლული...

— შემოიტანე, აბა, რაღას ველოდოთ, – თქვა ტრულაილამ, – განსხვავებულებიც წამოაყოლე ხელს, – დააწია სიტყვა.

ოფიციანტი კარს მიეფარა.

ტრულაილამ ფანჯარას გახედა, სადაც ოფიციანტის აჩქარებული მსვლელობა გაკრთა, იქით კი, იქით, ნედლ სიმწვანეში აყვავებული ტირიფი შლიდა თავის ფარდას; ხის შორიახლოს კაცი იდგა, ხაკისფერი, დაბამბული ქურთუკი ეცვა, ჩექმებში ჩაეტანა შარვლის ტოტები, გათლილ ჯოხს დაყრდნობოდა მაჯებით, ნიკაპი დაებჯინა ხელის ზურგზე და ქარის ტორღიალს აყოლილ ტირიფს უცქერდა. „რა არწევს ხეს“, – გაეფიქრა ისევ და ყელში მოწოლილი სევდის გორგალი რომ გაერიდებინა, მეგობრებისკენ იბრუნა პირი.

ტრულაილას მხარმარჯვნივ პარტიული ფუნქციონერი კიაზო ბა...ია იჯდა, შემდეგ – წარბა, მხარმარცხნივ — ბიჭოია, ბიჭოიას გვერდით – მხატვარი გერა ნი...ძე. ბავშვობიდან გამოყოლილი, ასე უცაბედად თანშებერებული მათი სახეები სევდაზე სევდას უმატებდნენ და შფოთსაც უსახლებდნენ გულგვამში. „მერე რა იქნება?“ – იფიქრა ტრულაილამ, თუმცა, მოახერხა და გაიშორა ეს ეკლიანი კითხვა, თავი რომ არ გაეცა, ფართოდ გახსნა ბაგე, მეგობრებს შესცინა, ბიჭოიასგან შევსებულ ჭიქას მიეტანა და თქვა:

— გაგიმარჯოთ, ბიჭებო! ღმერთმა შეგვარგოს, რაც ერთად გვიხუნტრუცია, – შემდეგ შესვა.

მიუჭახუნეს ერთმანეთს, შესვეს.

ოფიციანტმა ტარხუნისა და ტყემლის დამარეტიანებელი სურნელი შემოაყოლა მოზრდილ ჯამს, განსხვავებული ჭიქებიც არ დავიწყებია.

— ე, ე, – თქვა ბიჭოიამ, – ამ ჯამში ჩაქაფულს კი არა, გაზაფხულს ასდის ოხშივარი, დედა, დედა, რაა...

„გაზაფხული“, – გაიფიქრა ტრულაილამ და ფანჯარას გახედა.

დაბამბულქურთუკიანს ბეჭებზე გაედო ჯოხი, ჯოხზე ხელები შემოეწყო, მიდიოდა.

— ის კაცი ვინაა? – ჰკითხა ტრულაილამ ოფიციანტს.

— ვინ, ბატონო? – მზადყოფნით მიეახლა ოფიციანტი.

— ის, — თქვა ტრულაილამ და თვალითაც მიანიშნა მიმავალისკენ.

— მაგისი ბატკნის ჩაქაფული გაახლეთ, – თქვა ოფიციანტმა, – თავისი ხელით დაკლა და აგვიქნა, სულ ახალდაკლულია, სულ...

— მწყემსია? – იკითხა ტრულაილამ.

— კი, ბატონო, მწყემსია, – უპასუხა ოფიციანტმა.

— დღეს რა რიცხვია? – ამოხედა ტრულაილამ.

— 13 რიცხვია, – მიუგო ოფიციანტმა, – მწვადს ცოტა ხანში მოგართმევთ, ჯერჯერობით ჩაქაფულით შეიქციეთ თავი.

— ჰო, – თქვა ტრულაილამ, — ჰო.

ხომ ზუსტად იცოდა თვეცა და რიცხვიც — 13 აპრილი, თუმცა მაინც ჰკითხა ოფიციანტს – არცთუ უმიზეზოდ. ნასესხების პირველმა დღემ, მწყემსის გამოჩენამ, ქარმა, ბავშვობიდან ნაცნობი ლეგენდა წამოუტივტივა გონებაში, ქვეცნობიერიდან გამოუჭიატდა, მაგრამ კონკრეტულ აზრად ვერ ჩამოყალიბდა. კაცმა რომ თქვას, რიცხვს კი არ დაეკითხა ოფიციანტს, აზრის გამართვაში დამეხმარეო – სთხოვა; ჰო, ან აზრი გამამართინე, ან იმის დასტური მაინც მომეცი, ამაზე დაფიქრება რომ ღირსო. მექანიკურად ირჯებოდა — ჯამიდან თეფშზე გადაიღო ჩაქაფული, თონის პური ჩაალბო წვენში, ჩვილი ხორცი გამოსტაცა ბატკნის ნეკნს, აქეთიქიდან კი მსუნაგი შორისდებულები ესმოდა დროდადრო – იფ, იფ, აუჰ, უჰ, – და თავადაც ამოიცდინა – იფ, იფ, – თუმცა სხვაგან იყო ფიქრით – „13 აპრილი, ნასესხები, ქარი, ბატკანი, მწყემსი, ნასესხები, ნასესხები, მწყემსი, ქარი“, – და გაყუჩდა, თეფშსჩაცქერილი გაირინდა, რადგან ახლა, ამ წამს გააცნობიერა ამპარტავნების სიბითურე და დღემოკლეობა და მტკივნეულად, მწველად შემოაწვა გულზე სინანული, ცხადად დაინახა თავისი თავი გარედან და მიხვდა იმასაც, რომ ეს დღე, ეს ვითომდა ქელეხი ამპარტავნების გამო ჩაიფიქრა. ტრულაილობამ აიძულა, ასე მოქცეულიყო. ტრულაილობა ცხოვრების წესად ქცეული თამაშია, თამაშში კი სწორედაც რომ შემოსვლა, პირველი გამოჩენა და სცენიდან გასვლაა ყველაზე მნიშვნელოვანი; ჰოდა, სცენიდან გასვლა მოუწყო თავის თავს, – მიდის, მაგრამ დასამახსოვრებლად მიდის, ანდა, მიდის იმიტომ და ისე, რომ დარჩეს, დიახაც, დარჩეს, დარჩეს ამბად, მოგონებად, ჭორად თუ სიმართლედ, დარჩეს ტრულაილად, ვინც საკუთარ საოხრეს გადაუხადა ქელეხი და – ხა, ხა, ხა, ხაა, და – ხი, ხი, ხი, ხიი, რა მაგარია ეს ტრულაილა, ბიჭოო, რამ მოაფიქრებინა მაგ შეჩვენებულს, რამ?! შევსვათ ერთიც, ორი იქნებაა! ტაშ, ტაშ, ტრულაილა, ტაშ, ტა

დასაწყისი პირველ გვერდზე



6 მაისის ჩანაწერიდან: „...ისევ დილიდან ვსვამდით მე და გურამი... მესამე დღეა... ვიყავით ბევრ ადგილას... დღეს კი დილის დალევის მერე მოგვინდა შოთას ნახვა... გაგვიკვირდა: რატომ დილიდანვე არ გაგვახსენდა?.. დღეს ხომ ფული გვაქვს... სადაც გვინდა, იქ წავიყვანთ შოთას... დავადექით სახლში, რადგან ბაღში არ იყო... სახლში იყო... რაღაც შავად იყო, უგუნებოდ... ვეუბნებით: აბა, დავაი, წავედით პესკიზე, თათრებთან, ფითი ვჭამოთ... დაიჯღანა, არსად გამსვლელი არა ვარო... რა იყო?.. არ ვიცი!.. გურამის მუდმივი ჩვევაა, შეუპოვრად მიაწვეს უარის მთქმელს, დაარწმუნოს, დაითანხმოს... არ შეეშვება, სანამ არ დაითანხმებს... ამისი იმედი მქონდა, რადგან ძალიან მომინდა ფითი... დილიდან არაფერი გვიჭამია ერთი-ორი ლუკმა ყველისა და წიწაკის წნილის გარდა და მაგრა მშიოდა... მაგრამ გურამს ერთი სიტყვაც არ დაუძრავს, ფული ამოიღო, შოთას მისცა და უთხრა: „მეზობლის ბიჭი გააგზავნე!.. ერთი ხუთი ბოთლი „ხუთი ნომერი“ მოიტანოს... კალბასი, ყველი და თონის პური, რამე...“ შოთა გავიდა... მერე შემოვიდა და კარადიდან თეფშები და ჩაის ჭიქები გამოალაგა... ცოტა ხანში შემოვიდა დედამისი და დიდი ჩანთიდან ბოთლები და სხვა ამოალაგა... გურამმა ბრაზიანად შეხედა შოთას და დედამისი რომ გავიდა, გაცეცხლებულმა შეუტია: „...შე ჩემა!.. დედაშენს როგორ ათრაქვიე ჩვენი ბოთლები?!.“ შოთამ ირიბად, იაზვურად გაიცინა — „...შე ჩემა!.. მყაავს რო „მეზობლის ბიჭი“?.. სად მეშოვნა „მეზობლის ბიჭი“?.. „... „მერე?.. გეთქვა!.. თვითონ მოვიტანდით!..“

„... კაი, რაა!..“ — ირიბად აიქნია წვრილი დანა, ყველს რომ ჭრიდა (ყველაფერი ირიბი აქვს... ირიბად იხედება, ირიბად იღიმება, ირიბად იქნევს ხელებს... ხელის მტევანიც ვიწრო და რაღაცნაირი ირიბი აქვს...) — „მოგცლია?!.“

...დედამისმა კალბასი შეგვიწვა, დარეცხილი მწვანილი და მწვანე ხახვიც შემოგვამატა... ვსვამდით და ვყაყანებდით... შოთა გვიკითხავდა ნაწყვეტებს „გველის პერანგიდან“ და „ზარატუსტრადან“... გურამი შიგადაშიგ იმეორებდა ფრაზებს:

„...არაბული ცხენის გული ექვს კილოს იწონის!.. რა შეედრება ამ გულის ფეთქვას?!.“

„...ტო, ჩტო პადაეტ, ნადო ეშჩო ტალკნუც!..“

„...შუადღის შემდეგ უდაბნოში იბადება სიკვდილი!..“

...მეც ამეკვიატა ეს ფრაზები და მერე სახლშიაც ვიმეორებდი...

...კაი მთვრალებმა ვიბოდიალეთ, სახლში წასვლა არ გვინდოდა... შეგვხვდა ნუგზარი... გურამმა დაუძახა: „...ეი, შეენ!.. არაბული ცხენის გული ექვს კილოს იწონის!.. რა შეედრება ამ გულის ფეთქვას?.. აბა, მითხარი?!.“

„...ეეე!.. ამათ უყურე!..“ — დაიყვირა ნუგზარმა — „ამათ უყურე!.. თქვე „გარლახვატებო!..“ დადიხართ, დაქეიფობთ!.. ეგრე უნდა?!.“

„...აბა, როგორ უნდა?..“ — ვკითხე მე.

„როგორ და, სმას რომ დააპირებთ, ჯერ ბიძია ნუგზარი უნდა მონახოთ, დაპატიჟოთ ზრდილობიანად და მერე...“

...რესტორანში ჩასასვლელ კიბესთან ვიდექით...“

აქ წყდება იმ დღის ჩანაწერი, დაუმთავრებლად...

შემდეგი ჩანაწერი მხოლოდ 18 აგვისტოსაა გაკეთებული, ხევსურეთიდან დაბრუნების შემდეგ... არც წასვლისა და არც დაბრუნების თარიღები არაა ნახსენები... არც ერთიანად და თანმიმდევრობითაა მოთხრობილი... ფრაგმენტებადაა გაბნეული ამ და სხვა თარიღების ჩანაწერებში... აქ შატილში გატარებულ დღეებზეა ლაპარაკი... ამჯერად მხოლოდ ერთ ეპიზოდს გაგაცნობთ:

„...იმ საღამოს ანატორზე გასვლის პირველი რიგი გიორგის და ნოდარს დავუთმეთ... მხოლოდ ორი ცხენი გვყავდა, თან გურამი ადრე ნამყოფიც იყო და მეც, რა თქმა უნდა, გურამთან დავრჩი... ვისხედით არღუნის პირას, რიყეზე და მათ მოლოდინში აქ ნაყიდ წინწანაქარს ვსვამდით დიდი მწვანე ბოთლიდან... ბიჭებმა კარგა მაგრა დააგვიანეს და უკვე ღამდებოდა, როცა ჭენებითა და ყიჟინით მოვარდნენ... გიორგი პირველად აქ დაჯდა ცხენზე, როგორც კარგმა სპორტსმენმა, ხელად აუღო ალღო, ეგრევე მოერგო და ეტყობა, გაუტკბათ ჭენება... ძალიან იყვნენ აღგზნებულები და ჩემს საყვედურზე — მეც ხომ მინდოდა ნახვა-მეთქი, მომაძახეს: „მერე?.. წადი და ნახე!.. ვინ გიშლის?!.“-ო, და მომაგდეს ჯერანა... მეც უსიტყვოდ, ხაზგასმულად, უპირატესობის საჩვენებლად, მოვხსენი უნაგირი, გურამისებურად მოვახტი უბელოს და გავაჭენე... აკლდამებთან უკვე სრულ სიბნელეში მივედი... ჯიბეში ერთი კოლოფი ასანთი მეგდო და ასანთების ნთება-ნთებით შევძვერი ვიწრო ნახვრეტში, ვათვალიერებდი თაროებზე შელაგებულ მუმია-ჩონჩხებს ჩაფერფლილ ტანსაცმელში... ტვინში ჩარჩენილი მქონდა გურამის ნათქვამი: ერთი თმიანი ქალის მუმიაა და იმის ნახვა მინდოდა... ვერაფერი ვერა ვნახე, ასანთიც მითავდებოდა... მკრეხელობა ჩავიდინე: ერთი, კუთხეში მიგორებული მუმია-თავისქალა წამოვიღე და გამოვძვერი... ჯერანამ, თითქოს რაღაც იგრძნოო, გიჟივით გამაქროლა სრულ სიბნელეში... მაგრამ მთის ცხენი რის მთის ცხენია, რომ გზა შეეშალოს... მოვვარდით შატილში, ჯერანა ჩვენი კოშკის მეორე სართულზე ავაფხოკიალე და ჩვენს სამყოფში ავედი... დიდი ცეცხლი ენთოთ ყვერფნზე და არაყსა სვამდნენ... მუმია-თავი რომ გამოვდგი, პირდაღებული ბიჭები კინაღამ გადმოცვივდნენ, კრინტს ვერა ძრავდნენ და გიჟებივით მომჩერებოდნენ... გურამმა კი მკაფიოდ, რიხიანადა თქვა:

„ვიცოდი, რომ ასე იზამდა!..“

„რატომ?!..“ — წამოიყვირა ნოდარმა.

„იმიტომ!.. აბა, ისე ვინ დაუჯერებდა, რომ მართლა აკლდამაში იყო?!.“

ხმა არავის ამოუღია და ისევ გურამმა თქვა:

„... ვინ იცის, იქნებ სულაც ეს კაცი იყო ამ კოშკის პატრონი?.. იქნებ ეგაა ჩვენი მასპინძელი?.. დავლიოთ მისი შესანდობარი!..“

ჩუმად ჩავცეცხლეთ მასპინძლის შესანდობარი...

ოქტომბრის 18-ში ჩანაწერი — ჩაწერის თარიღი არაფერს იძლევა, რადგან უბრალოდ ჩაწერის ფაქტის თარიღია... შიგ ნახსენებ ამბებზე კი, თუ საგანგებოდ არაა აღნიშნული, ვერ გაიგებ, რომელ რიცხვშია მომხდარი... ამ ჩანაწერში, სხვა, მარტო ჩემს ამბებს შორის არის ესეც:

„...პლეხანოვზე ვსვამდით არაყს მალხაზი, გურამი და მე და ერთი ბებერი ლოთი მოგვეკედლა, თურმე ძველი ილუზიონისტი, ცირკაჩია... ამოიღო კაი მოზრდილი ლურსმანი, ეგრევე შეითხარა ერთ ნესტოში და... დრმპ! და მეორე ნესტოდან გამოიღო... ვახ!.. მაგრად მოგვეწონა... გურამმა იმ წუთას დაუსხა არაყი... ამან „დასტონი“ დაიჭირა, არ დალია, მოიტანა თავისი ნარჩენიანი ბოთლი და იქიდან დაისხა... „მნე ი ეტოგო ხვატიტ“-ო გვითხრა, ერთ-ჩამოსხმა ჩარჩენილი ბოთლი გვაჩვენა და გვერდზე მოიდგა... ამითი იმისი ჩვენება უნდოდა, რომ ჩვენთან არყის სახეირჩიკოდ არ მოსულა... მე მიყვარს ამისთანა სტარიკებთან ბაზრობა, მით უმეტეს, ცირკაჩებთან და მსახიობებთან... შეუზღუდავი ფანტაზია აქვთ და ზოგი მაგარი ნიჭიერიც შეგხვდება... გურამსაც უყვარს და კარგა ვერთობით, სმაში თუ ეგეთს გადავეყარეთ... ვსვამდით და ის ჰყვებოდა თავის „პახაჟდენიებზე“... „ოტ ლვოვა დო ვლადივასტოკა!..“ — იძახოდა — „ტისიაჩა გოროდოვ!..“ მალხაზი რატომღაც ამრეზილად უყურებდა, თითქოს თაღლითთანა აქვს საქმე და დადარაჯებულია, არ გააცურონო... მერე ძალიან ზრდილობიანად სთხოვა: „იცით, მე კარგად ვერ დავინახე... აი, ეს მომეფარა...“ — გურამზე აჩვენა — „თუ შეიძლება, გაიმეორეთ... მაპატიეთ!..“

ცირკაჩი ერთი წამით თითქოს შეცბა, სახე გაუშეშდა... მერე სწრაფად და მკაფიოდ გაიმეორა ფოკუსი... ჩვენ ტაში დავუკარით, მალხაზმაც დაუკრა, თან ქართულად წაილაპარაკა: „...გამოჭერა მინდოდა... ნიჩევო, კიდევ უფრო რო დათვრება, კიდევ გავაკეთებინებ...“

მერე ცირკაჩი ჩაგვაცივდა: ჩემთან უნდა წამოხვიდეთ, რაღაც უნდა გაჩვენოთო... სხვა ფოკუსებიც უნდა გაჩვენოთ, „რეკვიზიტი“ სახლში მაქვსო... აქვე, შეროზიაზე ვცხოვრობო... ერთი ბოთლი არაყიც გავიყოლეთ და წავედით... კარი რომ გააღო, ოთახში რაღაც ბუძგი, ზღარბი არსება დავინახეთ... ყველა მხარეს გაპუწული, ადიალებში გამოკრული, პატარა, მრგვალი დედაბერი იყო... ამ დროს გამოქანდა პატარა, ჯიჯგვი, მახინჯი ძაღლი, ცალ თვალზე თეთრი ბისტი ქონდა გადაკრული და ისე ჰქონდა გადმოკარკლული, რომ შეგეშინდებოდა... ცირკაჩს ფეხებში დაეტაკა კუდის ქიცინით... ისიც დაიღუნა და თავზე მოეფერა...

„...ჩტობ ტი სდოხ!..“ — დაიძახა დედაბერმა ბოხი ხმით, გაიარა, ოთახის ბოლოში რაღაც კარი გამოაღო და შეიკეტა... ძაღლი იმ წუთას გავარდა და იმ კარის გამწარებული ფხოჭნა ატეხა... კარი გაიღო, შეუშვა და ისევ დაიკეტა... ცირკაჩს ამეებზე არავითარი რეაქცია არა ჰქონია... გამოწია სკამები მრგვალ მაგიდასთან, კარადიდან გამოიღო და დაალაგა ჭიქები და საინები (საინები ნეტა რისთვის?..)... ჩვენ დიდი ხნის მონატრებულებივით ვებდღვენით არყის ბოთლს, ოღონდ მალხაზმა დაგვასწრო, გახსნა და დაასხა „პო პიდისიატ“... ცირკაჩი სკამზე ავიდა და კარადის ზედა, ჩაკეტილი ნაწილიდან რაღაცა დიდი, აჩეჩილი დასტა გამოიღო და სკამიდან ისე წკიპად ჩამოხტა, ერთი ქაღალდიც არ გამოვარდნია... დავარტყით თითო არაყი და დავიწყეთ თვალიერება... აქ იყო სხვადასხვა (ბევრი ჩვენთვის უცნობი) საბჭოთა ქალაქების გაზეთი ცირკის რეკლამებითა და ზოგან ფოტოებით, რამდენიმე დაკეცილი აფიშა და უამრავი ფოტოსურათი... გაზეთებში რამდენიმე „ზარია ვოსტოკა“-ც ერია... აფიშებზე ჩანდა ჩაცმულობა: ბრიჯი, ჩულქები და ფრანგული ტუფლები, გრძელი კაფტანი და მკერდზე — ჟაბო, თუ რა ქვია... და თავზე დიდი, ხონთქარივით ტიურბანი ვარსკვლავებითა და პეროთი... რა შუაში იყო ტიურბანი?.. ამ ჩაცმულობას ხომ ლოკონებიანი პარიკი მოუხდებოდა?.. კაი კოხტა, ყოჩაღი ტიპი ჩანდა ახალგაზრდობაში... ერთი ქალის ფოტო შემოგვჩარა, პუტკუნა, კოკროჭინა გოგო იყო, ცუგრუმელა სიფათით... ზედ თითი დაგვიკაკუნა და მერე იმ დაკეტილ კარზე მიგვითითა... მეტი ახსნა არ დაუწყია... ისე კი გაუჩერებლად ლაპარაკობდა... არაყი გაგვითავდა და ამან კარადიდან ვარდის ლიქიორის გახსნილი ბოთლი გამოიღო... ეჭვი მაქვს, რომ ეს იმ დედაბრის ბოთლი იყო და ალბათ მერე დიდი სკანდალის გადატანა ელოდა... ჩვენ ლიქიორიც უკომენტაროდ ჩავცეცხლეთ... სანამ ჩვენ ვათვალიერებდით, ის შეუჩერებლად ამბავს ამბავზე ჰყვებოდა... შიგადაშიგ დევიზივით ისმოდა: „ტისიაჩა გოროდოვ!..“ სახე გაბრწყინებული და ბედნიერებით აღგზნებული ჰქონდა... აი, რატომ დაიჟინა ჩვენი წამოყვანა: მას ნარკომანივით დაუოკებლად სწყუროდა უცხოებთან ერთად კიდევ ერთხელ გავლა თავის საყვარელ წარსულში... ზოგიერთი ამბავი მართლაც საინტერესო იყო, მაგრამ ეხლა აღარ შემიძლია ჩაწერა... დავიღალე!..

...ჰო!.. ერთიც უნდა ვთქვა: რომ გამოვედით, მალხაზმა შემოგვთავაზა, წამო, ჩემთან შევიდეთო, თურმე აქვე, შემდეგ ქუჩაზე ცხოვრობს... ვახ!.. პირველად გავიგე, რომ სახლი აქვს!.. მე ეს სახლში, ბინაში ვერ წარმომიდგენია... წარმომიდგენია მხოლოდ ზემელზე, ვერის დაღმართის კუთხეში ჭოკივით დარჭობილი... სახინკლეშიაც ხომ სულ ფეხზე დგას... დედაჩემს ტოლმა აქვს და ვჭამოთო — გვითხრა (ვახ!.. დედაც ყოლია!)... ეხლაღა ვიგრძენი, რომ კატასტროფულად მშია... ალბათ, გურამმაც... დილიდან ხომ თითქმის არაფერი გვიჭამია... უსიტყვოდ გავყევით... დედამისმა გურამი ჩაიხუტა და ჩაკოცნა... გურამმა ხომ ბავშვობიდან იცის დედამისიც და ეს სახლიც... დედამისი აღმოჩნდა სულ პატარა, შავი, ლოტოს კოჭივით მრგვალი... ამან როგორ გააჩინა ამსიგრძე ახმახი ჩონჩხი?.. მოგვიტანა ვაზის ფოთლის, სმეტანაგადასხმული ტოლმები... ცხელი, სველი, მსუყე საჭმელი მალამოსავით მოედო არყით გამომწვარ შიგნეულობას...“

დღევანდელი ჩანართი: შემდეგ წელს მოსკოვში ჩავაკითხე გურამს და პირველივე საღამოს წამიყვანა თავის შერჩეულ-მიჩვეულ ლუდხანაში... ეს იყო დოლგორუკის ძეგლთან, გორკის ქუჩაზე, ძველებური, მოხარატებული, მუქი ხის ინტერიერიანი დარბაზი... აქ ვნახე გურამთან დამეგობრებული ბებერი ლოთების კამპანია... კოლორიტული, არტისტული ტიპები, საინტერესო წარსულით... ესენი არ იყვნენ მუქთა სასმელზე დავაქსული ჩაშვებულები, თავისას თვითონ იხდიდნენ, თუმცა დაპატიჟებაც ძალიან სიამოვნებდათ... ოღონდ იყვნენ ჩამოყალიბებული ლოთები და ცხოვრების ბოლო წლებს სასმელით კაიფში ატარებდნენ... ამათგან ერთი ბებერი ზანგი იყო (?!)... ყოფილი ჟონგლიორი (როდის და რატომ ჩარჩა რუსეთში, ვერ გავიგე)... ჯიბეში თან დაჰქონდა ბურთულები... ავიდოდა ხოლმე მაგიდაზე და ჟონგლიორობდა...

დასასრული მე-16 გვერდზე

მარცხისჟამი

მარცხისჟამია და მემარცხენის
მხარეზე ფეთქავს გულიც ბუნებით!
თუმც ყველა მარცხი, საგამარჯვებო
გვირგვინად გვადგას თავზე, უვნებლად.
განა აკლია თვალ-მარგალიტი,
განა აკლია კურთხევა, ტაში?
მარცხისჟამია და გამარჯვებაც
დამარცხებული დაგვიდის ტანში.
არც სისხლი, და არც ყიჟინა ომის!
ყოველი სუნთქვა – მოკვდი-გადარჩი!
მარცხისჟამია და საკვირველი
ცეცხლიც ცივია სახლშიც, ტაძარშიც.
სისავსეც ისე ცარიელია,
უსიყვარულო მადლივით ცივიც.
მარცხისჟამია და გამარჯვების
ვნებით შეპყრობილ ფაცერში ვცვივით.
რა ერთნაირად დავმარცხებულვართ
უფლისწულები, კარისკაცები,
რა ერთნაირად გვეზეიმება
ჩვენი ცხოვრების თავზე დაქცევა.
რას იზამ, სულო, რა გზას აირჩევ,
ჟამადქცევის თუ სხვა ჟამისმშობლის?
ნუთუ მეც როგორც შვილი უძღები,
კვლავ უძლურებას მოვალ და მოგგვრი.
საპატიებლად, საპატრონებლად
ახალი ჟამის მომესმის გვრინი...
მიდი, მიჰყევი გულს, გულს მიჰყევი,
იპოვო, იქნებ, წმინდა და კვრივი.
არც მტრობის ფასად! არც სიკეთის წილ!
სულ სხვანაირად განაგებს ღმერთი
და ყველა ომში, ყველა ქორწილშიც
შენ მის წინ დგახარ, მარტო და ერთი!
მარცხისჟამია და გამარჯვებაც
აქ განწირული არის წინასწარ!
მემარცხენეობს გულიც ბუნებით,
და სიხარულის მაცნედ მიგასწრებს
იქ, სადაც მართლა გავიგებთ, რაა
გამარჯვების და მარცხის სასჯელი,
ან ჯილდო რაა იმისთვის, რასაც
აქ ვერ დავარქვით ჯერაც სახელი.

* * *

ყველას ქრისტე შეგვიფარებს,
ყველას დაგვიტევს.
მისი სახლის ფართო დერეფანს
ისე შევაღებთ,
ბავშვობაში რომ ვბრუნდებოდით
ტყიდან დედებთან
ხელში იაჩაბღუჯულები —
მინიანი ხელებით და დამშეულები,
სიცოცხლის რძით გატიკნილი
ჰაერისძუძუნაწოვები.
შინ არ დაგვხვდება,
მაგრამ თბილ კვერზე წაფარებულ
ქათქათა ტილოს
ოხშივარი ექნება ჯერაც მისი ხელების,
მიწას – მის გახდილ საშინაო ხალათს კი სუნი
ექნება დედის.

* * *

რამდენია,
მთელი სიცოცხლე
ხიდებზე რომ გადი-გამოდის.
სახლი უდგათ მდინარის პირას.
წლები და წლებზეც მეტი, ვინ იცის,
გადიან და გამოდიან
მშვიდად, უსიტყვოდ,
ძილშიც გეტყვიან
შეუცდომლად
მისამართს, სახელს...
მაგრამ ახლა იმაზე ვფიქრობ,
ვინც ხიდს ერთადერთხელ მიადგა
და ბოლომდე ვერ გადავიდა,
სადღაც შუაში რომ მოეჩვენა,
შინ მივედიო...

ჰუჯაბი

ზოგჯერ დროსაც ეზრდება კორძი.
მედინ ზროზე ჩაიკირება თეა-ნუჟრებად.
გაქვავებული დინება უკან,
თავის თავშივე იწყებს წრეტას და
მზის დაშრეტილი თვალებით რომ მოგაშტერდება,
განა გხედავს? დასასრულით გგრძნობს.
ვერცერთ ენაზე ვერ იპოვი საჭირო სიტყვას,
ამ უკუსვლის არსის გამომთქმელს,
ქედნებივით შემოისვამს მხრებზე ძეძვს და
ბალახის თიკვის კონკა-ძველებში
გახვეული თავისი შობის დღისაკენ მიდის,
უკან მიდის, საიდანაც დაიწყო ერთხელ,
მიწისპირი რომ გადაუხსნეს საძირკვლის ხნარცვად,
ის უბე ახსოვს აკვანივით,
იქითკენ წვეთავს მისი სხეული —
ჰაერის დიდი ტაძრის ბჭესთან ღამენათევ ბავშვივით
ტკბილად ჩაძინებული...

მარიამ წიკლაური

სიზმრით მიდის, ცხადითაც მიდის დასაწყისისკენ,
ქვობისაკენ, მიწისაკენ, არაფრობისკენ,
ქარის ღონიერ ნებს ეფარება, ქარიღაა მისი პატრონი,
ყველა ლოცვის, თხოვნის, ვედრების მიმომფანტველი,
ყველა სანთლის ჩამქრობი და
ყველაფერზე მტვრის სუდარის დამფარებელი...
მიდის ჰუჯაბი, თაფლისფერი, ღვინისფერი,
თლილი, დაღლილი, დავსილი და დადუმებული...
ხეს შერჩენილი უკანასკნელი ფოთლის ფერი...
მიწისაკენ მიეშურება...
აღარც დედაა რამის დამშლელი,
აღარც შვილია ცეცხლის ყვავილთა შემგროვებელი...
დარჩა ჰუჯაბი, მიწა მიწად საქცევი და ღვთის ანაბარა,
ხეობის ხმები თუ აკითხავენ,
ჩამოსხდებიან მისი სიბრმავის და
სიყრუვის ზღურბლზე ვიშვიშით
და ბუვების დაკივლებაზე კიდეც ტოვებენ.
ზოგჯერ დროსაც ეზრდება კორძი.
და სულერთი ხდება თანდათან,
მიწის რომელ მხარეზე დგახარ.
თაფლისფერი და ღვინისფერი ბაირაღი —
ორთავე სოფლის ძველი გზის კირბი, იმ დროისა,
რომელიც უკვე აღარც არსებობს.
დრო გიკვდება თუ დროს უკვდები, ჩემო ჰუჯაბო,
ვინ იცის, იქნებ, შენ სამარეზე ამოსულმა ბალახმა მაინც
უფრო დიდხანს გაძლოს უჩვენოდ...

თავი გარდაგხდა

თავი გარდაგხდა... ვინ გკითხა,
რა გწადდა ამ ერთხელზედა,
რა ბედისწერას მოგცემდა,
ან მიწით როგორს შეგზელდა...
სიყვარულს შემოგისევდა,
დაგფლავდა ჯავრის ფსკერზედა,
ცით თვალებს ამოგივსებდა,
ნიშანს დაგდებდა ხელზედა,
გინდაც სუ თავი შეგეკლა,
ბევრიც გეცადა ბევრზედა,
რას აჯობებდი ამ სოფელს,
გაკვერილს ნისლის ფერზედა.
ან სიზმრის ცეცხლი დაგწვავდა,
ან დგომა ცხადის ღველფზედა.
გასძლებდი თუ ვერ გასძლებდი,
მაინც ეკიდე ღმერთზედა.
მიწა ვინ ცურა მხარულით,
ქარი ვინ კონა ძნებადა,
ვის იყო, თავის იღბალი
თავის გემოზე ებადა?!

როცა სულს მივდევდი

ვინც გასხლავს ჩემს თალარს,
მხოლოდ ის მიხვდება,
რომ ყლორტი ყოველი უძველეს ძირისა
იმ ფესვით საზრდოობს, სამყარო რომ ჰქვია,
სიტყვებით, რომელიც გასრულდა კვირისთავს.
ვინც გასხლავს ჩემს თალარს,
მხოლოდ ის მიხვდება,
რამდენი ეჭვი და რწმენაა ხლართული
და როგორ უხდება ჩემს ფიქრს და ნაუბარს
ყველაფრისამტანი ტკივილი ქართული.
ცოცხლად მშობიარობს სამყარო ლექსებში
და ლექსიც ამიტომ უწმინდურს მიაგავს.
ის თვითონ გადაჭრის დრო-ჟამის ჭიპლარს და
შეშლილი გაატანს ტკივილებს ნიავ-ქარს.
დაინდეთ სიტყვაში მარადჟამს მარხულნი,
დაინდეთ, ვინც ლექსით ირჩია მეფობა.
როდესაც პწკარების სამსჭვალებს დააცლით,
იგრძნობთ, რომ თითები ზეცაში გეფლობათ.
ნუ იგლოვთ, იხარეთ, ცრემლია მირონი,
მიიღეთ ყოველი ტანჯვა და კირთება,
სამყაროს ლექსები, ვით სულს – მაცხოვარი
და სოფელს – მარილი, სჭირდება!
ვინც გასხლავს ჩემს თალარს,
მხოლოდ ის მიხვდება,
რა იყო ამ ლექსთა გაჩენის მიზეზი,
და რატომ არ მღლიდა ის გზა, უსასრულო,
სულს როცა ბავშვივით
ფეხდაფეხ მივდევდი...

მიკიბ-მოკიბვის გარეშე

მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვი,
რა ხანია, ჩავაბერდით ერთმანეთს გულში,
რა ხანია ჩავაბერდით თვალებშიც, უკვე...
დღე იყო ერთი დიდი, უძალო, ათას დღედ მდენი.
როგორ გვირტყამდა ქარი სახეში, წვიმა ზურგში,
სეტყვა კეფაზე თეთრი ცეცხლის ალს გვიკიდებდა.
ჰაერის მჭვირვალ ხნულებში ჩაფლულს,
ვარსკვლავების ტავარნები
გვეკრობოდა ფრთიან ტერფებზე.
დროის ლტოლვილს, ჟამის ვერმცნობელს,
მიწაც აღარ დაგვრჩენოდა,
ერთმანეთისკენ სავალ ნაბიჯს რომ დაიმჩნევდა.
სადღაც, უხილავ, უნახავ მამულს
ვულაგებდით ერთმანეთს და
დღესასწაულებს ვუწყობდით მწიფე
არაფრობის ჭირნახულისგან.
აღარაფერი გვიკვირდა, თითქოს...
მთავარი იყო, ერთმანეთი გვყოლოდა და გვგულებოდა!
მთავარზეც მეტი, მთავარზეც ბევრად უპირველესი!
მერე რა, რომ არც პური გვქონდა,
არც სახლი და არც უხრწნელი უიმედობა!
სად იყო სისხლი?! მთელი ქვეყანა ეზიარა და გათავდაო...
გმირებიც გაქრნენ. მომღერლებიც,
ვისი ჩონგურის ნაღვლიან სიმებს
ჭრილობები უნდა ეკერათ დროთა გულებზე.
ერთმანეთი გვყავდა მხოლოდ,
ერთმანეთზე უფრო ბევრი,
უფრო მეტი, უფრო ტანჯული.
ვაბერდებოდით ერთმანეთს გულში.
ვაბერდებოდით იმ თვალებში,
ერთმანეთს რომ ვერ ვუსწორებდით
ერთმანეთის შიშითვე დაღლილს — ვაი, თუ
აღარ გინდა ჩემთან?
ვაი, თუ ახლა, აი, ამ წამს უნდა მითხრა სათქმელი რამე:
მე გცადე და აღარ გენდობი, არა ხარ ჩემი!
ჰა, წადი, შობე, იტანჯე, მოკვდი და მიხვდი,
რომ არაფრობის მიწით შექმნილმა
ჩემი სული ვერ შეირგე, ვერ შემიყვარე...
გალახულივით შეგაქცევდი ზურგს და ყველა გზას
ჩემშივე რომ ჩავიბრუნებდი,
შურისძიების ავი ცეცხლი რომ დამრევდა ხელს,
იქნებ მეთქვა, ან მეყვირა, ან მესლუკუნა,
მიკიბ-მოკიბვის გარეშე მეთქვა,
ღმერთო, ისევ თავიდან ვიწყებთ?
გველი, ტალახი, ტანჯვა, დევნა, სიკვდილის შობა?
ერთგულ ძაღლივით მოგყვები გზებზე,
ადამიანად ყოფნა უკვე არ შემიძლია.
ჩავაბერდით ერთმანეთს გულში...
ამდენი რამე, უთვალავი სასწაული შექმენი და,
განა რა იყო, სამართალიც მოგეზილა ამ მიწიდან...
განა მზეზე უფრო მწველი და
თვალის ჩინის წამრთმეველი იქნებოდა იგი კაცთათვის?

პილატეს სიზმარი

ყველა სულიერს უთენდება თავისებურად...
ყველას თვალებში სხვადასხვა ფერს ამხელს აისი.
სანამდე სიზმრის მოწმე ხდები შენც უნებურად
და მიწა სანამ სხეულს შუქის მტვერში გაისვრის,
ნუ, ნუ იჩქარებ, ნუ იჩქარებ გამოღვიძებას,
ხომ მეთანხმები, ძილში სიბნელე რომ არსად სუფევს
და მზე, რომელიც თითქოს ამოდის ყოველ ცისმარე,
სადღაც დღე-ღამის მოჩვენებით საზღვრებს აუქმებს?
სხივი, დახუჭულ თვალებშიც რომ მარად გვინთია,
ჰგავს ღვთის მზერაში ცხადად ჩარჩენილ
ჩვენს პირველსახეს,
საალიონო ლოდინი რომ დაგვაქვს ტვირთივით,
დაუსაბამო სიკვდილიდან აღდგომას ამხელს.
შეუდგამს ჯვარი სინათლისა მხრებზე პლანეტას,
მამლის ყივილის ეშინია მოწამე ვარსკვლავს
და ესიზმრება დაბრმავებულ, მოხუც პილატეს,
რომ ჯვარცმულს აძრობს
მზის სხივების სისხლიან სამსჭვალს
და უხარია, უხარია, გაგიჟდეს ლამის,
ნათელს რომ არ კლავს...

ჩემი ქალაქი

ჩემი თეთრი და თბილი ქალაქი,
დაიცალა ახლობლებისგან.
ცარიელი ადგილები კი
გაივსო ზღაპრის მხრისანებით —

შავი კაცები მოვიდნენ და დაესახლნენ,
მოიყვანეს შავი ქალები,
შავი ბავშვებიც მოიყვანეს.
და ყველა გერი ბოროტია,
ყველა ობოლი განწირული,
ყველა ხარი დასაკლავი,
ყველა მამა — დანის მლესავი.
სადღაც, თვალუწვდენ მთის წვერზე რომ
ნისლი შედგება, ეგღა არის ისევ ქართული,
ქართულად თქმული:
ჭირი იქა, ლხინი აქაო.
ქატო იქა, ფქვილი აქაო.
ეგღა არის ობლის იმედიც,
მერე ქარი მაგასაც ფანტავს...

იძნებ

ზეცა ზურგია უსასრულობის,
მე მისი სახე ვიხილო, მინდა.
მიწაც ზურგია სკნელის, რომელიც
მოგვჩვენებია მოჩითულ მინდვრად.
და ვდგავარ ჩემთვის, ორივესაგან
სულ უმიზეზოდ ზურგშექცეული,
ასე ბავშვები იბუტებიან
მოფერებას და ალერსს ჩვეულნი.
ვცდილობ, როგორმე შემოვირიგო
ნათლის და ბნელის ათასი სკნელი
და ამ ბუტია უსასრულობას
თბილად მოვხვიო ორთავე ხელი.
მსურს, ჩემიც იგრძნოს მან არსებობა,
წამით ჩამხედოს თვალებში ეგებ,
რომ ქაოსშიაც ვიცნოთ ერთურთი,
იქ, სადაც ყველა ერთმანეთს ეძებს...

დამიბრუნეთ

ცისარტყელები ირაოს კრავენ
და დატანტალებს მინდორში წვიმა.
გაზაფხულების ბორჯღლისფერ კრავებს
სინათლის ცვარი ბეწვიდან სცვივათ.
პეპლებს აცეკვებს დაირა მთვარის,
კვირტები დახსნეს სხივის ბორწკლებმა,
ჟრუანტელისგან დააყრის ღამით
მიწას ბალახის ნაზი ხორკლები.
აღარც მე ვგავარ სევდის პატარძალს,
სიცოცხლის ხნულში ცეცხლივით ვღვივი
და მაიძულებს ლელოს გატანას
ლურჯი თვალების საზღაპრო ლხინი.
აჰა, წაიღეთ ჩემი ყისმათი,
როგორც უიღბლო ცდუნების წერა.
აქ მხოლოდ ცხადი თუა სიზმარი,
სიმართლეს მხოლოდ სიცრუის სჯერა.
და დამიბრუნეთ გაზაფხულივით
გული — დამფრთხალი შვლების ნუკრებით
მარადიული ბავშვობისა და
მარადიული ტრფობის უფლებით!

ბატონები

ბორენა ჯაჭვლიანს

ვკენკავ ნაზამთრალ ბეღურასავით შენს თვალთა სითბოს
და ღიმილის არტახებში შეხვეული ჩვილივით გიმზერ.
ვიგრძენი, როგორ გაუჩნდა ბზარი ჩვენს შორის ჰაერს
და ჭრელ ჩითებში, საკინძესთან, რძემ გამოჟონა.
ია და ვარდი დიდ ბატონებს, ია და ვარდი...
კუთხე-კუნჭულში მოგვიპნიეს პეშვით ვარსკვლავი,
სევდის სანთლები ჩამოგვიქნეს ჩვენმა დედებმა.
კოკით ვსვამდით სიყვარულის უკვდავების წყალს
და გრძნეულებით სულზე ვირგებდით ლამაზ სახელებს.
ია და ვარდი დიდ ბატონებს, ია და ვარდი...
ნათოვარ სიზმრებს შევამტვრიეთ ჩირთა რტოები,
უმზითვი ტილო სხივზე გავფინეთ ოქროსფერ ქარში,
ამომავალი მზის ჩრდილივით გრძელ ნაწნავებში
ჩავიწენით წერამწერლის ეზოს ასკილი.
ია და ვარდი დიდ ბატონებს, ია და ვარდი...
თითქოს გაშალა შეკრული მუჭა დედამიწამო,
ცისკენ მიფრინავს ათასობით სიცოცხლის ბუშტი.
ქუთუთოებზე ლოლოები ლღვებიან წვეთ-წვეთ,
ჩვენც ამოვდივართ სიყვარულის დაბელტილ ხნულში
მზეს ამოვყავართ, ბედზე ძლიერს, ტკივილზე ძლიერს.
ია და ვარდი დიდ ბატონებს, ია და ვარდი...

მთაში

ვარსკვლავით მორთული ცხენით
მზის სულის დოღს მართავს ღამე,
ცეცხლს ცრიან მოხუცი მგლები,
სანთლები უჭირავთ ალებს.
გგონია ნამგალა მთვარე
ყამარის ჩაკრული შოთი,
ჭინჭყლობს ჭინკა და წელავს
ქარის გარმონებს შოთხვი.
მხოლოდ ბალახი უხმო,
ცის სურვილით რომ იწვის,
შავმიწის ბარძიმს ავსებს
საცხოვნებელ ნამს მიწვდის.

მოდიოდა ზაფხული

ისეთივე ნამდვილი,
როგორ პიტნის სურნელი,
მოდიოდა ზაფხული,
თავნება და სულელი.
ისეთივე მართალი,
როგორც ღელის ჩხრიალი,
შარას დასთამაშებდა
ჭიჭნაურის ნიავი.
შფოთის შარმი შვენოდა
შეშინებულ სიშიშვლეს,
აჭარხლებულ მინდვრებმა
მწვანე ალვა იშიშვლეს.
მოდიოდა ზაფხული
თავნება და სულელი,
ისეთივე ნამდვილი,
როგორც პიტნის სურნელი.

ვერ ვპოულობდი

ცისკრის ვარსკვლავი ნიავზე შეკრთა,
შეკრთა და ისევ მილულა თვალი.
მომეჩვენა, რომ სადღაც, მთის ქიმზე
იზმორებოდა მძინარე დალი.
შორს მწვანიანში გაფანტულ სიზმრებს
მოლაღურები კენკავდნენ ფრთხილად
და ზეცის ლურჯად ჩამოშლილ ზილფებს
ზედ ადნებოდა ნისლების ფთილა.
მინდვრებში ღამით დაპნეულ წვიმებს
ვკრეფდი და მზის ფესვს ვუსხამდი პეშვით,
ფეხმძიმესავით ველოდი წამებს,
რომელსაც უნდა სინათლედ ეშვი.
და ცის უმანკო უსაზღვროება
ჩემში ფეთქავდა, როგორც ნაყოფი,
ბერდედომიწას გული სტკიოდა
დღე-ღამეებით ორად გაყოფილს.
ვეძებდი, მაგრამ ვერ ვპოულობდი
გრძნობას, რომელიც იყო სამყოფი
და ადამიანს, დარდს რომ იგრძნობდა
ამ სამყაროში ჩემი არყოფნით.

ახლა დროა იმისთანა

მთვარე ღამის თვალია და
მზე – თვალია დღის.
ახლა დროა იმისთანა,
ორთავ თვალს რომ გთხრის.
ახლა დროა იმისთანა,
თითქოს აღარც ხარ.
უწმინდურის ცივი სისხლი
გიკრავს ორთავ მხარს.
ჩრჩილი გიჭამს ცხადს და სიზმარს,
სამშობლოსაც ხრავს,
ახლა დროა იმისთანა,
თითქოს აღარ ხარ.
თითქოს სიკვდილს ექორწინე
და სულ მალე შობ
სხვა სამყაროს, დღევანდელზე
უკეთესს და მჯობნს.
ღვთისმოსავი ლექსით გინდა,
დაარწმუნო სხვაც,
რომ დღეს ვერა, მაგრამ ვიღაც
შეგიყვარებს ხვალ.
რომ დღეს ვერა, მაგრამ ხვალ კი
შეგიერთებს ცა,
იმ ვარსკვლავად, მიწაზე რომ
უდგას სხივთა ძნა.
მთვარე ღამის თვალია და
მზე – თვალია დღის.
ახლა დროა იმისთანა,
ორთავ თვალს რომ გთხრის...

უთქმელი ლექსი

ცხროვიანები ვხვრეპთ ღამის ჩეფირს,
ქაღალდს ედება რითმებად ლექი.
გვახეთქებს ჩვენივ სხეულის ჯეგირს
გულამღვრეული, უთქმელი ლექსი.
ან რას დატოვებს, ან რას წალეკავს,
ჯერ არც მე ვუწყი და არც შენ იცი,
მოიდებს მაღალ შუბლზე ნარ-ეკალს?
გაიხიდება შუა ცა-მიწის?
მიმყუდროვდება როდესმე, ალბათ,
ქაფივით ციცქნა წიგნის უბეში
და შენთან მოსვლის ათასგვარ საბაბს
მოუმიზეზებს წყლული ნუგეშის.
ნუ დაუმკვიდრებ ლექსს გულის გარდა
მოკვდავის ხელით დადებულ სამანს,
იმ საიდუმლოს მაინც არ გათქვამს,
რასაც ბწკარშუა კირბივით მალავს.
ნურც მუხლისთავზე აუწევ კაბას,
ნურც გადაუხსნი მკერდზე საკინძეს,
სხეული რჩება ხელებში გამბანს
უძლური, როგორც ქუსლი — აქილევსს.
პოეტის სული მეხამრიდია.
სიხარულის და ტკივილის რისხვა
ლექსზე გაივლის, დრო-ჟამის რიდით
და დაამიწებს კაცთაშინ ცის ხმას.
პოეტში დაჩეკს სამყარო ახალ
განცდას და მერე ჩინჩხლივით გვესვრის,
და მერამდენედ დაგვტოვებს სახტად
ისე, უბრალოდ ნათქვამი ლექსით.
გაგვიშლის თითქო მეწამულ ხავერდს,
წყაროსთვალივით მოძებნის უპეს
და ამ მამაძაღლ ცხოვრებას ღამეს
შეყვარებული ქალივით ვუთევთ.

ვისაც რა უნდა, თქვას

მწვანედ შეასკდა მთებს გაზაფხულების ექო.
ხევში ჩათვლემილ დევს ნისლის ნაფლეთი ეგო.
წამოაფრინა მზემ ფრთებშებუმბლული მიწა.
ბალახიანი ფრთით ლამის ლაჟვარდებს მისწვდა.
დამსგავსებია ცა ვარსკვლავებიან ხაროს.
ჩემი ყვავილი კვლავ პატარძალივით ხარობს.
კოკა შეუდგა მთამ მზისა და მთვარის წყაროს,
ვისაც რა უნდა, თქვას,ზეცამ — ყვავილი ცვაროს.

სულ მეშინია

ვაითუ, სულო, სულო ჩემო,
იქ ველარც გიცნო...
რომ ვერ გიცნო და გიუცხოვო.
რომ მეგონო უფრო ლამაზი და მშვენიერი,
რომ დამანახონ შენი სახე,
მე კი გაგექცე ნაშვილებივით,
რომ გაგექცე და შევეკედლო
უკეთური სხეულის ქვაბულს
ან ჩაგიარო, როგორც ცხრაუცხოს
და ვერ ვიგრძნო შენიანობა.
მთელი სიცოცხლე ვცდილობ, როგორმე
დაგიმახსოვრო და შეგეთვისო.

რაღაც დამრჩება, ვიცი, სათქმელი

რაღაც დამრჩება, ვიცი, სათქმელი
და როგორც წიგნში ჩადებულ ყვავილს,
გაოცების ჩქამს — ლექსად გამხელილს,
გაუვა შენი ფერცვარის ყავლი.
თვალიც ეჩვევა სამყაროს ნელა,
ხატავ საკუთარ თავს სულის მტევნით.
ეს ვარსკვლავებიც განა რამეა,
ღმერთის სახლაკის უბრალო მტვერი.
დადიხარ, ღვთიურ ქაოსს იოცებ,
გულიდან იხსნი ტკივილის საბაბს,
ღამეებს, როგორც ერთგულ ნაგაზებს,
შენივე ლექსის კარებზე აბამ.
და ხვითოსავით გინდა, იპოვო,
რაც გადაურჩა ბედად სტრიქონებს,
აქ, შენს არყოფნას — ყოფნის მიზეზით,
სანამ სხვა გული გამოიგონებს.

ანგელოსების ნამოსახლარს

ანგელოსების ნამოსახლარს
მუხლისთავამდე მოსდებია
სანთლები —
ცეცხლის ბილილები.

ნაბიჯს მიბორკავენ ალუბლები —
თითქოს კიდობანში მაცხოვარმა
თეთრი ნუკრის ფარა
შემორეკა.

„წვიმის უქმეა“ და გადიკარა,
ღრუბლები ფეხაკრეფით მიმოდიან.
ნისლის ჭინჭარია
ბილიკებზე.

სჯულმა არაფრობა ამიკრძალა,
ჩემი მარტოობის დაწურვა მსურს
ცარიელი სულის
საწნახელში.

წუხელ ღამეს ვხნავდი სხივის გუთნით,
მიწად ვყნოსავდი და
ბნელსა ვსვამდი.
მღვიძარებაში თუ დამესიზმრე.

ჩემი მარტოობის სტუმარი ვარ.
გარეთ გამოდის და მეგებება,
დები სიხარულით
მოტირიან.

ოთხი დღის მკვდარივით მორჩილი ვარ,
მაგრამ მეჩვენება, თითქოს ჩემში
არასდროს ესახლა
გაზაფხული.

ჩემმა სევდიანმა მაცხოვარმა იცის,
მარტოობის სტუმარი ვარ!
იცის, რომ სიჩუმის
მეშინია.

გასკდომის შიში

ვისაც ნიჭი არ ჰყოფნის,
დანაკლისს თვითკმაყოფილებით
ინაზღაურებს!
ერაზმ როტერდამელი

თუ ერაზმ როტერდამელის აფორიზმს ჩავუღმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ თვითკმაყოფილება ამპარტავნებისგან თითქმის არ განსხვავდება და უნიჭობის უტყუარი ნიშანია. ვიცნობ ასეთ ტიპებს, ცა ქუდად რომ არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, გაფუყულები დადიან და ყველას ზემოდან დაჰყურებენ. ასე გრძელდება მანამ, ვიდრე არ დაიჩუტებიან განგების ნებით და არ მოისვრიან გაცვეთილი რეკვიზიტებივით. რა სასაცილონი არიან, ამაოდ რომ ცდილობენ საკუთარი თავის ისეთივე გაბღენძილად წარმოჩენას, ოდესღაც რომ იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისგან ხელდასხმულები. ცეკას მინიჭებული ძალაუფლება შემოაცვდა დაქირავებულ კრიტიკოსს და მხოლოდ ინდაურივით გაფხორვა და წყვეტილი, დეპეშური ფრაზების წამოყვირება დასჩემდა!

განდიდების მანიითაა შეპყრობილი ავტორი — თვითკმაყოფილებით აღფრთოვანებული და ამ მოკლე ჩართვის მსხვერპლი ანუ ნაადრევად გადამწვარი, თვალი რომ ჰალოგენივით ენთებოდა სიბრაზისგან, როცა ეჭვობდა რომ მას სათანადოდ ვერ აფასებდნენ. ყოველთვის აკლდა სხვათაგან დაფასების დოზა და გამუდმებით ამ თემაზე ფიქრობდა და დიდგულობდა. ცხრამთავრობის ერთგული მორიგ მთავრობას ჰყავს პატივში და ფრთხილობს, ისე გაიბეროს, რომ არ გასკდეს და თავი ხელახლა არ მოეჭრას... თუმცა, ის უკვე შეჩვეულია თავსლაფდასხმას და იოლად უმკლავდება თვალის არიდების წყალობით, მაგრამ დროდადრო ისტერიკაში ვარდება და შურისძიებით შეპყრობილი ოთხივე კედელს აწყდება მორიგეობით, რასაც მოსდევს განტვირთვის ფსიქოთერაპია, მეგობრებში ჩაჯდომა და ფსევდოარისტოკრატული სადღეგრძელოები, ნარცისული მიმოხვრა და პატივმოყვარეობის მწვერვალზე სიამით ყოფნა მანამ, ვიდრე უკიდურესად გაფუყულს და გაბერილს ისევ აეკვიატება გასკდომის შიში!

„მაინც გასკდება!“ — ჩაილაპარაკა პატარა ბიჭმა, როცა მძღოლმა რის ვაი-ვაგლახით დაზიანებილი საბურავი, როგორც იქნა, გამოცვალა, ალმაცერად გახედა ბავშვს და საჭეს მიუჯდა. „მაინც გასკდება“ — გაიმეორა ბავშვმა ხმამაღლა! „წადი, შენი“... — შეგინება დააპირა, მაგრამ გაიაზრა, რომ ძმის შვილს აგინებდა და ისე გაუტყდა, რომ უცბად ხმა გაკმინდა!

სათავე

მშვენირი გრძნობებით იქმნება
ცუდი ლიტერატურა.
ანდრეი ჟიდი

მშვენიერი გრძნობების ლიტერატურად გარდასახვა უმრავლესობისათვის მიუწვდომელია. მშვენიერი გრძნობების მშვენირ ლიტერატურად გარდასახვას, გარდათქმას დიდი ნიჭი სჭირდება, რაც ყველას არ შეუძლია. აი, სად ყალიბდება ჭეშმარიტი მწერალი, პროფესიონალი მკითხველი და, სამწუხაროდ, სად სნეულდება ფრუსტრაციით ზოგიერთი.

ახლა თქვენს ლექსზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას. მშვენიერი ლექსია. უნდა ითქვას, რომ მთელი ლექსი აგებულია უბრალოებასა და საყოველთაო მოხმარების მეტაფორებზე, კერძოდ კი „აქ არი, საბრალო გულში“ და ამას ავტორი შეგნებულად აკეთებს. თითქმის ასეა სხვა ლექსებშიც. სალექსო სტრიქონების სასაუბრო კილოსთან მიახლოება და პათეტიკის ნაცვლად უბრალოების ტონალობის შემოთავაზება საგრძნობია, სვანურ ხალხურ პოეზიას ენათესავება. ზოგჯერ თავს იჩენს ერთი ალბათობა, კერძოდ კი ის, რომ უბრალოება არ გადაიზარდოს საეჭვო ნაივურობაში.

ნაივურობა მეც მიყვარს, როცა ბუნებრივია და არ გადაიზრდება ხელოვნურ პრიმიტიულობაში. ბუნებრივი ნაივისა და ხელოვნური პრიმიტივის გარჩევას სხვა ალღო სჭირდება. ეს ისედაც დავინახე და უბრალოდ მიგანიშნეთ მოსალოდნელ ხიფათზე. ჩემი მინიშნება უფრო ღრმა შრეებს გულისხმობს. მაგრამ ამ თემაზე, მგონი, არ ღირს საუბარი. მხატვრობა დაიწყო მღვიმის კედლების და კლდეების მოხატვით და ბოლოს მივიდა ტილოზე საღებავის სროლამდე ან ვირის კუდით მონასმის შესრულებამდე. გაიარა ყველა მიმდინარეობა საუკუნეების მანძილზე და ბოლოს დაასკვნა, რომ ყველაფერი სისულელეა, მთავარია, ყველაფრის გამოტოვება და არცოდნის სათავეებთან დაბრუნება. ეს სახვით ხელოვნებაში, მაგრამ ლიტერატურაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სემანტიკას, ანბანს, ქვიშაზე წერით რომ დაიწყეს ოდესღაც, ქვეტექსტს, კონოტაციას, მინიშნებას, იგავურობას და ასე შემდეგ. მაინტერესებს, რა მასშტაბს მიაღწევთ ამ ყოველივეს გარეშე. ძალიან საინტერესო ექსპერიმენტია, მაგრამ ფილიაციის უარყოფით, უფრო სწორად, გამოტოვებით, იგივე ხდება, რაც ხელოვნური განაყოფიერებისას, როცა მთავარი გამოტოვებულია. მე თქვენს შემოქმედებით ექსპერიმენტს დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს და მაინტერესებს, რა მოხდება დინამიკაში. ეს წააგავს გახსნილად ბანქოს თამაშს, როცა ბანქოს ყველა ნიშანი ყველასთვის თვალმისაწვდომია.

გზები და ვითარება როგორია მსოფლიოს პოეზიაში, მგონი, ვიცი და გეთანხმებით, გარკვეულწილად მართლაც გამოფიტული, უენერგიო და ნაკლებად მგრძნობიარეა საერთოდ პოეზია, მაგრამ არსებობს ცალკეული გამონაკლისები, შეუძლებელია, არ არსებობდეს. ამ შიშველ და უხამს პათეტიკასა და ნატურალისტურ ყოფითობაშიც არ ჭაჭანებს პოეზია. პოეზია იქიდან უნდა იღებდეს სათავეს, საიდანაც სინათლე იბადება. ამის მიღწევა არ არის იოლი, მაგრამ შესაძლებელია ნიჭიერი ავტორისთვის.

გივი ალხაზიშვილი

ცვალებადი რაკურსი

ერთი საღამოს კონტური

ერთხელაც, სამოციან წლებში, როგორც ყოველთვის, თავი მოვიყარეთ იურა ბაქანიძის სახლში, მალაკნებთან, სადაც ხშირად სტუმრობდნენ ახალგაზრდა მწერლები, ლიტერატურასთან მიკედლებული ადამიანები და გაურკვეველი პროფესიის სუბიექტები. ბრატი შემოგვეგება, ჩაი შემოგვთავაზა. მაგიდას შემოვეწყვეთ, ზოგი საწოლზე ჩამოჯდა, წიგნებისგან სკამიც ააკოკოლავეს. ვიღაცამ ლიტერატურულ პრემიებზე, კერძოდ კი ნობელის პრემიაზე ჩამოაგდო სიტყვა. ჩაის ვსვამდით, თან სახალისო სტროფებს ვამბობდით. რატომღაც ყველაზე მეტად ვაქტიურობდი და სხვების ნაცვლად ვამბობდი ექსპრომტებს. ზოგიერთები ჭადრაკის დაფას ჩაჰყურებდნენ და ჩემი ნათქვამი არც ესმოდათ:

მე ჯარჯი მქვია სახელად,
მინდა პრემია ჟაკობის...
დღესაც ვერთობი მალვინას
უბეში ხელის ჩაყოფით.

ყურადღება ჭადრაკის დაფიდან თანდათან ექსპრომტის მთქმელისკენ გადავიდა და პატიც სწრაფად გაიჩითა. ექსპრომტმა აიყოლია უმრავლესობა, ჭადრაკის დაფაც მოაშორეს მაგიდას.

შემდეგი ოთხსტრიქონედი ვთქვი იურა ბაქანიძის სახელით და დიდი ხორხოცი და ხარხარი გამოიწვია:

იურა მქვია სახელად,
პრემია მინდა ნობელის,
დახტოდა, დაჭრიჭინებდა
საწყალი ჭრიჭინობელი.

მელექსეებს მადა გაეხსნათ. ხმაური რომ მიწყდა, თევდორემ იხუმრა. ყველანი ჯიბეცარიელები ვიყავით, მაგრამ იურა ქესეტობითაც გამოირჩეოდა ჩვენგან, ამიტომ თედოს ხუმრობა მოტივირებული და ირონიულად ხაზგასმული გამოდგა:

თევდორე მქვია სახელად
მინდა პრემია ბრატეცის,
ისაა ჩვენი პატრონი,
დედა, მამა და ატეცი.

გიგლა სარიშვილის ნაცვლად არ ვიცი ვინ, მაგრამ ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა დაფქვა სტროფი:

გიგლიუს მქვია სახელად,
პრემია მინდა საფოსი,
ლესბოსელისას რას ნატრობ,
ისურვე თუნდაც ნაბოზრის.

იურას რომ გამოვემშვიდობეთ და გზას გავუყევით, მექანიკურად ისევ ვაგრძელებდით სახუმარო სტროფების თხზვას, მაგრამ მალე მოგვბეზრდა და დავცალკევდით. ახლა რომ ვიხსენებ იმ დროს, გაოცებული ვარ სარკაზმში გადაზრდილი თვითირონიით, საკუთარი თავის არარად წარმოჩენის სურვილით, თუმცა იქვე, გულისგულში ჩამალულიყო მომავლის იმედი და სახელის მოპოვების მოკრძალებული სურვილი... იმ დღეს სოსო პაიჭაძე გვაკლდა, რატომღაც ვერ მოვიდა. ახლა უმრავლესობა გვაკლია და ვეღარც მოვლენ... ბოლო დანაკლისი ჯემალ აჯიაშვილია, ჩვენი ძვირფასი და უნიჭიერესი ძმა.

* * *

სუბიექტურობის უარყოფა პოეზიაში ლამის პოეზიის უმთავრეს წარმატებად ან წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობად მიუჩნევიათ.

ნებისმიერი ემოცია – დადებითი თუ უარყოფითი, თვით გულგრილობაც კი — არაა თავისუფალი სუბიექტურობისგან. გაათავისუფლე სიტყვა ემოციისგან და გაათავისუფლებ მას გარკვეული სუბიექტურობისგან, შექმნი მხოლოდ ტექსტს ყოველგვარი სუბიექტურობის გარეშე.

ჩემთვის ინდივიდია საინტერესო თავისი ინდივიდუალური განუმეორებლობით, სუბიექტური თავისებურებებით, ხოლო ინდივიდუალობას თუ სუბიექტურობას გამოვაკლებთ, არ ვიცი, პოეტი რაგვარ ტექსტს დაგვიმზადებს, იქნება თუ არა ტექსტში პოეზიის ნატამალი, თუკი, ცხადია, შექმნის პროცესს მწარმოებლობასთან, დამზადებასთან გააიგივებს. სუბიექტურობის უარმყოფლებს საქმე სწორედ შემოქმედების გაუქმებისკენ მიჰყავთ. ისინი გამორიცხავენ „სულის განსაკუთრებულ მდგომარეობას“ ლექსის წერის პროცესში, თავი რომ დავანებოთ ინიციაციის არქაულ მეთოდს, საიდუმლოს ზიარების და განდობის ტრადიციულ, მაგრამ, ამავე დროს, მეტად სუბიექტურ პროცესს, რაც დღემდე მიმზიდველია თავისი განუმეორებელი შედეგებით, სულიერი ენერგიის გაუცნობიერებელი ორგანიზებით, ანუ იმ ძალით, რაც ტალანტის თავისებურებას წარმოაჩენს.

ერთია სუბიექტურობით სპეკულაცია, ფიქციათა კასკადი, სულ სხვაა სუბიექტური გამოცდილების განზოგადების უნარი. თვითმიზანი, სუბიექტურობისგან სრულიად გაათავისუფლო პოეტური ტექსტი, ნიშნავს, სულიერად არ მონაწილეობდე „ტექსტის“ შექმნაში და მიიღო ზუსტად ისეთი შედეგი, რასაც ყოველდღიური ერთფეროვნება ისედაც გვთავაზობს „წერილობის” გარეშე. პოეზიაში დეგრადაციის მრავალი გზა არსებობს. ორი მთავარი გზაა:

1. სუბიექტივიზმი – გადაზრდილი პათოლოგიურ სოლიფსიზმში;

2. სუბიექტურობის სრული იგნორირება.

ორივე შემთხვევაში ის, რაც მთავარია ლირიკაში (სულიერი ზეგავლენის ხარისხი), დაკნინებულია ან დაწუნებული. ამის მიზეზი ერთადერთია – არასაკმარისი ნიჭი, რაც ლიტერატურულ ობიექტს შეგნებულად განაწყობს ტალანტთან საბრძოლველად, რადგან მან სუბიექტურობა მთლიანად დაიწუნა.

* * *

ყოფიერების „აპოლოგეტები“ ან ყოფიერების ნატურალისტურად ამსახველი ტექსტების ავტორები ზუსტად იწერენ ყოველდღიურობის ფსკერიდან ყველაფერს ნებისმიერი ფრაზეოლოგიის მეშვეობით. კონტრკულტურისათვის დამახასიათებელი ანტიესთეტიკა იბრძვის სტერილური განწყობილებებისა და ფსევდომხატვრულობის უარსაყოფად.

არსებობს პოეზია, ყოველივეს რომ პოულობს ყოფნისა და არყოფნის ზღვარზე, სადაც ფიქციისთვის თითქმის არ რჩება ადგილი, იქ სიტყვა მინერალივითაა და გვერდს უვლის გულისამრევ ვულგარულობასაც და სტერილურ ენასაც, უარყოფს სრულ გულგრილობასაც და სიურეალისტურ ფრაზათა ნანგრევების ცრუნოვაციურობასაც.

ბუნებრივია, რომ ახალი დრო ახალ კლასიკას აყალიბებს. ლიტერატურულ ქაოსში ისევ ძველი და ახალი კლასიკა იპყრობს ჩემს ყურადღებას. როცა ახალ კლასიკაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ ახლებურ სიმწყობრეს და არა ტექსტობრივი ნანგრევების ნაირსახეობას, სადაც მხოლოდ სულიერი სიძაბუნე, აუტანელი ეგოცენტრიზმი ან სრული გულგრილობაა გამეფებული.

ლექსის მწარმოებელი (თითქოს პოეტი) მაგონებს სექსინდმენწარმეს, რადგან მან უარყო სიყვარული და იქცა ლექსის მწარმოებელ დაზგად.

პოეზია „სულის ჩამდგმელ“ ქვეყანაში თანდათან ექცევა იმ ყოფის ტყვეობაში, მასკულტურამ რომ გააბატონა. ისინი ბაზრის შეკვეთაზე მუშაობენ.

ახალი პოეტური სიტყვის ნახევრადღიაობას ან ნაწილობრივ დახშულობას უარყოფს ახალი „ენა“, ახალი „ესთეტიკა” (ანტიესთეტიკა), რომელიც ზუსტად ასახავს იმ სულიერ კრიზისს, რაც კარგა ხანია, დამკვიდრდა ცივილიზებულ სამყაროში ავადმყოფური პრაგმატიზმისა და კონფორმიზმის წყალობით.

აი, უიოლესი გზა: სუბიექტურობის დასაძლევად საჭიროა საეჭვოდ ობიექტური ხედვა (აზრი), რომელიც ინდივიდს კი არა, კოლექტივს ეკუთვნის. ასეთ ვითარებაში აუცილებელია უარვყოთ ტრანსცედენტი, დუენდე, სულის განსაკუთრებულ მდგომარეობა, ემანაცია, ანუ ყოველივე ის, რითაც პოეზია საზრდოობს.

როცა ჩვენ გვასწავლიან, როგორი უნდა იყოს პოეზია, ისეთი ადამიანები, თვითონ რომ „აწარმოებენ“ პოეტურ ტექსტებს, მათ ეს უნდა შეძლონ თავიანთი ლექსებით და არა თეორიული რეცეპტებით, რაც მეტად საეჭვო საქმეა.

ნიჭის მფლობელი ღვთის შეწევნით ინდივიდია და არა მასა. და თუკი მასას, ანუ კოლექტივს, აღარ უნდა ნიჭი, ანუ ინდივიდი (სუბიექტი), მაშინ მათი დაშორიშორება გარდუვალია.

ჩვენ ამჯერად სწორედ ამ პროცესის შემსწრენი ვართ.

მაგრამ ისმის კითხვა: იყო კი ოდესმე საყოველთაო მოთხოვნა ტალანტის ნაღვაწზე, თუ მაშინაც და ახლაც მხოლოდ გარკვეულ წრეს ესმოდა მისი?!

* * *

ნიჰილიზმი, რასაც გამუდმებით გვკარნახობს ცივილიზაცია, მთლიანად ცვლის ჩვენს ცნობიერებას და სუბიექტური აზრისთვის, სუბიექტისთვის (ინდივიდისთვის) ადგილსა და სივრცეს აღარ ტოვებს. გარდუვალი ჭიდილი ინდივიდსა და კოლექტივს შორის ამ უკანასკნელის შთამბეჭდავი (თუმცა მოჩვენებითი) გამარჯვებით მთავრდება.

იქ, სადაც ჩვენ შეიძლება სუბიექტურობაზე ავმაღლდეთ, მხოლოდ რწმენაა. უსიყვარულობაში, ურწმუნობაში დაკარგული ინდივიდუალობა აყალიბებს ურწმუნოთა „რელიგიას", რომელსაც ნეგატიურ რელიგიად თუ მოვიხსენიებთ. ღვთის გვერდის ავლით ყველა გზა ჩიხისკენ მიდის. მაშინაც, როცა ფარისევლურად გვწამს და მაშინაც, თუ „ნეგატიური რელიგიის" ერთგულებას ვიჩემებთ. ლოგოცენტრიზმის დეკონსტრუქციის პროცესშიც იგივე ხდება, თუმცა უფრო თვალნათლივ ვხედავთ საკუთარ შეცდომებს.

ერთმა უნიჭიერესმა, უმცროსმა კოლეგამ გამიმხილა: „ადრე ჩემთვის პოეზია იყო რელიგია, ახლა რელიგიაა პოეზია".

* * *

საგულისხმო და ფრიად საინტერესო უცნაური მოვლენაა პოეტი-ქარიზმა. იგი ახერხებს, თავისი პოეზიით აგვიყოლიოს. არის ამ მოვლენაში რაღაც „ავტორიტარიზმის" (იასპერსი) მსგავსი, თუმცა ამ „ავტორიტარიზმიდან" თავის დაღწევა პოეზიიდან თავის დაღწევას გულისხმობს აპრიორულად.

მრავალს არ სურს, დაემორჩილოს პოეტ-ქადაგს, პოეტ-სიბილას, პოეტ-გურუს, პოეტ-წინასწარმეტყველს და ირჩევს გასართობ ლიტერატურას. გაუმარჯოს თავისუფალ არჩევანს!

ცივილიზაცია „სახიფათო" ინდივიდების იგნორირებას იოლად ახერხებს. თამაშის ახალი წესები ლოგოცენტრიზმის დეკონსტრუქციას ემყარება, ხოლო ახალ წესრიგში ადამიანი-არარა რაიმე მსოფლშეგრძნებას ზედმეტ ბარგად მიიჩნევს და უკიდურეს პრაგმატიზმს აღიარებს, როგორც ახალ „აღმსარებლობას".

რა სხვაობაა კამიუს („უცხო") მთავარ პერსონაჟსა და პავლიკ მოროზოვს შორის? ერთი ცივილიზაციის მსხვერპლია, ხოლო მეორე – მარქსისტული ცრუიდეოლოგიის.

ერთი გაუცხოებულია და დანაშაულებრივად გულგრილი, მეორე –აგრესიული და დაუნდობელი ტოტალიტარიზმის მონა. ორივე შემთხვევაში ქრისტიანობა ჩანაცვლებულია „გარელიგიებული" ახალი იდეოლოგიით, ანუ ფიქციით.

დავიწყებული ეპიზოდი

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე ის ოაზისი იყო, სადაც სამოციან წლებში, ეგრეთ წოდებული „დათბობის" ლიმიტირებული თავისუფლებით ვსაზრდოობდით. არც თუ ისე იშვიათად ზღვარს გადავდიოდით და ანტისაბჭოური ლოზუნგებიც წამოგვცდენია. სწორედ ამიტომ 1963 წელს საბჭოთა არმიაში მიკრეს თავი. სამწლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახური სასჯელი იყო ანტისაბჭოური გამოხდომებისთვის. სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ დავუბრუნდი უნივერსიტეტს და აღმადგინეს მესამე კურსზე.

უამრავი ახალგაზრდა იყო ლიტერატურით გატაცებული და ყოველდღიური ყოფა, თუმცა ხელმოკლე და სტუდენტური, ელვარებდა სიყვარულით და აკრძალული წიგნების კითხვით, ულევი სიახლეებით.

უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის მდივანი ბესარიონ ჟღენტი. ბესო თითქმის არ დადიოდა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის სხდომებზე და დისტანციურად მართავდა იქაურობას. მწერალთა წრის გამგეობის თავმჯდომარედ სტუდენტებმა მე ამირჩიეს.

ჩვენი მთავარი მიზანი იყო ალმანახ „პირველი სხივის" განახლება და მთელი ძალისხმევა აქეთკენ იყო მიმართული. შეიკრიბა ახალგაზრდა მწერლების ხელნაწერები, გადაიბეჭდა და, როგორც იქნა, გადაეცა ბესო ჟღენტს წასაკითხად. იმ ალმანახის რედკოლეგიაში ნია აბესაძესა და სხვებთან ერთად მეც შევდიოდი და ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებოდი ლიტერატურული საქმიანობის დინებას, მაგრამ საქმე სახარბიელოდ არ მიდიოდა. ბესო ჟღენტმა არ დააყენა საშველი ალმანახის მასალების წაკითხვას. გამუდმებით მედღეხვალეობდა და ყოველ ჯერზე გვატყუებდა. მრავალი თვე იყო გასული ალმანახის დედნის ბესო ჟღენტთან დატყვევებიდან და ჩვენ, სტუდენტებმა გადავწყვიტეთ, გაგვეთავისუფლებინა ბესო ჟღენტი, ეს უპარტიო, მაგრამ პარტიის წევრებზე ბევრად უფრო კომუნისტი, მწერალთა წრის ხელმძღვანელობიდან. ჯერ შევუთვალეთ, ხოლო მოგვიანებით დავურეკე და ვუთხარი, თქვენ აღარ ხართ ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელი, რადგან ვერ იცლით გამოსაცემი ალმანახის წასაკითხად და ამიტომ ფერხდება მისი დაბეჭდვა! ბესომ მომისმინა, მაგრამ არაფერი მიპასუხა.

ამ საქმეში მხარს გვიჭერდა მთლიანად ახალგაზრდა მწერალთა წრე. ჩვენმა შეტევამ გაჭრა, ალმანახის მასალები ბესომ წაიკითხა, დასაბეჭდად აუცილებელი ხელმოწერაც დატოვა გამოსაცემ ალმანახზე და სასწრაფოდ დაიბეჭდა. „პირველი სხივის" ახალი ნომრის გამოცემის შემდეგ ბესო ჟღენტი საერთოდ დაგვეკარგა და უნივერსიტეტში აღარ გამოჩენილა. ეს ეპიზოდი არასოდეს დამიწერია და ახლა გავიხსენე შეგნებულად, რათა დავიწყებას არ მიეცეს ის სიცოცხლით აღსავსე დღეები.

ახალგაზრდა მწერალთა წრე, რომელსაც მე და ჩემი მეგობრები ხუმრობით, ამ დასახელების აბრევიატურას — ახმწ-ს ვეძახდით, დიდი სკოლა იყო დამწყები მწერლებისთვის და შეუძლებელია იმ დროის მნიშვნელობის და გამოცდილების მივიწყება ან დაკნინება.

* * *

გამოქომაგება მაშინაა გამართლებული, როცა მეგობარი პოეტი არ ტკეპნის იმავე ადგილს, როგორც მრავალი წლის წინათ. ამას კი, სამწუხაროდ, საკუთარ ხიბლში ჩავარდნილს, არ ვიცი, რა ეშველება, თუ ერთხელ თვითონვე არ შემოილაწუნა სიფათზე. იმავე ინერციაში თუ ჩარჩებიან, მაშინ რა გამოვა? კრიტიკოსი და პოეტი, ორივე მრავალი წელია, ერთად ტკეპნიან იმავე ადგილს, სინამდვილეში ერთმანეთს, სადაც უკვე მოუშუშებელი ჭაობი სტკივა მიწას! მგონი, ისეთი პრიმიტიული გამოხმაურება იქნება, როგორიც ახასიათებს საკუთარ პერსონაზე შეყვარებულ (შეყვერებულ) დამკვეთს და მის ბეჯით შემსრულებელს! ვნახოთ, გამართლდება თუ არა, ჩემი ანტიციპაცია? ამბიციური პრიმიტივიზმი აქეთ უნდა წავიდეს, როგორც „გადარჩენის" ერთადერთი გზისკენ. ყველა ცდილობს „სპისოკში" სამუდამოდ დარჩენას, მანამდე მაინც, ვიდრე ცოცხალია. აი, მერე როგორ მიეხმარებიან საკუთარ სახელს, ძალიან უინტერესოა, რადგან ყველაფერი ნათელია. მაამებლობით დეფორმირებული აწმყო შესაბამის მომავალს უნდა ელოდოს.

ქაცვიამ გამიმხილა:

როცა ქალი ძალიან მომწონს, ეგრევე საზარდულით ვგრძნობ მის სავარაუდო სიღრმეს და ეს შეგრძნება იმდენად რეალურია, რომ, მგონი, ისიც აღიქვამს წარმოსახვით, მე რომ შევაღწიე მასში და წამით გავისუსე, ალბათ ამიტომ წამოდგა ძელსკამიდან და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. წამოდგომისას ხელი ისე ჩამოისვა თხელ, ლამაზ თეძოებზე, თითქოს იქ რაღაც მოსინჯა, მერე კი თეძოების შეთამაშებით შეამოწმა...

ქალბატონო ი-მანო!

არაკომპეტენტურობა აუქმებს თქვენს გადაჭარბებულ ამბიციას ლიტერატურის შეფასებისას და ისღა მრჩება საპასუხოდ, რომ გულიანად გავიცინო ან ერაზმუს როტერდამელივით ვაქო სისულელე, სამწუხაროდ, ასე დაფასებული რომ არის ჩვენში და რომლის კონკრეტული მაგალითიც თქვენ ბრძანდებით!

დიდია თქვენი წვლილი იმ წიგნის პოპულარიზაციის საქმეში, სადაც, როგორც ამბობთ, ორიოდე ეპიზოდს იწუნებთ, სინამდვილეში კი საბჭოური ყოფის აპოლოგეტად რჩებით და თქვენი მსოფლმხედველობა საზრდოობს მარადმწვანე საბჭოურობით.

ძალიან გამიხარდება თუ თქვენ, ორიოდე აბზაცი კი არა, არაფერი მოგეწონებათ ჩემი შემოქმედებიდან და ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნება! ჩვენ ერთმანეთს გამოვრიცხავთ და ამიტომაც, სამწუხაროდ, შეუძლებელია უკიდურესობათა თანაარსებობა.

ერთი მუალაკას და ერთი ლექსის ამბავი

70-იანი წლების მიწურულს, მხატვრული თარგმანის კოლეგიაში სარეცენზიოდ გადმომცეს არაბული მუალაკების ქართული ვერსია. ნანა ფურცელაძის თარგმანმა ჩემზე მძლავრად იმოქმედა, იმდენად მძლავრად, რომ მრავალი წლის შემდეგ, ლექსების კრებულში „ჩაბრუნებული მზერა", 2010 წელს რომ დაიბეჭდა გამომცემლობაში „საუნჯე", შევიტანე ერთი უსათაური ლექსი და ნანა ფურცელაძეს მივუძღვენი.

ერთ-ერთ მუალაკაში თამამად არის აღწერილი, დედა როგორ აწოვებს ძუძუს ბავშვს და ამ სცენას როგორ შემოემატება, სავარაუდოდ, მუალაკას ავტორი, ან ვთქვათ თვითმხილველი მამაკაცი და, როგორც ძველად ამბობდნენ, მიუდგება ქალს. ეს ტრიო წარმოვიდგინე და ჩემი დამოკიდებულება, ამ ერთი შეხედვით ბუნებრივ სიტუაციასთან, მაშინაც და დღესაც ორჭოფულია, თუმცა, უცენზუროს ვერ ვუწოდებ იმას, რამაც თავი ასე მძაფრად დამამახსოვრა. ერთი რამ კი უნდა ვაღიარო, ასეთი დიონისური სცენა არასოდეს ასე პოეტურად არავის აუსახავს.

მთარგმნელისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსში გაბნეულია მაშინდელი შთაბეჭდილების ფრაგმენტები. მუალაკა ბედუინების ყოფის მნიშვნელოვანი ანაბეჭდია *და სწორედ ამაზე გავამახვილე ყურადღება.*

და ქარავანთა მოქანავე
ძილღვიძილშიაც
მონატრებულ ტაქტს პოულობენ
მუალაკები.

„მონატრებული ტაქტის" განმარტებას არ შევუდგები, ალბათ ისედაც ნათელია. მუალაკები ისლამამდელი ტექსტებია და დღესაც დიდი ინტერესით იკითხება. საყურადღებოა, რომ მუალაკა ზეპირსიტყვიერებით ინახებოდა და ასე გადაეცემოდა თაობებს. გვიან ჩაიწერეს და გამოაქვეყნეს. გამოდის, რომ მუალაკას გულში წერდნენ და იქვე ინახავდნენ, რათა მერე სხვებისთვის გაეზიარებინათ:

„და შენი ფიქრი
ბედუინთა მუალაკებს ისე წააგავს,
რომ გულში იწერ, იმახსოვრებ
და ელოდები გულისფანცქალით,
რომ პირველსავე შემხვედრს გაანდო..."

ნანა ფურცელაძის თარგმნილ მუალაკებზე მთარგმნელობითი კოლეგიისთვის დავწერე დადებითი რეცენზია. მუალაკები ცალკე წიგნადაც გამოიცა.

ათეული წლების შემდეგ კი ლექსიც მივუძღვენი ამ საყურადღებო ლიტერატურულ ფაქტს. ეს პატარა ეტიუდი მხოლოდ იმიტომ გამოვაქვეყნე, რომ მკითხველმა გაიგოს კონტექსტი, რომელიც საინტერესო ნიუანსებს ინახავს.

ფიტულები

ისინი, ერთი სოციალური ჯგუფის პერსონაჟები, მათთვის უმთავრესი, მაგრამ ცრუ-ღირებულების გათვალისწინებით მიჰყვებიან ინერციას, პირველ ბიძგს რომ მოჰყვა და ჯერ კიდევ ირწმუნებენ თავს, რომ თვითონ მოძრაობენ. ეს მოჩვენებითობა არის მათი „სიმტკიცის" დულაბი და მექანიკური ტრადიცია თუ ტრადიციული მექანიკა, როგორც ერთობის პირობითი საყრდენი, რასაც სწრაფად აუქმებს რომელიმე მათგანის თანამდებობრივი დაწინაურება ან დათხოვნა, უცბად გასქელებული ჯიბე ან მოსალოდნელი დაპატიმრება.

რადიკალურად განსხვავებულ მენტალობას რომ გადააწყდებიან, აუტანელი დისკომფორტი აფორიაქებთ და მყისიერად კარგავენ წონასწორობას. საბრალო „ფიტულები", ახლაც ჩამესმის მათი გაბმული წკავწკავი...

* * *

ერთმა უფროსმა კოლეგამ გამიმხილა: „გარდა მზის ამოსვლისა, უკვე არაფერი მიკვირს!"

ჩემი უფროსი კოლეგა ჩემი ალტერ ეგოა, იმან იცის ხოლმე რაღაცების ჩაჩურჩულება. არ ვიცი, რამდენი ათეული წლით თუ ათასწლეულით უფროსია და ვერასოდეს გავიგებ. ამ ფრაზას ორგვარი წაკითხვა აქვს. ერთი ის, რომ მზის ამოსვლა მარადიული სასწაულია და მეორე კიდევ სულ სხვა, ეკლეზიასტეს სემანტიკურ ტონალობასთან მონათესავე...

დროში ანუ აბანოში...

„1980-იან წლებში პროგრესის შემდგომი განვითარების წადილით აღვსილმა დასავლეთის აკადემიურმა პროფესურამ ლიტერატურულ ინსტიტუტებს უნდობლობა გამოუცხადა. გულისდამწყვეტი იყო ფართოდ გაშლილი და ერთობლივი, დეკონსტრუქციული ბიძგების აღქმა (ხელის შეშლა, დევნა ან მთავრისათვის ტვირთის შემსუბუქება) აკადემიურ კრიტიკოსთა მხრიდან, და ისიც, თუ როგორ ბეჯითად მისდევდნენ მოწყალებისთვის გაბატონებულ იდეოლოგიას, რათა გამთანაბრებელ, კომფორმისტულ ძალას მნიშვნელოვანი გამარჯვება მოეპოვებინა. იგივე კომფორმიზმი მდუმარედ იღწვის და გვაწვდის სხვადასხვა პოპულარულ რჩევას: ტექსტის მნიშვნელობისგან დაცლას, ესთეტიკური ღირებულების გაუქმებას, ლიტერატურულ კანონთა სახეცვლილებას სოციალური მიზნების სასარგებლოდ, ლიტერატურის გადაქცევას სოციალურ მოძღვრებათა თანაშემწედ, ლიტერატურული ტექსტების გათანასწორებას მოხმარების საგნებთან და სხვა მრავალს. და ყველას აერთიანებს მშიშარა მოლოდინი, ლიტერატურის რეაქციულმა ენერგიამ ერთბაშად, ჰკა მაგასო, არ დაიძახოს. ლიტერატურულ კანონთა ავტორიტეტისა და პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე იშვიათადაა ამბოხებისა და გათავისუფლების აქტი. თითქმის ყოველთვის, ესაა მცდელობა გაათანაბრო და დათრგუნო ესთეტიკის უნიკალურობა და ქედუხრელობა, წაშალო მეორადი და ლიტერატურა აიძულო შეგვაჭროს." (ვერჯილ ნემოიანუ — „მოკლე თეორია მეორადისა". რჩეულთა ბიბლიოთეკა 39).

დასავლეთში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ექომ ჩვენამდეც მოაღწია და, როგორც ყოველთვის, უკრიტიკოდ, დაეჭვების გარეშე, შეუფასებლად მკვიდრდება ჩვენს ლიტერატურულ პროცესში. განსაკუთრებით გაბატონდა ესთეტიკის უარყოფის ტენდენცია და არაფრისმთქმელი ტექსტების უშინაარსო და მაკულატურული სიჭრელე. ესთეტიკის უარყოფა და გამოფიტული ტექსტები, სარფიან ტენდენციად იქცა და ლამის ავანგარდად მონათლეს. ასეთი ავანგარდი სოციალური მუშაკის მოვალეობებს ითავსებს და ცდილობს ესთეტიკის გაუქმებას, იმის მომიზეზებით რომ ესთეტიკა ზედმეტი ბიჟუტერიაა, უაზრო სამკაულია და რაც შეიძლება მალე უნდა გაქრეს ლიტერატურიდან. ამათი მსოფლმხედველობა ჯერჯერობით მხოლოდ ნეგატიური ფუნქციებით იფარგლება, რადგან რაიმეს შენების შემოქმედებით უნარს ვერ ან არ ამჟღავნებენ და მათთვის შენება და ნგრევა გათანაბრებული ქმედებაა. დეკონსტრუქცია მაშინ არის შედეგიანი, როცა ათვისებული გაქვს ის, რის დეკონსტრუციასაც აპირებ, ახორციელებ. როცა არ იცი რას და რატომ შლი, ანგრევ, ჩვეულებრივი პრიმიტივი ხარ და ჰეროსტრატეს ემსგავსები და დეკონსტრუქციით რაიმე ახალს კი არ ქმნი, არამედ საკუთარ უუნარობას ამჟღავნებ.

ნებისმიერი ესთეტიკის პაროდიით ჩანაცვლება ანუ გაუქმება, ან ნაკლული ნიჭის ანდა ანარქიის გაფეტიშების დაჟინებული მცდელობაა და ამ პროცესის შედეგი არცთუ იშვიათად, თითქმის საუკუნის წინათ არსებულ, პროლეტკულტურ ტენდენციებს იმეორებს და ამკვიდრებს. მე არ ვამბობ ეს კარგია თუ ცუდი, მხოლოდ აღვნიშნავ იმას, რაგვარი ტენდენცია ცდილობს ჩვენში დამკვიდრებას. ესეც ჩვეულებრივი, ბუნებრივი ლიტერატურული პროცესია, ცხადია, სოციალუ-

დასასრული მე-16 გვერდზე

შალვა საბაშვილი

და არ მაშინებს

მინდა ჩავტიო სტრიქონთა ზღვაში
სიცოცხლე მთელი — ბინდიც და ბრწყინვაც,
და დასასრულის ქარმა მერეღა
ატეხოს გრგვინვა!

მინდა ენძელებს, იებს და ვარდებს
შევაგრძნობინო ერთობა ჩვენი,
თუ ამას შევძლებ, აღარ მადარდებს
მომავლის დღენი.

მე მესმის, როგორ ასკდება მინებს
ჩიტთა ჟღურტულის ყრუ სიტკბოება,
და არ მაღელვებს, და არ მაშინებს
უსაზღვროება...

შექმნა და არა ასახვა

მზერას სხვა სივრცე ექნება,
როცა ვეება მთას ახვალ.
ლექსი რა არის? შექმნაა
და არასოდეს — ასახვა.

რამდენი ხედი დაბერდა,
დრო შავით მრავალ სვეს ღებავს.
რა არის ლექსი? შთაბერვა
და არასოდეს სესხება.

თუ ქმნი, გჭირდება იქ ნებაც,
ითხოვ სხვა ფერს და სხვა ხალისს,
მაშ რაა ლექსი? მიგნება?
არა — შექმნაა ახალის.

პოეტს ცის შესამკობარად
უცხო ბურუსი ებურვის,
და ლექსიც გამოხმობაა
მანამდე არარსებულის.

მერე რა, თუკი ახურავს
სივრცე შუქად და ჩრდილებად,
თუ ახლავს ადრე ნახული
ფერი ან შთაბეჭდილება?

თუ მასში უხვად იხარა
მრავალმა თესლმა მოსავლად?
რა მოხდა?ღმერთმაც იხმარა
თიხა ჩვენს შესსამოსავად...

მოგროვდით!

გადარჩენილო ნაფლეთებო წარსულის გემთა —
მოგროვდით ჩემთან!
მიმქრალნო ნაშთნო შორ წარსულში ჩარჩენილ წლების,
მოაწყდით ჯებირს!
თუკი ხართ სადმე, შეფენილნი მთებსა თუ ვაკეთ,
გამოსწით აქეთ!
წინათ ჩემგანვე მიმოფანტულთ უშურველ ხელით
დღეს რარიგ გელით!
შორს მოტივტივე ნაფლეთებო წარსულის გემთა
შემოკრბით ჩემთან!

გაქრება სკალა

ჟამს სათვალავი აერია,
წამნი ვეღარსად მკვიდრდებიან,
ირგვლივ მიწაა, ჰაერია,
ზღვაა, მთებია, მინდვრებია.

რაც ოდეს ჩამიფიქრებია,
ცას უპასუხოდ შესეულა,
აქ არსებანი იქმნებიან,
მერე ჰქრებიან მეყსეულად.

რა მიიღწევა ქმნილებებით?
სხვა სულს სჭირდება სხვა სხეული,
მოფანტულია ქმნილებები,
საკუთარ წნევით დამსხვრეული.

მთავარს არავინ შეხებია,
თასები ისე გამოცალეს,
ხოლო საგნები მეხვევიან
და უფრო ჰგვანან გამოცანებს.

ყოფა შუქია დანაფენი,
სხლტება სარკმლითაც, კარებითაც,
არ გადარჩება არაფერი
შეფასებათა სკალებიდან!

დილა და საღამო

ვერავინ ჩასწვდეს დიდი ხნის წინ განსაზღვრულ ვადებს,
ყოფის სანახებს გაუვალი ბურუსი ადგას,
ყოველი დილა აურაცხელ ოცნებებს ბადებს,
ყველა საღამო ანადგურებს თვითეულ მათგანს.

თუმც ყველაფერი მოიქსოვა წესრიგისაგან,
მაინც მშფოთვარ სულს კვლავაც ბევრი რამ გადახდება,
დილა ხალისით მრავალ დიად მიზანს გისახავს,
საღამო - გვამცნობს, რომ ვერ შესძელ მათი ახდენა.

აღშენებათა გინდა იყო მძლე თანამგზავრი,
თავს არ იზოგავ, მაინც მუდამ გედება ვალი,
დილით ყოველგან აურაცხელ დესპანს აგზავნი,
საღამოს ხვდები, რომ არცერთის აღარ ჩანს კვალი.

გულს გიკლავს ზეცაც, თუმცა იგი ვერ გაბოროტებს,
ხვდები — უცნობი სამოსელი სივრცეს აცვია,
დილით უშქარი ყვავილები ესხმება ტოტებს,
საღამოს — ყველა მიყოლებით დაბლა დაცვივა.

ო, რამდენი ზღვა რამდენ მწვერვალს ტალღებს ახლიდა,
შენ აღტაცება გიხმობს, მაგრამ წუხილს უნდები.
დილით იმედით ფრთაშესხმული გახვალ სახლიდან.
საღამოს — სასტიკ ხელმოცარვით სახლში ბრუნდები.

და ვერ გაუგებ ოდეს ჩათქმულ გზებსა და ვადებს,
საოცარ წუხილს უშენს შენს ბედს ცა მიუკვლევი,
ყოველი დილა აურაცხელ ოცნებებს ბადებს,
ხოლო საღამო — აცამტვერებს ყველას უკლებლივ.

ფიქრთა გირლიანდები

ფიქრს მრავალი რამ ეპატიება,
სხვას ნიშნავს მისი უზრუნველობა,
ძებნის შეწყვეტაც არის ძიება
და შეჩერებაც არის მსვლელობა.

უფრო ჩქარსა გვხდის უკან განხმობა,
ეჭვიდან ჩნდება მზე უტყუარი,
უარის მიხლას ნიშნავს თანხმობა
და დათანხმებას ნიშნავს უარი.

შორი ახლოა, ახლო— შორია,
მარად უძრავი — შებარბაცდება,
ზუსტად გათვლილი ტრაექტორია
აუცილებლად მიზანს აცდება.

მორჩილდებიან სწორედ ურჩები,
არრა აქვს მას, ვინც რამეს არ იკლებს,
მთლად გარდაუვალს გადაურჩები,
შემთხვევითი კი მოგინარიკლებს.

დიდია მცირე, მცირეა დიდი,
არავის სტკივა მიწისა, ცის მეტს,
რასაც არ ებრძვი, ის გიწყებს ჭიდილს,
ვისაც არ უხმობ, ის უფრო გისმენს.

ბევრთან ყოფნისას ხდები ეული,
მკაცრი გაწირვით უფრო გვშველიან,
ყველას მჩაგვრელი არის ძლეული
და ყოვლად სუსტი უძლეველია.

უდაბნოს უფრო შვენიან ჩირგვნი,
ელვარე სხივი — გარემოს ბინდავს,
წესის მორჩილი ცოტაა ირგვლივ,
დამრღვევი მისი — რამდენიც გინდათ!

ძაღლის ყეფა გვიან ნაშუაღამევს

ყეფს, ფერდობს მიღმა, რა ხანია,
გაბმით ყეფს ძაღლი,
იყეფე, ძაღლო, სივრცის სმენას
ვერაფრით დაღლი!
შენ საჭირო ხარ —
ერთადერთი დარჩი არსება
ამ ცარიელი შუაღამის
ამოსავსებად.
შედის სივრცეში შენი ყეფის
მუსიკა წყნარი,
ისე, ვით მტკვრისა კასპიაში
იღვრება წყალი.
იყეფე, ძაღლო, ნათელხილვა
გადაგფენია,
შეგირჩევია ჟამი ზუსტად—
დღეს ის შენია.
მბრძანებლობ სივრცეს, რაგინდ მტკიცე
ჯაჭვებით ება,
ხვალ — ბატონობის წამით არვინ
არ მოგცეს ნება!
მტკიცეა ყოფა, თუმცა ფუძე
მარად ერწევა,
დაატყვე მასში სამუდამოდ
შენი ფერწერა!

გუნაი მამედზადეს მოხსენების შემდეგ დარბაზში რამდენიმე წამით სიჩუმემ დაისადგურა. მერე წამყვანმა ტაში დაუკრა და დარბაზი აგუგუნდა. მე ჩემ ოპერატორს ხელი მივარტყი, პირღია უყურებდა ხალხს. მეეჭვება, მოხსენების შინაარსი გაეგო, სიჩუმემ დააბნია და კამერის ჩართვა დაავიწყდა.

— ნუ იცი დაშტერება! — მივაძახე და მამედზადესკენ დავიძარი. წინა საღამოს ინტერვიუზე დამთანხმდა, მაგრამ გენიოსებს ხომ პასუხისმგებლობის გრძნობა არ აქვთ, მთელი საღამო ვურეკავდი და არ მპასუხობდა. ჩემი პროდუსერი დილამდე მლანძღავდა და სამსახურიდან გაგდებით მემუქრებოდა. საქართველოში ჩატარებული კონფერენციის მონაწილე ვარსკვლავი ჩვენ არხს რომ არ გაეშუქებინა პირველად, ისე როგორ იქნებოდა? თბილისში რომ დაბრუნდები, აქ აღარ იმუშავებო, მითხრა და ყურმილი დამიხეთქა. ყურმილის დახეთქება რასაც ნიშნავდა კი ვიცოდი — გამოიძახებდა იმ თავის ბოზანდარა მარჯვენა ხელ ანიას და გამოუშვებდა პირველივე თვითმფრინავით. ანია ასეთებში მაგარი იყო. იღებდა ჩვენი ხელფასის ოთხმაგ ოდენობას და მუშაობდა მხოლოდ მაშინ, როცა პროდუსერს საქმე უვარდებოდა. ვიცი, ჩამოფრინდებოდა, აეროპორტშივე მოახერხებდა ინტერვიუს დაგეგმვას და ნასადილევს უკვე მამედზადეს ლოგინიც და ინტერვიუც მოთავებული ექნებოდა. რაღაც ქონდა ამ ქალს ასეთი — ქალი, კაცი, გეი თუ სულიერი ლიდერი წინაღობა არ იყო. რომის პაპის შეხვევა შეეძლო და ელტონ ჯონს ოჯახს დაუნგრევდა. ანიას ჩამოსვლა და ჩემი სამსახურის დაკარგვა ერთი იყო, ამიტომ პროდუსერს ათი წუთი ვაცალე რისხვის დაცხრომა და გადავურეკე, ინტერვიუ თითქმის გადაწყვეტილია, მამედზადე შუადღეს ბიჭვინთაში აპირებს წასვლას და იქ დავგეგმეთ ჩაწერა-მეთქი, მოვატყუე.

— იცოდე, ტყუილი არ მითხრა, თორემ მარტო სამსახურიდან კი არ გაგაგდებ, ვასო, ჩემი ხელით გამოგიღებ მაგ ბუასილიან სწორ ნაწლავს (ჩემი ენა რა ვთქვი, სამი თვის წინ ვახსენე, ბუასილი მტანჯავს-მეთქი) და ჰალსტუხის მაგივრად დაგკიდებ! იცოდე, ინტერვიუ პირველებმა ჩვენ უნდა გავუშვათ და იცოდე, კარგად დაიმახსოვრე, ისე უნდა გამოწოვო, გამოწუწნო, გამოშიგნო და გამოწურო, რომ სხვა ჟურნალისტთან დალაპარაკების სურვილი უახლოესი ერთი თვის მანძილზე საერთოდ არ გაუჩნდეს, გასაგებია?

რა თქმა უნდა, გასაგები იყო. მეტიც, გარკვევით წარმოვიდგინე პროდუსერის სახე და ხელის და ტუჩების მოძრაობები, როცა გამოწოვა-გამოწუწვნა-გამოშიგვნაზე ლაპარაკობდა. მივხვდი, მაგარ შარში ვიყავი.

სასაცილოა ხოლმე, პირველობის ეს დაუოკებელი სურვილი. ჩემს პროდუსერს რომ ჰკითხო, საყვარელ ქალთან დეფლორაციის ლეგიტიმური უფლების მოთხოვნა დანაშაულია, ვიღაც დარეხვილი მეცნიერის ინტერვიუს პირველობის დათმობა კი სახელმწიფო ღალატის ტოლფასი, მაგრამ რას ვიზამთ, რაც უნდა მაღალი თვითშეფასება გქონდეს, თუ Procyon lotor-ის ოჯახის წარმომადგენელი ხარ, თავის ოჯახში ყველაზე წვრილ Leopardus pardalis-ისთანაც ვერაფერს გააწყობ. უნდა სასურველ დროს დაელოდო, როცა ის მოკვდება და მერე შეგიძლია, ლეში მშვიდად მიირთვა.

მამედზადე პრეზიდიუმის მაგიდასთან იჯდა ინვალიდის სავარძელში, ახლოს მივედი და ხელი გავუწოდე. „მე ვასო ვარ, თბილისელი ჟურნალისტი, ინტერვიუზე შევთანხმდით.“

გუნაიმ შემათვალიერა და იმ წამსვე წარმოვიდგინე, რა უპირატესობა ჰქონდა ჩემნაირ ყურებგაფარჩხულ, აწითლებულსახიან, პერიოდულად ენაბრგვილ ჟურნალისტთან ანიას თავისი ბუნებრივად სქელი ტუჩებით, გაბზეკილი უკანალითა და ატირებამდე მისული დიდი შავი თვალებით. რაც შემეძლო საწყალი სახე მივიღე და სასოწარკვეთილმა ვუთხარი — თუ ვერ ჩაგწერთ, სამსახურს დავკარგავ.

გუნაიმ მარჯვენაზე მომკიდა ხელი და გვერდით მდგომ მეცნიერთან საუბარი განაგრძო. ოპერატორს თვალით ვანიშნე, კამერა ჩართული გქონდეს-მეთქი და ისე გავისუსე და გავშეშდი, Gecko-სავით შევეზარდე გუნაის მარჯვენას. დარწმუნებული ვარ, უცხო თვალისთვის მხოლოდ მისი ხელის გაგრძელება ვიყავი და არაფერი სხვა.

გუნაი გაუჩერებლად ლაპარაკობდა, მარცხენა ხელს, რომელიც თავისუფალი ჰქონდა, ხშირად იდებდა საფეთქელზე და მერე გაუჩერებლად იქნევდა ჰაერში. დაალოებით ათი წუთი ასე გავატარეთ, მერე კი შეტევა დაეწყო და გულყრა დაემართა.

იმ სიტუაციაში მე სრულიად ზედმეტი ვიყავი, ძალიანაც რომ მდომოდა, ახლოს ვინ მიმაკარებდა, მაკენას ოქროსავით ან მეტიც, წმინდა პატრიკის ნაწილებივით იყო — ვინც შეეხებოდა, მეცნიერული ცხონება გარანტირებული ჰქონდა და ჩემნაირ შემოხეტებულის ადგილი იქ აღარ იყო.

ერთი ისღა მოვასწარი, ჩემი ტელეფონის ნომერი ქაღალდის ნაგლეჯს მივაჯღაბნე, ისიც მივაწერე, ჩემთვის ეს უკანასკნელი შანსია, თუ ვერ ჩაგწერთ, კარიერული სიკვდილი გარანტირებული მაქვს და მხოლოდ იმიტომ მაინც უნდა გამოჯანმრთელდეთ, რომ ხვალ შუადღემდე ინტერვიუ ჩამაწერინოთ-მეთქი და შარვლის ჯიბეში ჩავუტენე. დაცვამ ქეჩოში ხელი ჩამავლო და უკან გამათრია.

პროდუსერთან დარეკვას აზრი აღარ ჰქონდა, არც მის დარეკილს ვპასუხობდი. ვიცი, დილიდან მოყოლებული ოპერატორთან რეკავდა და ყურმილის ჩემთვის გადაცემას ითხოვდა, მაგრამ მე ჯიუტად ვიშორებდი თავიდან. ალბათ, ანია უკვე თვითმფრინავში იჯდა და სოხუმისკენ მოფრინავდა. მე შუადღეს კაფე „21 მხიარულ თოლიაში“, ალბათ, მეთხუთმეტე ნაყინს ვჭამდი და მთელი გულით ვლოცულობდი მესამე მსოფლიო ომი აქ, სოხუმის ბულვარში დაწყებულიყო, რომ მიზეზი მომცემოდა თბილისში იარაღით დავბრუნებულიყავი და პროდუსერი მომეკლა.

სოხუმი სხვა საკურორტო ზღვისპირა ქალაქებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ყოველთვის უცნაური ხალხი იკრიბებოდა. უცნაურობა იქნებ არც ვალენსიას ან იბიცას აკლდეს, მაგრამ ჩემთვის სოხუმის უცნაურობა მაინც გამორჩეული უცნაურობა იყო. შეიძლება ეს იმის ბრალია, ბებია აფხაზი რომ მყავდა ან სულაც იმის, რომ ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელი და ბნელი მონაკვეთები, ისევე როგორც ჩემი ქვეყნისა, ამ ქალაქს უკავშირდებოდა.

ისევე როგორც თავის დროზე ბრმა თეოდოსმა, აფხაზეთის აფხაზმა მეფემ, საკუთარ სახელმწიფოზე ნებით თქვა უარი და ერთიანი საქართველოს მომავალ მეფეს ბაგრატს, ალალ დისშვილს, საკუთარი სამეფო გადასცა, მამაჩემმაც, პირველი ცოლი, რუსი გენერლის ქალიშვილი მიატოვა და დედაჩემი, პლეხანოველი ნეიკო მოიყვანა ცოლად.

მამა არ მახსოვს. იმავე წელს, როცა თბილისში ჩაუსიძდა დედაჩემის ოჯახს, აფხაზეთში ომი დაიწყო. მამაჩემი მოხალისედ წავიდა და ოთხ თვეში ცინკის კუბოთი დააბრუნეს. როგორც დედა ამბობდა, ომში წასვლამდე მამა ხუმრობდა, რუსმა გენერალმა ომი ჩემ გამო დაიწყო, ჩემი დაბრუნება უნდა თავისი ფსიქიკურად აშლილი ქალიშვილისთვისო. მამა უწამებიათ. თვალები დაუთხრიათ და მერე მოუკლავთ.

როდესაც აფხაზეთი ისევ საქართველოს დაუბრუნდა, სოხუმიდან ახალგაზრდობა თბილისს მოაწყდა. თბილისში სასწავლებლად ჩამოვიდა ჩემი მომავალი ცოლიც, ელენე, ვინც ორი წლის თავზე შვილი მაჩუქა. ახლა კი ამავე სოხუმში ჩემ კარიერას ბოლო ეღებოდა და ვერაფერს ვცვლიდი.

ბულვარში ცოლისძმა დავინახე. ელენეს ნათესავებთან არც ჩამოსვლის დღეს მივსულვარ და ახლა მითუმეტეს არავისი დანახვა მინდოდა. დაწნულ სკამზე მაქსიმალურად ჩავიჩოჩე და პლაჟზე ნაყიდი ქუდი ბოლომდე ჩამოვიფხატე. თემრაში კაფეში შემოვიდა ორ ტურისტთან ერთად და რამდენიმე მაგიდის იქით დაჯდა. თავის მოჩვენება, თითქოს ვერ შევამჩნიე, შეუძლებელი იყო — იმხელა ხმაზე ლაპარაკობდა, მე კი არა ოჩამჩირეში მთვლემარე მოხუცები გაიგებდნენ. წამოვდექი და თავზე დავადექი.

თემრაში ახალი თაობის აფხაზი იყო. არ ჰქონდა უაზრო აკვიატებები ეროვნული თვითგამორკვევის და ტერიტორიული თვითიდენტიფიკაციის თაობაზე. მართავდა სათამაშო აპარატების ქსელს და ბედნიერი იყო იმით, რომ შავ ზღვაზე ყველაზე მეტი ტურისტი მის ქალაქში იყრიდა თავს. ტურისტებს კი, როგორც წესი, ფულის დახარჯვა არ ენანებათ, არ ენანებათ განსაკუთრებით სოხუმში, ქალაქში, რომელიც ლას-ვეგასზე უფრო უცნაური ჰაერითაა გაჯერებული — თითქოს ჟანგბადში რაღაც ნივთიერებას ურევენ და ადამიანს არათუ ძილის სურვილი ეკარგება, მუდმივად აღგზნებულ მდგომარეობაში ატარებს თავისი ოცდაორსაათიანი სიფხიზლის დიდ ნაწილს.

ტურისტები, როგორც ადრე, ახლაც ძირითადად პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან იყვნენ. და, ძირითადად, ქალები. აფხაზეთს ყოველთვის ჰქონდა ეს განსაკუთრებულობა — თუ კაცებს იბიცა უფრო იზიდავდათ, ქალებს აფხაზეთის კურორტები მოწონდათ. არ ვიცი, ეს განსაკუთრებული კლიმატის, მისტიკური ბუნების თუ წყლის უნიკალური ტემპერატურის დამსახურება იყო, მაგრამ ოჩამჩირიდან წალკოტამდე უფრო მეტი შიშველი ქალი იყო წამოწოლილი, ვიდრე როდ სტიუარტის 1994 წლის კოპაკაბანას კონცერტზე გაყიდული ბილეთების რაოდენობა.

აფხაზეთი ეკონომიკურად ყვაოდა. ყვაოდა იმაზე მეტად, ვიდრე ეს 90-იანების ომამდე იყო, როცა ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების რიგით ობივატელსაც კი უსიტყვო აღთქმა ჰქონდა დადებული, ერთხელ მაინც ენახა აფხაზეთის კურორტები, როგორც მუსლიმ მორწმუნეს მექა, ან ელვის პრესლის ფანებს მემფისში გრეისლენდი. თემრაშიც, როგორც ყველა, ვინც აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწის შეძენა მოასწრო, ახლა თავისი ფინანსური წარმატებით კმაყოფილი, მსუბუქი ნარკოტიკებით ერთობოდა და ცხოვრებით და ტურისტებთან ლაყბობით ტკბებოდა.

ჩემი ცოლის ნათესავები ისედაც არ მხიბლავდნენ დიდად, მას შემდეგ კი, რაც ოჯახის უფროსის გადაწყვეტილებით ელენეს მიწის ნაგლეჯიც კი არ არგუნეს მზითევში, მათკენ გახედვაც არ მინდოდა. მაგრამ არის დაუდგენელი და უსიტყვო ცხოვრებისეული თამაშის წესები, რასაც ყველა განუხრელად მივსდევთ, განსაკუთრებით კი ჩემნაირი უპრინციპო და რბილი ადამიანები. ამიტომ თემრაშს, როგორც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან და საყვარელ ადამიანს, ისე შევხვდი.

ავუხსენი მიზეზი, რატომაც მათთან მისვლა ვერ მოვახერხე. გუნაი მამედზადეს რამდენიმე დღიანი გამუდმებული დევნა, ინტერვიუს მოლოდინი, რთული სამუშაო გრაფიკი მათთან სტუმრობის საშუალებას არ მაძლევდა. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან განიცადა, ან გაუხარდა. უფრო გულგრილი იყო, როგორც ეს ახალგამდიდრებულ ადამიანებს ემართებათ თავისი ძველი სოციალური წრის ნაცნობების ნახვისას. შემპირდა, რომ რამეს გამიხერხებდა და მამედზადეს ნომერში შემაპარებდა, რადგან მისი თქმით, სასტუმროს მეპატრონე, რომელშიც გუნაი ცხოვრობდა, მისი უმცროსი ქალიშვილის ნათლია იყო.

თავისი ორი ტურისტი ქალბატონი შემაჩეჩა და ამბის გასარკვევად წავიდა. უცხო და ლამაზ ქალთან დარჩენას თავისი ხიბლი და გამოწვევა აქვს, განსაკუთრებით კავკასიელი კაცისთვის. არ ვიცი, სხვა ეროვნების მამაკაცი ისევე მიიჩნევს ვალდებულად თავს, უცხო ქალბატონს ეარშიყოს, როგორც ქართველი თუ არა, რადგან სრულიად შეუხედავი ქალისთვის მეტნაკლებად უხამსი კომპლიმენტების მიძღვნა და მერე უფრო აქტიურ ქმედებებზე გადასვლა ჩვენთვის მასპინძლობის რიტუალის შემადგენელი ნაწილივითაა. ამ შემთხვევაში თავს უხერხულად ვგრძნობდი, ქალები თემრაშმა შემომაჩეჩა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სუბკულტურაში უცხო არაა, გასართობად (ვგულისხმობ სექსუალურ გართობას) მამა-შვილი ან სიძე-ცოლისძმა, ხშირად სიმამრი-სიძეც ერთად რომ დადიან, მაინც განსაკუთრებული თავდაჭერილობა გამოვამჟღავნე და როდესაც თემრაში დაბრუნდა, ორი სრულიად მოწყენილი ქალბატონი დავახვედრე. თემრაშმა მითხრა, რომ გუნაისთან ინტერვიუ იმაზე რთული ამბავი ყოფილა, ვიდრე ველოდით — შეტევის შემდეგ მამედზადე იწვა და სასტუმროს დაცვა არავის აკარებდა.

„ნომერში შეპარება პრობლემა არ არის, მაგრამ ეგ მამადზადე არ დაგელაპარაკებაო, მითხრეს. ასე რომ, ახლა ეს ორი მოწყენილი ქალბატონი იმავე სასტუმროში წავიყვანოთ, კულტურათაშორისი ურთიერთობები მყარად და დინჯად დავამყაროთ და დანარჩენი მერე გამოჩნდება!“ — თქვა თემრაშმა და მეც შეწუხებული სახით დავნებდი.

ჭკვიანი კაცი ცოლის ნათესავებისგან თავს საერთოდ შორს უნდა იჭერდეს, მითუმეტეს კი არ უნდა აძლევდეს იმის საბაბს, სადმე, როდესმე, რაიმე ფორმით ცოლეურში გადაკრულად წამოაძახონ ისეთი რამ, რაც თავს მართლების საფუძველი გახდება. მართალია, ეს ოქროს წესი ჩემთვის მამაჩემს არ უსწავლებია, მაგრამ იყო რაღაცები, რაც ჩემით, ინტუიციით ვისწავლე და ახლა, როცა ამ კანონის სრულიად საწინააღმდეგოდ სასტუმროს ნომერში იმაზე უფრო შიშველი ვიდექი, ვიდრე დედამ მშობა, ჩემმა ტელეფონმა დარეკა.

ეს გუნაი მამედზადე იყო.

იღბალი ყოველთვის ჩემ მეგობრად მიმაჩნდა. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ბედს ჩემთვის საჩუქარი არ გამოემეტებინოს. სადღაც გულის სიღრმეში იქნებ იმედიც კი მქონდა, რომ დღევანდელი დღე ისე არ ჩაივლიდა, ეს ინტერვიუ არ ჩამეწერა და ჩემი პროდუსერისთვის ლაჯებს შორის არ ამომესვა დამცინავი სახით.

გუნაიმ მომიბოდიშა. არ ვიცი, როგორ მოახერხებთ ნომერში შემოპარვას, თან ცუდ ფორმაში ვარ და თუ მოგიხერხდებათ, გაგრაში ჩემი გამოსვლის დღეს ჩამწერეთო. მე ამ შანსის ხელიდან გაშვება არ მსურდა და მოხერხება ჩემზეა, თუ თქვენ ჩაწერაზე უარს არ იტყვით-მეთქი, ვუთხარი ისეთი აღგზნებული ხმით, რომ თემრაშმაც და სტუმარმა ქალბატონებმაც სახეზე ხელი აიფარეს.

მამედზადე საწოლში იწვა. ორიოდე წუთი თავს ვადექი, ვერ გავარკვიე თვლემდა თუ არა. თვალებს გუგების შიგნით გამალებით ატრიალებდა და ზედა ტუჩი ნერვიულად უკანკალებდა. ასეთი ძილი ჩემმა დეიდაშვილმა იცოდა და მთელი ბავშვობა მაშინებდა, ასეთ დროს სხვის სიზმარში შევდივარ და რასაც მინდა იმას ჩავიდენო. ვცდილობდი, ძილის წინ დეიდაშვილი არ გამებრაზებინა, რომ სიზმარში ყურებში არ ჩაეფსა ჩემთვის (ასე მემუქრებოდა).

→

გურამ მეგრელიშვილი

ექსკლუზივი

დასასრული

გუნაიმ თვალები გაახილა და მიკნავლებული ხმით მთხოვა, სკამი ახლოს დამედგა. თვალი მოვავლე ოთახს და კუთხეში მისი ეტლი და უზარმაზარი დივანი დავინახე. მე და ოპერატორი, რა თქმა უნდა, დივანს დავეჯაჯგურეთ, მაგრამ ამაოდ.

„ეტლი მოაგორე და მანდ ჩაჯექი, ნუ გეშინია, არაფერი გადაგედება!“ — რატომღაც რუსულად მითხრა და, როდესაც ახლოს დავუჯექი, კიდევ კარგა ხანი მათვალიერა.

„რაზე უნდა ვისაუბროთ?“ — მკითხა ახლა უკვე ინგლისურად.

„თქვენზე!“ — გავუღიმე ქლესა ღიმილით. ჩემი თავი განსაკუთრებულად მძულდა ხოლმე ასეთ სიტუაციებში — როდესაც ადამიანზე კარგს არ ფიქრობ, მეტიც, შეიძლება მასზე ბევრად აღმატებული გგონია თავი და გარემოებისდა გამო იძულებული ხარ, ეპირფერო. თუმცა ამ პირფერობის შენიღბვა განსაკუთრებული რუდუნებით გიწევს და საბოლოოდ ქლესა ღიმილი გრჩება სახეზე. „ეს ინვალიდი აუტისტი!“ — გაბრაზებულმა გავიფიქრე და ჩემივე ფიქრების შემეშინდა — სახის გამომეტყველებას რომ გავეყიდე, შეიძლება ყველაფერი წყალში ჩამყროდა. ასეთი ჩაფლავება განსაკუთრებით რთულია მაშინ, როდესაც საქმე თითქმის გამოსულია. სულ მიკვირდა, რატომ არ იყენებდნენ ამ მეთოდს ბიზნესში — აიძულე პარტნიორი საქმეში შემოიყვანო, მიეცი მომგებიანი პოზიცია, მერე კი გაურკვეველ მდგომარეობაში ამყოფე და დანაკარგის რისკის წინაშე მდგომი მართე, როგორც მოგეპრიანება.

„უფრო სწორად თქვენზე და თქვენს აღმოჩენაზე!“ — ვცადე უფრო საქმიანი იერი მიმეღო, ბლოკნოტი გადავშალე და სამიოდე წუთი ვილაპარაკე თეოფანე დავითაიას ლამის საუკუნის წინანდელ იდეაზე, რომლის ფაქტობრივი დასაბუთება ახლა სწორედ გუნაი მამადზადეს ეკუთვნოდა.

„მართალი ხარ, თეოფანე ჩემი მასწავლებელი იყო, ვგულისხმობ, მასწავლებელი, რომელიც არასოდეს მინახავს. ბავშვობაში, როცა უკვე შტატებში გადავსახლდით, სუ-ფოლზის ბიბლიოთეკაში ყოფილი სსრკ-ს რამდენიმე მეცნიერის ნაშრომს მივაგენი. ალბათ თქვენ უკვე იცი, რომ ჩემი დაავადება რეტის სინდრომი, მძიმე ფსიქონევროლოგიური დაავადებაა, რომელიც მილიონნახევარში ერთი ადამიანის და ისიც გოგოს ხვედრია. ყველა სიმპტომატიკით, მე ახლა ვერ უნდა გელაპარაკებოდეთ, ჩემი მოტორიკა კარგა ხნის წინ უნდა იყოს სრულიად დარღვეული და შეიძლება ცოცხალიც კი ბუნების კანონების იშვიათი შეცდომით ვარ. რას ვამბობდი და, ჩემ დაავადებას, გარდა იმ ცუდი მხარეებისა, რაც ალბათ სამედიცინო ფაკულტეტის მესამე კურსის ყველაზე ცუდმა სტუდენტმაც კი მშვენივრად იცის, აქვს მეორე, სრულიად უცნობი, მაგრამ ჩემთვის უკვე ძალიან კარგად ნაცნობი მხარეც — საკმარისია, ჩემნაირი და აუტიზმის დანარჩენი ფორმების (სხვათაშორის, გაგეცინებათ და ამ ფორმებს ტრიადას ეძახიან მისი სამი გამოვლინების გამო) მქონე ბავშვის განვითარებას სწორი მიმართულება მისცეთ, რომ თქვენ სხეულის გროვისგან (რომელსაც ბევრ ქვეყანაში იცით, რომ უკვე დაბადების მესამე წელს კლავენ) გენიოსს მიიღებთ!“

„ინვალიდს თავმდაბლობაში ძალიან უჭირს!“ — გავიფიქრე და გუნაის თითქმის გალეულ მარჯვენა ხელს დავაკვირდი, რომელიც საბნის ქვეშიდან, პერიოდულად, ძლოკვივით გამოძვრებოდა ხოლმე.

„გენიოსი ეს თქვენი, დანარჩენი საზოგადოების გადმოსახედიდან, თორემ მე და ჩემნაირები, თავს ისეთივე ადამიანებად მივიჩნევთ, როგორც ის გოგონა, ახლა კართან რომ დგას და დაკაკუნებას აპირებს!“

მეც და ოპერატორმაც კარს გავხედეთ. რამდენიმე წამი სიჩუმე იდგა. არავის დაუკაკუნებია. მე ისევ გუნაის გავხედე. თვალები კარისკენ ჰქონდა მიპყრობილი. ოპერატორს თავით ვანიშნე და კარისკენ დაიძრა. სანამ სახელურს დაქაჩავდა, კაკუნი გაისმა.

მოსამსახურე იყო. ლანგრით გუნაის სადილი მოეტანა. კამერის დანახვაზე გაწითლდა. სულ მიკვირდა, რატომ იცვლებიან ადამიანები ობიექტივის წინ, თუნდაც ეს ობიექტივი მათი Home video იყოს და იცოდეს, რომ ჩაწერისთანავე წაიშლება. იმის გააზრებაც კი, რომ მეორე ადამიანი ჩანაწერს თეორიულად მაინც ნახავს, შენ ქცევას სრულიად განაპირობებს. მსგავსი ქცევითი განწყობა კი არათუ სასტუმროს მომსახურე პერსონალზე, წლობით კამერების წინ მომუშავე ჟურნალისტებზეც მოქმედებდა.

გოგომ ლანგარი მაგიდაზე დადო და გუნაის დაელოდა. მამედზადემ ხელით ანიშნა, წადიო და თითი კომპოტისკენ გაიშვირა. ჭიქა სანახევროდ იყო სავსე, მაგრამ ხელები ისე ძლიერ უკანკალებდა, ტკბილი წვენი ჯერ ტუჩებზე, მერე კი საზაფხულო საბანზე ჩამოელვარა. პირი საბნითვე მოიწმინდა და განაგრძო:

„იმას ვამბობდი, რომ სუ-ფოლზში, სადაც მე და დედა დავსახლდით, ბიბლიოთეკაში ხშირად მიწევდა ყოფნა. დედაჩემმა ჩემი დაბადებიდან მესამე წელს გაიგო ჩემი ავადმყოფობის შესახებ და მიუხედავად იმისა, რომ მასზე ძვირფასი ადამიანი არ გამაჩნია, უნდა ვაღიარო, რომ ჩემზე ხელი ჩაიქნია. თავდაპირველად ბავშვთა სახლში ჩაბარებას მიპირებდა, როგორც ჩანს, გათხოვების იმედი ჰქონდა. ახალგაზრდა ქალი იყო, ამერიკაში მუქი ფერის თმა არ უკვირთ, მაგრამ დედა კავკასიელი იყო, კავკასიელებს კი სხვანაირი ეშხი გაქვთ. სხვანაირი ეშხი აქვთ სომეხ ქალებსაც. დედაჩემი სომეხი იყო.“

სანამ გუნაი დუმდა, მისი სახის ნაკვთების შესწავლა დავიწყე. ფართე, ნუშისებრი თვალები, დახრილი წარბები, მუქი თმა და ოდნავ ჟღალი წვერი ჰქონდა. ასეთი ფერთა შეხამება ძირითადად ებრაელებს და სომხებს აქვთ. აქამდეც უნდა მივხვდარიყავი, რომ სისხლში რომელიმე ერია.

გუნაი რამდენიმე წამით დადუმდა. მერე ხელით სუპის ჭიქისკენ მანიშნა და როდესაც მივაწოდე, ფრთხილად, გამოზოგილად მოსვა და დამბრუნა.

„როცა შენი წერილი წავიკითხე, მივხვდი, რომ ეს ინტერვიუ აუცილებლად გჭირდებოდა. მე ყოველთვის პატივს ვცემდი ადამიანებს, ვისთვისაც კარიერა მნიშვნელოვანია. შენთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია, არა?“

თავი დავუქნიე. არ მომეწონა, როცა მოულოდნელად თემა შეცვალა. ჩემი დაკვირვებით, ასე იმ რესპოდენტებმა იცოდნენ, ვინც იკეტებოდნენ და გადაწყვეტდნენ, ძალიან ცოტა რამ ელაპარაკათ პირადზე.

არც ის მინდოდა, დამეფრთხო და არც ის, რომ ძვირფასი წუთები ხელიდან გამომცლოდა. ვიცოდი გუნაის უცნაური ხასიათის შესახებ. მინახავს კიდეც მისი ექსცენტრიული გამოხდომა პირდაპირ ეთერში, როდესაც მოულოდნელად ტირილი დაიწყო და სტუდიიდან გაყვანა მოითხოვა. ამ კაცს მუდმივად თოკით ვეჭირე, როგორც მოღალატე ცოლს ეჭვიანი ქმარი, როცა ურთიერთობა საბოლოოდ გარკვეული არ არის, როცა კაცს ურჩევნია, მწარე სიმართლე მალე გაიგოს, ვიდრე გაურკვეველ მოლოდინში გაატაროს წლები, ქალი კი ამ სიმართლეს არ უმხელს, არც ეჭვიანობის საბაბს აძლევს, მაგრამ მაშინ, როცა ქმარი ყველაზე ბედნიერია, იქნებ მაშინაც კი, როდესაც ქალს პირველი ნიშანი დაეტყობა მუცელზე, გამოუტყდება — გღალატობ!

ამ გამოტყდომის შიში მკლავდა. თავიდანვე უარის მიღება ისეთი მტკივნეული არ იქნებოდა ალბათ, როგორც ახლა, მიზნამდე ერთი საათის დაშორებით ინტერვიუ რომ გაეწყვიტა მეცნიერს.

„ჩვენ, აუტისტებს, ერთი უცნაურობა გვჭირს, შეიძლება ვერასოდეს ავაწყოთ რუბიკის კუბი, მაგრამ შეგვიძლია გონების კონცენტრაცია მოვახდინოთ ისე, რომ თვრამეტი დღე-ღამის განმავლობაში მუდმივად ვიფიქროთ ერთსა და იმავე მათემატიკურ ამოცანაზე. ჩვეულებრივი ადამიანისთვის ეს თითქმის შეუძლებელია, მაგრამ აუტისტური განვითარების მქონე ადამიანებისთვის, არაფერია. ყოფილა შემთხვევა, როცა ბიბლიოთეკაში დედის მოლოდინში საათობით მიფიქრია მხოლოდ ერთ ფრაზაზე, რომელიც ჩემ მშობელს წამოუძახია წასვლის წინ. არ ვიცი, გესმის თუ არა, მაგრამ კონცენტრაციის ასეთი უნარი ჯოჯოხეთიც არის და სამოთხეც.“

მამედზადემ ლაპარაკი შეწყვიტა. როცა სწრაფად იწყებდა ლაპარაკს, ნერვიულობისგან ტუჩის კუთხეებთან ქაფი უგროვდებოდა და ასეთ დროს მის სახეს თვალს ვარიდებდი ხოლმე. ერთი სული მქონდა, ჩემთვის საინტერესო მიმართულებით წამეყვანა იტერვიუ, მაგრამ რამდენჯერაც კითხვის დასმას დავაპირებდი, გუნაი ჩუმდებოდა და საკუთარ თავში იკეტებოდა.

„ერთხელ, მაშინ უკვე ნიუ იორკში ვცხოვრობდით, დედა ისევ გათხოვებას ცდილობდა, ისევ უშედეგოდ. პატარა ბინაში რამდენიმე ემიგრანტი და სულ ახალ-ახალი ფერადკანიანი მამაკაცი ვცხოვრობდით. დედა ყველა მათგანს ჯიმის ეძახდა, თითქოს უნარი არ შემწევდა ერთმანეთისგან გამერჩია ისინი. ჯიმი ძია, დიდი ჯიმი, ასე ვეძახდით ბავშვები კაცებს, ვინც ღამ-ღამობით მამობას გვიწევდა. დედას და ალბათ დანარჩენ ორ ემიგრანტ ქალსაც იმედი ქონდათ, რომ მოქალაქეობას ასე უფრო იოლად იშოვნიდნენ, მაგრამ წლებს წლები მისდევდა, ჩვენ კი ისევ სახელმწიფო დახმარების იმედად ვცხოვრობდით. ჰოდა, ერთხელ, უკვე მეთორმეტე წელში ვიყავი, ბილ გეიტსი გვესტუმრა შეზღუდული განვითარების მქონე ბავშვებს. ალბათ გსმენიათ ბილ გეიტსზე, ის ლამის ყველაზე მდიდარი კაცია, მსოფლიოში, განთქმული არა მხოლოდ სიმდიდრით ან ვინდოუსის გამოგონებით, არამედ თავისი სიძუნწითაც იყო. არ მახსოვს, შეხვედრა როგორ ან რატომ მოხდა, როგორც წესი, ასეთი მდიდარი ადამიანები ჩემნაირ ცხოვრების ნარწყევს, Thysania agrippina-ს ფეკალიებს, Acanthocephala-ს განგლიას არათუ არასოდეს ხვდებიან, თავს მათგან სრული იზოლირებით იმყოფებენ. არ ვიცი, ეს შეხვედრა იმ წელს დაემთხვა, როცა ამერიკის მთავრობამ რამდენიმე მილიარდიანი სანქცია რომ დაუწესა გეიტსს და მღელვარე ხალხის მასების გულის მოსაგებად ტელეეკრანებზე გამოჩენა რომ დაიწყო, თუ ეს იყო ის საოცარი შემთხვევითობა, რასაც ჩვენ, მოკვდავნი ბედისწერას ვეძახით!“

სანამ მამედზადე ახველებდა, მე მილიარდერთან მისი შეხვედრის რამდენიმე წამიანი ეპიზოდის განზოგადება ვცადე: გეიტსმა მისი მკურნალობა დააფინანსა, ბილი მის განთლებაზე ზრუნავდა, ინტერნეტმაგნატი მამამისი აღმოჩნდა!

„მე ვტიროდი, როდესაც ის დარბაზში შემოიყვანეს. ჩვენ თოთხმეტი აუტისტი ბავშვი ვიყავით. შეხვედრამდე, მომვლელებმა გაგვაფრთხილეს, ხმა არ ამოგვეღო და საღამოს კარამელიანი პუდინგით დაგვაჯილდოვებდნენ. მაგრამ მე ვტიროდი. დილით დედას მეზობლის ქალმა უთხრა, როდესაც რესტორანში მიდის ადამიანი, ნაგავს სახლთან მდგომ ურნაში ყრისო. დედამ უპასუხა, ვერაფერს შევცვლიო. მე მივხვდი, ვისაც გულისხმობდნენ ნაგავში. ბილი მომიახლოვდა. ხელთათმანიანი ხელით ნიკაპი ამიწია და ხუთიოდე წამი მიყურა თვალებში. მე სულაც არ მანაღვლებდა საღამოს უპუდინგოდ რომ დავრჩებოდი, ტირილი არ შემიწყვეტია.

„ჩვენს გუნაის ჰემიპლეგიური დამბლა აქვს, ახლა კი გაცივებაც დაგვემატა და ცრემლდენას ვერ იკავებს!“ — მოხსენებასავით ჩაარაკრაკა მომვლელმა ექთანმა. პრინციპში, ცუდი ქალი არ იყო, სხვებივით არასოდეს დამჩხაოდა თავს, დილაობით სხვების მორჩენილ კრუასანსაც ჩუმად ჩამიტენიდა ხოლმე ეტლში და, მთლიანობაში, არ იყო ცუდი ვინმე. მაგრამ ახლა ჩვენთან თვით მისი უდიდებულესობა მობრძანებულა და ცრემლითა და ვაებით დახვედრა როგორ შეიძლებოდა?

როგორც გითხარი, ბილმა ხუთიოდე წამი მიყურა თვალებში. დედის გამო ტირი? — მკითხა და როცა თავი დავუქნიე, ოდნავ კიდევ დაიხარა. სახე ახლოს მომიტანა და ჩურჩულით, მაგრამ ისე კი, რომ კარგად გამერჩია მისი სიტყვები, მითხრა: „კარგად დაიმახსოვრე, ბიჭუნა, აინშტაინი, მოცარტი... მეც... ჩვენი დედიკოების გულგრილობამ გვაქცია ლეგენდებად. გამოიყენე შენი დაავადება და მთელი მსოფლიო დაგიჩოქებს!“ როცა წელში გასწორდა, ისეთივე ცივი, მხოლოდ მილიარდელებისთვის დამახასიათებელი თვალებით შემომხედა. ტანსაცმელი დაიფერთხა, თითქოს ჩემივე ნაგავი ჩემთან დატოვა, ჩამოუარა დანარჩენებსაც და სწრაფი, მტკიცე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. ჩემთან საუბრის ფოტო გაზეთის ჟურნალისტმა გადაიღო და ეს იყო პირველი წარმატება, რომელიც ცხოვრებაში მქონდა. მეორე დღეს დედაჩემი მთელ უბანს სიამაყით უჩვენებდა „Washington Post“-ის ფოტოს, სადაც ბილ გეიტსი აუტისტ ემიგრანტ ბავშვს ელაპარაკება. სტატია ალბათ შეკვეთილი იყო, შეიძლება არც იყო, მაგრამ ამერიკელებს ხომ გვიყვარს სენტიმენტები და ცნობილი „American Dream“-ის მუდმივი წახალისება. მერე რა თუ ეტლს მიჯაჭვული აუტისტი ბავშვი ხარ, ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება ფარაონმა მოგინახულოს და ხელთათმანიან ხელს თუ არ ჩამოგართმევს, ნიკაპზე მაინც მოგითათუნებს.

ფოტოს ამბავი ყველას, მათ შორის დედას, სამ თვეში დაავიწყდა, მაგრამ მე არ დამვიწყებია ბილის ნათქვამი. ყურადღებით წავიკითხე ინტერნეტში არსებული ყველა რესურსი მოცარტზეც, აინშტაინზეც და თვითონ გეიტსზეც და მივხვდი, რასაც გულისხმობდა, როცა ეს სამი გვარი დამისახელა. ამან წარმოუდგენელი სტიმული მომცა. აგროფიზიკით, აგრომეტეროლოგიით მოგვიანებით დავინტერესდი, ჩემი გატაცება კი ფიზიკამ გამოიწვია. როდესაც მივხვდი, რომ მუსიკაში შანსი არ მქონდა — უსმენო ვიყავი, გადავწყვიტე ფიზიკა საფუძვლიანად მესწავლა და ამაში ოცდამეერთე საუკუნის უმთავრესმა მიღწევამ — ინტერნეტმა ძალიან მიშველა. დედაჩემს ჩემი ინტერნეტ გატაცება მოსწონდა, რადგან პანსიონატიდან სახლში დაბრუნებული, მთელი დღე კომპიუტერს ვიყავი მიჯაჭვული და მშობელს ზედმეტი კითხვებით არ ვაწუხებდი. თექვსმეტი წლისამ ყველა უფასო ონლაინ კურსი გავიარე, რაც კი ფიზიკასა და მათემატიკაში შტატების მასშტაბით ვიპოვნე, ჩვიდმეტი წლისამ კი გადავწყვიტე, იელის უნივერსიტეტში ჩამებარებინა. ტრაბახში არ ჩამეთვლება ეს ყველაფერი, რადგან დღეს, როცა ნობელის პრემიაზე ვარ წარდგენილი და ოთხი ქვეყნის სპეცსამსახურები ჩემ გადაბირებას ცდილობს, სატრაბახო აღარაფერი მაქვს. ამიტომ გულწრფელად ვიტყვი, რომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა იელმა, როდესაც ჩემ მიღებაზე უარი თქვა — უბრალოდ, მე სწავლის დასაფინანსებელი თანხა არ გამაჩნდა. ამ დროისთვის დედაჩემს საბოლოოდ ჩაქნეული ჰქონდა ხელი გათხოვებაზე. ჩვენ მუდმივი რეზიდენტის ბარათი გვქონდა და მოქალაქეობას რამდენიმე წელიწადში ისედაც მივიღებდით. დედას ასაკი დაეტყო და რაც უფრო მეტად დაეტყო, მით მეტად დაემსგავსა სომხის ქალს, თუმცა თავის წარმომავლობას მთელი ცხოვრება მალავდა და ამბობდა, რომ ის საქართველოდანაა. პირველად ასე გავიგე თქვენი ქვეყნის შესახებ. წლების განმავლობაში, თავი ნახევრად ქართველი მეგონა, ინტერესიც აქედან გამეღვიძა ამ ქვეყნის მიმართ, ხოლო როდესაც თეოფანე დავითაიას შესახებ წავიკითხე, მივხვდი, რომ ეს ადამიანი ჩემი სულიერი მასწავლებელი, ჩემი გამოგონების სულისჩამდგმელი უნდა გამხდარიყო და გახდა კიდეც...“

ოპერატორმა ბოდიში მოიხადა, ვიდეოკამერას ელემენტი ჰქონდა გამოსაცვლელი და რამდენიმეწუთიანი პაუზა ავიღეთ. გუნაი ძალიან აღგზნებული ჩანდა, ეტყობოდა, რომ რასაც მიყვებოდა, არასოდეს ულაპარაკია ამ თემებზე. მე არც მჯეროდა და არც ვფიქრობდი იმაზე, რა სენსაციური მასალა მიგროვდებოდა უნებურად, იქნებ სრულიად დაუმსახურებლადაც კი. წარმომედგინა პროდუსერის სახე, როცა დამონტაჟებულ კადრებს მისი გვერდის ავლით პირდაპირ არხის მფლობელთან მივიტანდი და როგორც რიგით სიუჟეტს, მაგიდაზე დავუდებდი — გადაგეხედათ, მგონი, საინტერესო იქნება!

საღამოს ალბათ პროდუსერი აგრესიულ მინეტს გაუკეთებდა თავის ქმარს, რომელთან ერთადაც ორად ორჯერ მყავდა ნანახი და ორივეჯერ შთაბეჭდილება დამრჩა, რომ crocuta crocutas-ს ჯიშის წყვილთან მქონდა საქმე. შვილსაც კი, მათ თოთხმეტი წლის ქალიშვილ დიანასაც, ისეთი ჭარბი ანდროგენები ეტყობოდა სახეზე, დარწმუნებული ვარ, მთელი ცხოვრება ამენორეით დაიტანჯებოდა.

ჩემი ხასიათის ყველაზე დიდი უცნაურობა ის იყო, რომ როდესაც რაიმე მკვეთრ გადაწყვეტილებას მივიღებდი, იმავე წუთში საწინააღმდეგოდ ვიქცეოდი ხოლმე. ეს იყო თვისება, რის გამოც საკუთარი თავისთვის სიკვდილით დასჯა შემეძლო მიმესაჯა. და მეც, გადავწყვიტე თუ არა პირდაპირ არხის მფლობელთან მიმეტანა დამონტაჟებული მასალა, ამოვიღე ტელეფონი და პროდუსერს მოკლე ტექსტური შეტყობინება მივწერე. „ახლა მამედზადე ჩემ წინ, როგორც გინეკოლოგთან ისე ზის და მის ყველაზე ინტიმურ ადგილებს ხელებს ვუფათურებ!“ პასუხი იყო მოკლე და მხოლოდ ხალებიანი აფთრისთვის შესაფერისი: „მამაზე კითხე!“ და მე თავი შემძულდა უპრინციპო ხასიათის, არარეალიზებული სიძულვილის, გენეტიკურად მიღებული ჭარბი ხასიათობრივი ესტროგენების და ზებრობის გამო. ჩემნაირებს საკვებად იმიტომაც იყენებდნენ პროდიუსერები, რომ ჩვენ ზებრობას ვთანხმდებოდით და ის სასოწარკვეთილი რამდენიმე წამიანი ფეხის გაქნევაც, სხვა არაფერი იყო, თუ არა თვითგადარჩენის კოლექტიური ინსტიქტი.

ოპერატორმა კამერა გამართა და ინტერვიუ გავაგრძელეთ. შინაგანად ვგრძნობდი, მიუხედავად იმისა, რომ თავი ინტელექტუალური მედიის წარმომადგენელი მეგონა, პროდუსერის აჩრდილი თავისას შვრებოდა — მამედზადეს აქამდე ნალაპარაკევს ყვითელი ფერი დაკრავდა.

არ ვიცოდი, მამის თემა როგორ შემომეტანა საუბარში. ინსტიქტურმა ქლესობამ თავისი ქნა — მიკროფონის შესწორება დავუწყე გუნაის და სასხვათაშორისოდ ჩავილაპარაკე: „თეოფანე მამაჩემის სოფლიდან იყო წარმოშობით. ასე ვიცი გადმოცემით, თორემ მამა თვალითაც არ მინახავს. ისე მიგვატოვა, წერილიც არ მოუწერია.“

რა თქმა უნდა, ეს ტყუილი იყო. ტყუილი იყო ის, რომ თეოფანე მამაჩემის სოფლიდან იყო და რომ მამამ მიგვატოვა. ჩემი მშობელი სადღაც აქ, ამ ქალაქში იწვა კარგა ხნის გახრწნილი და მე საერთოდ არ მქეჯნიდა სინდისი. ზოგადად ადამიანების იმ კატეგორიას ვეკუთვნოდი, სტერეოტიპული ცრურწმენებით რომ თავს არ იკვებავს — მეტიც, სხეულის მეტაფიზიკური გარდასახვებით და მსგავსი სისულელეებით თავს არც აქამდე და, მითუმეტეს, არც ახლა არ ვიკვებავდი. თუ საჭირო გახდებოდა, მამაჩემს ეკში დაბადებულ-გაზრდილად და ცოლ-შვილის მიმტოვებლად კი არა, სამშობლოს ორსამგზის გამყიდველად და მოძალადედ გამოვიყვანდი.

„მესმის, მამაჩემზე გინდათ, მკითხოთ. ჩემ პირველ და უკანასკნელ ინტერვიუში, რომელიც, სხვათაშორის, „თავისუფლების ხმის“ სომხეთის ბიუროს მივეცი, ვთქვი, რომ მამაჩემზე ლაპარაკი არ მსურდა და გაზეთებმა ეს უცნაურად აიტაცეს. არაფერი განსაკუთრებული — ჩემი დედმამა ჩირაღლიში დაიბადნენ. არ ვიცი, გსმენიათ თუ არა ყარაბაღის შესახებ. ეს იყო ტერიტორია, რომელიც ერთ დროს სადავოდ ითვლებოდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. როცა შეიარაღებული კონფლიქტი გაჩაღდა, შერეულმა სოფლებმა, როგორიც ჩირაღლი იყო, გადაწყვიტეს, სახლები გაეცვალათ, სახლებიც და საფლავებიც. მამაჩემი, ვისი სახელი და გვარიც მაქვს, ბოლო მოსახლე იყო ჩირაღლიში. აზერბაიჯანელებმა სოფელი დატოვეს და საზღვრის მეორე მხარეს დარჩენილ სომხებს მისცეს დაბრუნების საშუალება. სხვათაშორის, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მშვიდობიანი აქტი მსოფლიოში, როდესაც უბრალო ხალხმა თავად გადაწყვიტა მოლაპარაკება. მე მაქვს ნანახი იმ წლების ფოტორეპორტაჟი, რომელიც პენსილვანიის მთავარ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, არქივში ინახება — როგორ თხრიან საკუთარ მიცვალებულებს ორივე მხარეს და ავეჯთან, შინაურ ცხოველებთან ერთად ახალ სახლში გადაყავთ. ეს იყო სამთვიანი მშვიდობა, როცა ერთი თოფიც არ გავარდნილა, ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ძალისხმევასთან გვქონდა საქმე — შეწყვიტო გაგანია ომი იმისთვის, რომ მოსახლეობას თვითგამორკვევა აცადო.

როგორც ვიცი, მამაჩემის მამას, ქუმარს, თავის დროზე ადგილობრივი მღვდელი მოუკლავს. ეს ისეთი ცოდვა იყო, რომლის ჩამორეცხვაც მშვიდობის დროსაც ძნელი იქნებოდა. არ ვიცი, რამდენად კარგად იცნობ სომხებს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს მორწმუნე ხალხი არაა, რელიგიური თვითიდენტიფიკაცია მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მე მგონია, ამას ისინი გენეტიკურ დონეზე გრძნობენ, რადგან რომ არა ეს „განსხვავებული“ რელიგია, მათ ან თქვენ — ქართველები, ან ისლამური სამყარო გადაყლაპავდა.“

გუნაის ხმა წაუვიდა. წყალი მივაწოდე და რამდენიმე წუთი სრულ სიჩუმეში დავყავით. მერე მიკნავლებული ხმით მთხოვა, სუდნო მომაწოდეო. პირველი, რაც გავაკეთე, ოპერატორს გავხედე პერიფერიული მზერით. სუდნოს კი მივაწოდებდი, მაგრამ გამორთმევის დროც ხომ მოვიდოდა? უკვე წარმომედგინა, თბილისში დაბრუნებულს სამუშაო მაგიდაზე სუდნო როგორ დამხვდებოდა და ამ ყველაფრის ინიციატორი, რა ძნელი გამოსაცნობია, ჩემი პროდუსერი რომ იქნებოდა.

მეორეს მხრივ, ახლა სკანდალების და აურზაურის დრო არ იყო, სუდნო მივაწოდე და გამოვართვი კიდეც.

„მღვდლის მკვლელის შვილის სახელი მამაჩემის ოჯახისთვის დიდი ტვირთი ყოფილა. თავდაპირველად, სომხები მათი სახლის დაწვას აპირებდნენ, მაგრამ აზერბაიჯანელებს დაუცავთ ქვრივი და მისი ორი შვილი, მერე სომხებს სხვა მეთოდი მოუძებნიათ — მღვდლის მკვლელის ოჯახს სომეხი მოსახლე ქვასაც კი არ მიყიდდა. თავდაპირველად, ბებიაჩემს გადაუწყვეტია სოფლიდან აბარგება, მაგრამ მამაჩემი წასულა წინააღმდეგი. მიზეზი მალე გარკვეულა, მამაჩემს მათი სომეხი მეზობლის გოგო ყვარებია. ეს სომეხი გოგო დედაჩემი იყო. წეღან რელიგიური თვითიდენტიფიკაცია ვახსენე და ეს რელიგიური მიკუთვნება და განსხვავებულობა, რაც სომეხ ხალხს აქვს, მისი მკვეთრად გამოხატული ეროვნულობიდან გამომდინარეობს. სომხები რაღაცით ებრაელებს მაგონებენ — მუდმივად გარბიან თავისი მიწიდან და მაინც, სულ დიდი არმენიის მიწების ნოსტალგია აქვთ. ისინი ისეთი გამალებით იცავენ ერთ გოჯსაც კი, თითქოს მათი ერის არსებობა არარსებობა ამ ერთ გოჯზე იყოს დამოკიდებული...“

„დაიწყო თავისი აზერბაიჯანული შეყვანები!“ — გავიფიქრე და სახეზე კიდევ ერთხელ დავაკვირდი.

„ჰოდა, იმას ვამბობდი, მამაჩემის სურვილი, მეზობელი სომხის ქალიშვილი ცოლად მოეყვანა, რა თქმა უნდა, უიმედო ცდაც იყო და დიდი თავხედობაც. საქმე ის კი არაა, რომ ჩემმა ბაბუამ მღვდელი მოკლა, ისაა, რომ აზერბაიჯანელმა მღვდლის მკვლელის შვილმა გადაწყვიტა, რელიგიური და ეროვნული ბარიერი გადაეღახა და დედაჩემი ცოლად შეერთო. ვაღიარებ, ამას დიდი გამბედაობა უნდოდა და მე ყოველთვის ვაფასებდი მამაჩემს ამის გამო.

როგორც დედამ მითხრა, მამედზადეების ოჯახი ბოლო იყო, ვინც ჩირაღლი დატოვა. ეს გვიან ზამთარში მომხდარა. დედაჩემის მამას და ძმას უარი უთქვამთ გუნაისათვის საკუთარი ქალიშვილის მითხოვებაზე, ქალებს კი იმ დროს და თანაც კავკასიაში ბევრი რამ არ ეთქმოდათ, მაგრამ დედაჩემი გვიან ღამით ფეხშიშველი გამოპარულა შინიდან და ზედ საზღვართან დაწევია მამაჩემის ოჯახს. იმავე წელს გავჩნდი მეც. ალბათ სტრესმა, ფიზიკურმა დატვირთვამ ან იქნებ გენეტიკურმა ფაქტორმაც თავისი ქნა და დავიბადე ისეთი, როგორიც ვარ, მაგრამ მე ჩემი ბედის უკმაყოფილო მაინც ვერ ვიქნები. ვინ იცის, როდის, როგორ და სად გავჩნდებოდი, ან გავჩნდებოდი კი საერთოდ ასეთი სხეული რომ არ ერგუნა განგებას?!“

გუნაი ძალიან დაიღალა. გარკვეულწილად ჩემი დანაშაული ის იყო, რომ ინტერვიუ ჩემი კარნახით არ წარიმართა, თუმცა, უკმაყოფილო მაინც არ ვიყავი. მართალია, უინტერესო საკითხებზე, მაგრამ მაინც, გულწრფელად ილაპარაკა. დანარჩენ შეკითხვებზე პასუხები სტანდარტულად გასცა. ვილაპარაკეთ მის მომავალზეც. როგორც აღმოჩნდა, საცხოვრებლად შვეიცარიაში აპირებდა გადასვლას. დატვირთული გონებრივი შრომის გამო, როგორც ჩანს, პენსიონერების ქვეყანა მისთვის იდეალური იქნებოდა.

საუბრის ბოლოს, როცა ძალიან დაიღალა და მომვლელმაც მოაკითხა, სუვენირი მაჩუქა. ეს იყო პატარა ბრინჯაოს დათუნია თედი. „იცი ამ დათუნიას შექმნის ისტორია?“ — მკითხა. მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი, მაგრამ ვუპასუხე, რომ — არა. „ადამიანებს და განსაკუთრებით, ადამიანებს ცოდნის ამბიციით, უნდა მისცე საშუალება, გონებით გაჯობონ, რაც უფრო მასზე ნაკლები გეცოდინება, მით უფრო მეტად მოეწონები, მაგრამ არც ის ვარგა, თავი მოისულელო, თორემ პატივისცემის გრძნობა დაეკარგებათ და აღარ გაგეხსნებიან“.

მამედზადე შემპირდა, რომ თბილისში აუცილებლად ჩამოვიდოდა და ჩემთან ერთად ეკში, მამაჩემისა და თეოფანეს მშობლიურ სოფელში წავიდოდით. გაოჯახს სომეხი მოსახლე ქვასაც კი არ მიყიდდა. თავდაპირველად, ბებიაჩემს გადაუწყვეტია სოფლიდან აბარგება, მაგრამ მამაჩემი წასულა წინააღმდეგი. მიზეზი მალე გარკვეულა, მამაჩემს მათი სომეხი მეზობლის გოგო ყვარებია. ეს სომეხი გოგო დედაჩემი იყო. წეღან რელიგიური თვითიდენტიფიკაცია ვახსენე და ეს რელიგიური მიკუთვნება და განსხვავებულობა, რაც სომეხ ხალხს აქვს, მისი მკვეთრად გამოხატული ეროვნულობიდან გამომდინარეობს. სომხები რაღაცით ებრაელებს მაგონებენ — მუდმივად გარბიან თავისი მიწიდან და მაინც, სულ დიდი არმენიის მიწების ნოსტალგია აქვთ. ისინი ისეთი გამალებით იცავენ ერთ გოჯსაც კი, თითქოს მათი ერის არსებობა არარსებობა ამ ერთ გოჯზე იყოს დამოკიდებული...“

„ჰოდა, იმას ვამბობდი, მამაჩემის სურვილი, მეზობელი სომხის ქალიშვილი ცოლად მოეყვანა, რა თქმა უნდა, უიმედო ცდაც იყო და დიდი თავხედობაც. საქმე ის კი არაა, რომ ჩემმა ბაბუამ მღვდელი მოკლა, ისაა, რომ აზერბაიჯანელმა მღვდლის მკვლელის შვილმა გადაწყვიტა, რელიგიური და ეროვნული ბარიერი გადაეღახა და დედაჩემი ცოლად შეერთო. ვაღიარებ, ამას დიდი გამბედაობა უნდოდა და მე ყოველთვის ვაფასებდი მამაჩემს ამის გამო.

როგორც დედამ მითხრა, მამედზადეების ოჯახი ბოლო იყო, ვინც ჩირაღლი დატოვა. ეს გვიან ზამთარში მომხდარა. დედაჩემის მამას და ძმას უარი უთქვამთ გუნაისათვის საკუთარი ქალიშვილის მითხოვებაზე, ქალებს კი იმ დროს და თანაც კავკასიაში ბევრი რამ არ ეთქმოდათ, მაგრამ დედაჩემი გვიან ღამით ფეხშიშველი გამოპარულა შინიდან და ზედ საზღვართან დაწევია მამაჩემის ოჯახს. იმავე წელს გავჩნდი მეც. ალბათ სტრესმა, ფიზიკურმა დატვირთვამ ან იქნებ გენეტიკურმა ფაქტორმაც თავისი ქნა და დავიბადე ისეთი, როგორიც ვარ, მაგრამ მე ჩემი ბედის უკმაყოფილო მაინც ვერ ვიქნები. ვინ იცის, როდის, როგორ და სად გავჩნდებოდი, ან გავჩნდებოდი კი საერთოდ ასეთი სხეული რომ არ ერგუნა განგებას?!“

მომშვიდობებისას ხელი ჩამომართვა. უღონო მარჯვენა ჰქონდა. როდესაც მისი ხელი მეჭირა, გარკველ უპირატესობას ვგრძნობდი. ასეთი შეგრძნება არ მქონია გუშინ, როცა პირველად ვნახე და მომეჩვენა, რომ მკლავზე გოლიათის მარწუხები მიჭერდა. ოპერატორმა განათება და კამერები აშალა და და პირდაპირ აეროპორტისკენ წავედით.

მოსაცდელში გუნაის მოკლე ტექსტური შეტყობინება მომივიდა. მთხოვდა, მივბრუნებულიყავი და ერთი საათი კიდევ მესაუბრა მასთან. რეისის გადადება ინტერვიუს ჩაგდების ტოლფასი იქნებოდა, მასალის გატანება კი ოპერატორისთვის არ მსურდა. როგორც გამარჯვებულ მხედართმთავარს უნდა მიეღო აღლუმი, ისე მე, საკუთარი ხელით უნდა დამემონტაჟებინა მასალა. ერთი სული მქონდა, როდის ვნახავდი გადაღებულს, მაგრამ რაღაც გრძნობა მიჩიჩინებდა, გუნაისთან მივბრუნებულიყავი.

მე პრაგმატული ადამიანი ვარ. არასოდეს გრძნობებით არ მიხელმძღვანელია. გრძნობებით გადაწყვეტილებების მიღება სუსტების თვისებაა. ადამიანი ყოველთვის ხვდება როცა ტყუვდება, მაგრამ გრძნობებს აყოლილი თავს იტყუებს. გუნაისგან რაც კი შეიძლებოდა გამეგო, გავიგე. მასთან მიბრუნება და მეგობრული საუბარი კი არაფერში მჭირდებოდა. ბოდიში მოვუხადე, თვითმფრინავში ვზივარმეთქი. კიდევ მომწერა და სასოწარკვეთილი ტონი ვიგრძენი. ვერ ვიტყვი, რომ ასეთი რამეები გულს მიჩუყებს, პირიქით, სუსტი ადამიანების წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის. გუნაი, თავისი ღაბილური ფსიქიკით, ჩაკეტილი ცხოვრების წესით და გენეტიკური დაავადებებით, უპატრონო ძაღლივით მეჩვენებოდა. თავზე ხელს გადაუსმევ და უკვე პატრონი ჰგონიხარ. ვერასოდეს ვიტანდი შინაურ ცხოველებს, მაგრამ ახლა რაღაც მოსვენებას არ მაძლევდა. ინტუიცია ჩემი ძლიერი მხარე არასოდეს ყოფილა, ინტუიცია უფრო ინტელექტის ნაკლებობის ნიშანია, ჩემი აზრით, მაგრამ გადავწყვიტე სასტუმროში მივბრუნებულიყავი.

გუნაი ეტლში იჯდა და უზარმაზარი ფანჯრიდან ზღვას უყურებდა. „ვიცოდი, რომ მოხვიდოდი. ჩვენ რაღაც საერთო გვაქვს სულიერი ძმებივით!“ მითხრა ისე, რომ უკან არც გამოუხედავს. ორიოდე საათის წინ მომაკვდავის სახე ჰქონდა, ახლა კი მხნედ გამოიყურებოდა. გვერდით ჩამოვუჯექი.

„როდესაც გუნაი მამედზადეს ჩირაღლის დატოვების დღე დადგა. დედაჩემმა რძალს გაუმხილა, რომ გაპარვას აპირებდა. რძალი ერთადერთი იყო ოჯახში, ვისაც ჩემი ესმოდაო. მართალია მამის განკარგულებით დედაჩემი გომურში ყავდათ ჩაკეტილი, მაგრამ დღეს იქნებოდა თუ ხვალ, გაქცევა გადაწყვეტილი მქონდა და ჩემმა ოჯახმაც იცოდა, რომ აზრს არ შევიცვლიდიო.

გუნაის მშობელი და დები საზღვარზე გადაუყვანია, თვითონ კი უკან მობრუნებულა და წინასწარ შეთანხმებულ ადგილას ელოდებოდა თურმე დედაჩემს, რომელიც საკუთარი რძლის იმედად იყო. ქალებს უმსჯელიათ, რომ გვიან ღამით, რძალი ფარდულის კარს ღიას დატოვებდა და დედას გააპარებდა. ალბათ დედაჩემს ჯერ კიდევ ჰქონდა იმის ილუზია, რომ მცირე ერებში ეთნიკური შუღლი ქორწინებებით, საერთო შვილიშვილებით და გასვენებებით მთავრდება. ეს შეიძლება ინგლისელმა მკითხველმა მიიღოს, კავკასიის იმ ნაწილში კი, საიდანაც ჩემი ფესვები მოდის, სხვანაირი შურისძიება იციან.

გვიან ღამით კარის ჭრიალს გამოუფხიზლებია მთვლემარე დედაჩემი. შესასვლელთან თოვლის ჭრიალი გავიგონეო, მხატვრულად მიყვებოდა ხოლმე ამ ამბავს დაუსრულებლად და მეც მხატვრულად გეტყვი.

სიბნელეში ვერ გავარჩიე ვინ შემოვიდა გომურში, მაგრამ კაცის სილუეტზე მივხვდი, რომ რძალმა გამყიდა და ახლა რამდენიმეთვიანი შინაპატიმრობა არ ამცდებოდა, თუმცა, როგორც ყველაზე უიმედო დამნაშავეს, რომელიც იქნებ სიკვდილმისჯილიც კი არის, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს, მეც მწამდა, რომ ერთ დღესაც სოფლიდან გაქცევას მაინც მოვახერხებდი და გუნაისთან ერთად ვიცხოვრებდიო. კაცი მომიახლოვდაო, ყვებოდა დედაჩემი. თოვლი დაიფერთხა და რამდენიმე წამი ასე იდგა, მაკვირდებოდაო. დედას თავი მოუმძინარებია. როცა მხარში ჩამაფრინდა და შემაჯანჯღარა, ხმა მაინც არ გამიღიაო. ყვირილი მაშინ უცდია, როცა პირში დაგორგოლავებული ჭუჭყიანი ნაჭერი ჩაუტენია მოსულს და ჩითის კაბა ტანზე შემოუხევია.

ეს იყო ჩემი ძმა, არტური — ამას ამბობდა ხოლმე დედაჩემი და სიცილს იწყებდა. ასეთ დროს მე მავიწყდებოდა ყველა ის ცუდი აზრი, რაც მასზე მომდიოდა, როცა მთელი დღე ბიბლიოთეკაში მტოვებდა მშიერ-მწყურვალს და წარმომედგინა, როგორ გარბოდა თოვლში ფეხშიშველა თვრამეტი წლის გოგო. ჩემ წარმოსახვაში თოვლზე სისხლის წვეთები რჩებოდა. რა თქმა უნდა, ეს წარმოსახვა იყო, მაგრამ დედა მიყვებოდა, რომ როდესაც გუნაი მამედზადესთან მისულა, მისი საქმრო მიმხვდარა, რაც მოხდა. ჯერ ერთად უტირიათ, მერე კი კაცს ზურგი შეუქცევია და წასულა.

დედაჩემმა გუნაი მამედზადე თბილისში დამარქვა, როცა სამადლოდ შეკედლებულს მე შევეძინე.“

სიმართლე ვთქვა, ამბავმა ისეთი სახე მიიღო, ველოდებოდი, რომ მეტყოდა — ჩვენ ძმები ვართო, მაგრამ, საბედნიეროდ, ასეთი არაფერი უთქვამს.

აეროპორტში დამძიმებულ ხასიათზე მივბრუნდი. ყოველთვის ასე ხდება, როცა ადამიანი რაიმე განსაკუთრებით ინტიმურს და მისთვის მნიშვნელოვანს გიმხელს და ამ გამხელით შენგან თანაგრძნობას ელოდება. თანაგრძნობა კი ჩემი საუკეთესო თვისება არასოდეს ყოფილა, თანაგრძნობას ხომ ის გასცემს, ვინც ელის კიდეც სხვისგან.

ოპერატორი ბედნიერი სახით იჯდა, რადგან იფიქრა, რომ ერთი ღამე კიდევ ვრჩებოდით, მაგრამ ვერ გავახარე. სამაგიეროდ გაახარა მასალამ, რომელიც გუნაისთან მობილური ტელეფონით ჩუმად გადავიღე.

თბილისში იქნებ ჩემი კარიერის საუკეთესო წუთებით ვბრუნდებოდი. არის ასეთი მომენტი, როცა გრძნობ, რომ ჯიბეში ძალაუფლება გიდევს, შენ კი მშვიდად მიყრდნობილხარ თვითმფრინავის სავარძლის საზურგეს და ილუმინატორიდან ქალაქს გადასცქერი. ქალაქს, რომელიც შენთვის ყველა უბედურების და ბედნიერების მომტანი იყო ყოველთვის...

ჟაკლინ სირაძე

ორი იდუმალი მეგობარი

ფიოდორ დოსტოევსკი და ჭაბუა ამირეჯიბი

1.

როცა თომას მანი მარსელ პრუსტზე საუბრობს და მის შედარებას ფიოდორ დოსტოევსკის შემოქმედებასთან ცდილობს, ასეთ კითხვას დასვამს:

– შეეძლო თუ არა ფრანგ მწერალს, მარსელ პრუსტს, ამ ღრმა ფსიქოლოგს, ამ ახალი რომანის შექმნელს, ისეთი ნაწარმოები დაეწერა, როგორიცაა „დანაშაული და სასჯელი“?

და ასეთ დასკვნამდე მიდის:

– ცოდნა, რასაკვირველია, ეყოფოდა, მაგრამ — სინდისი?

სწორედ სინდისია, რაც აწერინებს ფიოდორ დოსტოევსკის ზნეობის ისტორიას, რომელშიც იმ ყველაზე არსებით კითხვებზე გახდა შესაძლებელი პასუხის გაცემა, როგორც ახალი აღთქმის იმ ტექსტში, სადაც იესო ქრისტე უდაბნოში გამოიცდებოდა ეშმაკისაგან. ვფიქრობ, დიდი გერმანელი მწერალი თომას მანი, ისეთივე დიდ შეფასებას მისცემდა ჭაბუა ამირეჯიბის ორივე რომანს — „დათა თუთაშხიასა“ და „გორა მბორგალს“, რადგან ორივე ამ ნაწარმოებში მოცემულია ან მოთხრობილია სულის ის დაუჯერებელი „სიშლეგე“, რომლითაც მწერალი თამამად, უშიშრად ცდილობს, ტანჯვა-წამებით შეიცნოს და შეიგრძნოს სამყარო და გადმოსცეს დაუნდობელი გაკვეთილის შედეგი: ადამიანის დანიშნულება დედამიწაზე.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ჭაბუა ამირეჯიბს ფიოდორ დოსტოევსკისთან აერთიანებს ის უმთავრესი თვისება, რომ არც ერთი მათგანი არავითარ შემთხვევაში ესთეტიზმის ხიბლსა და გარეგნულ ეფექტებში არ გაცვლის მთავარ თემას: ადამიანის ეთიკურ და ზნეობრივ საკითხებს და მის მაღალ მისიას დედამიწაზე.

ასევე მათ აერთიანებს ის, რომ „ძმებ კარამაზოვებსა“ და „დათა თუთაშხიაში“ მოთხრობილი მამისმკვლელობა მხოლოდ ერთგვარი საბაბია, რათა ჩავწვდეთ კაცობრიობის ზნეობის ისტორიას, ანუ რჩეულის საკითხს. ის, რაც კაცობრიობის ხერხემალია, რომლის საზრისი მაშინ გამოიკვეთება, თუ ჩვენ გავისიგრძეგანებთ ეპოქის სულს და ადამიანის ზნეობრივ კრიტერიუმებს.

ძალიან საინტერესოა და ამავე დროს ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ორივე ნაწარმოებში მამისმკვლელობა წამყვანი თემაა. რაც თავისთავად იმასაც ნიშნავს, რომ კაცობრიობის ზნეობის ისტორია, რჩეულის საკითხი თუ ზნეობის კრიტერიუმების კვლევაც, ორივე მწერლისთვის მთავარ ამოცანად მოიაზრება. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ერთი შეხედვით, ამ ორი რომანის შედარება შეუძლებელია იმ მიზეზის გამო, რომ ეს ორი მკვლელობა დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთგან ის, უპირველესად, სოციალურ თემას, საბჭოთა წყობას უკავშირდება, რომლის იქით კაცობრიობის უღმერთობა იკითხება.

მეორეგან კი, სამყაროში ღმერთის სიკვდილის მაუწყებელი ის თავზარდამცემი ზარი და წინასწარმეტყველური უწყება ჩაგვესმის, რომ ადამიანის უღმერთობა ანტიქრისტეს ბატონობის მაუწყებელია დედამიწაზე.

თუმცა ისიც მართალია, რომ საბოლოოდ, ორივეგან ღმერთის მოვლინების მოლოდინი გამოსჭვივის.

„ძმებ კარამაზოვებისაგან“ ასე განსხვავებულ „დათა თუთაშხიაში“, მამისმკვლელობის სცენა, კერძოდ, თუ როგორ კლავს უკანონო შვილი გუდუნა მამას დათა თუთაშხიას, განასახიერებს უბირი კაცობრიობის მიერ სატანის დაკვეთით ღმერთის სახების მოკვლას. თავისთავად ცხადია, უბირ კაცობრიობაში საქართველოში არსებული საბჭოთა წყობის შინაარსი და საზრისი იკითხება, ახალი დედამიწის სახით, რომელსაც ჰქვია: გეო ასლამაზოვი – (ასად დაქუცმაცებული სილამაზე), იავარჰყოფილი სილამაზის, სათნოებისა და მშვენიერების ნიშნად. და თუმცა, მამისმკვლელობა მხოლოდ და მხოლოდ რომანის დასასრულს ხდება, არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომლის თანახმადაც მწერალმა აღნიშნულ ნაწარმოებზე მუშაობა სწორედ ამ სცენით, მამისმკვლელობით დაიწყო. რაც კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ სწორედ ამ თემამ, მამისმკვლელობამ, გამოიხმო და შთააგონა ავტორი დაეწერა თავისი შედევრი.

ქართველი მწერლისგან განსხვავებით ფიოდორ დოსტოევსკის რომანი „ძმები კარამაზოვები“ უშუალოდ მამისმკვლელობაზე საუბრით იწყება. კერძოდ, ნათქვამია, რომ ეს მკვლელობა, ერთი მხრივ, ბნელით მოცული იყო, ხოლო მეორე მხრივ, ტრაგიკული. და კარგი მკითხველის ინტუიცია მყის განჭვრეტს, იხილავს და „წაიკითხავს“, რომ ეს მამისმკვლელობა თავად მწერლის პირადი ბიოგრაფიის ერთ-ერთი საზარელი და დაუვიწყარი ფურცლიდან არის გადმოწერილი. კერძოდ, ფიოდორ დოსტოევსკის მამის მკვლელობის ფაქტიდან, როცა ოცმა გლეხმა და მოსამსახურე პერსონალმა უწლოვანი ბავშვის გაუპატიურებისთვის, ის, ლინჩის წესით გაასამართლა. ამბობენ, რომ სწორედ მაშინ დაემართა ფიოდორ დოსტოევსკის პირველად ეპილეფსიური კრუნჩხვა. რამდენიმე თვითმხილველის მონათხრობით, ისიც კი ვიცით, რომ აღშფოთებული და შეძრწუნებული დოსტოევსკი ღრიალით დაეცა მიწაზე, რის შემდეგაც დაემართა მას აღნიშნული ავადმყოფობა.

შეიძლება ისიც კი ვთქვათ, რომ ფიოდორ დოსტოევსკი იმ აკვიატებულმა სინდისის ქეჯნამ აქცია მწერლად, რაც მამამისის მიერ სოდომის ცოდვის ჩადენას უკავშირდებოდა. ეს იყო სირცხვილი და ტანჯვა იმის გამო, რომ საერთოდ მამამისი არსებობდა დედამიწაზე და მას შეეძლო წაებილწა ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო. უფრო მეტიც, ეს ნიშნავდა, რომ ღმერთმა დაუშვა, არსებულიყო ისეთი კაცობრიობა, რომელშიც ასეთ ადამიანს უფლება ჰქონდა ეცხოვრა.





ამიტომაც, მისი ეს გაუთავებელი ტანჯვა-წამება, ხშირად დაუფარავ აგრესიაში გადადიოდა. ამით აიხსნება მისი თავდასხმები ისეთი მწერლის მისამართით, როგორიცაა ივან ტურგენევი, რომელსაც დოსტოევსკი თავისი მუდმივი წამების საგანზე (როგორ გააუპატიურა მამამისმა პატარა გოგონა) ესაუბრებოდა ხელოვნური გულგრილობითა და უხეში გამონათქვამებით. ამ ამბავში, უჩვეულო ის იყო, რომ მის მონათხრობში ის თავად იყო მამამისი, სოდომის ცოდვის ჩამდენი. მაგრამ საინტერესოა, ასევე ის ფაქტიც, თუ რატომ შეარჩია მაინც და მაინც თავისი თავდასხმის ობიექტად დოსტოევსკიმ რუსი მწერალი ივან ტურგენევი. ამაზე პასუხის გაცემა ადვილია, ჯერ ერთი, ივან ტურგენევმა ადამიანის სულის სიღრმეებში, ჯოჯოხეთში ჩასვლის ნაცვლად სენტიმენტალური და გულისამაჩუყებელი, ზედაპირული თხრობა აირჩია.

ამას გარდა, ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ივან ტურგენევი არ იყო „მიჯაჭვული“, შეყვარებული თავის სამშობლო რუსეთზე, რადგან მას არ ჰქონდა, ის ღრმა, მისტიკური ჭვრეტა, რომლითაც თავისი შემოქმედების მეშვეობით, დოსტოევსკის დარად, რუსეთსა და რუს ერს გააერთიანებდა. ის, რაც დოსტოევსკისთვის ასე არსებითი იყო. მას, ივან ტურგენევს არ ტანჯავდა დოსტოევსკის „რუსული იდეა“. დოსტოევსკი კი, მხოლოდ თავისი ერის მისტიური ორგანიზმიდან - „ნოუმენიდან“ ჭვრეტდა და იმეცნებდა სამყაროს. ამიტომაც, ისეთი დიდი, მნიშვნელოვანი ქალაქებიც კი, როგორიცაა პარიზი და რომი, მისთვის მოსაწყენი და უინტერესო აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ძალიან კარგადაა ცნობილი მისი ამ ქალაქებში მოგზაურობისდროინდელი ჩანაწერები, სადაც ის აღწერს თავის უზომო ტანჯვასა და უზომო ნოსტალგიას რუსეთისადმი. ამაში გასაკვირი არც არაფერია. ეს ქალაქები ხომ მასში ვერ აღვიძებდნენ იესოს განვლილ გზას, მის ცოცხალ გულს. ის კი, როგორც უკვე აღვნიშნე, მხოლოდ და მხოლოდ რუს ადამიანში ჭვრეტდა კაცობრიობის მომავალს, რომელიც მართლმადიდებლურ რელიგიაშია განცხადებული. ფიოდორ დოსტოევსკისთვის უპირველესად, როგორც დიდი მისტიკოსისა და წინასწარმეტყველის ცნობიერებაში რუსეთის მისია „გაიხსნა“ და მხოლოდ აქედან ხედავდა იგი კაცობრიობის ბედს.

ანალოგიურად მართლმადიდებლური რელიგიის წიაღიდან ხედავს ჭაბუა ამირეჯიბი საქართველოს ბედს, მის მისიას. ის, თავისი მისტიკური თვალით, მაშასადამე, ქართული მისტიური პიროვნებიდან — „ნოუმენიდან“ მისჩერება და ჭვრეტს ქართულ ენას, ქართულ კულტურას, ქართულ ცნობიერებას, რომელიც ხდება ერთადერთი შესაძლებლობა მისთვის ქართველმა შეიცნოს სამყარო.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფიას რაც შეეხება, დოსტოევსკისგან განსხვავებით, მის ბავშვობის წლებში არ იკითხება ოჯახური დრამები და თავზარდამცემი, შეურაცხმყოფელი საქციელი ახლობელთა მხრიდან, რადგან მისი წინაპრები სამშობლოს სიყვარულით, ურთიერთპატივისცემითა და მაღალი ზნეობის პრინციპით იზრდებოდნენ, რამაც ბევრწილად განსაზღვრა „დათა თუთაშხიას“ შინაარსი.

მაგრამ, როცა დოსტოევსკის ბიოგრაფიაში ჩაიწერება დისიდენტი, ნაციმბირალი, ნაკატორღალი – უმალ ჭაბუა ამირეჯიბის დისიდენტობა, ნაციმბირალობა, ნაკატარღელობა, მისი ხუთი გაქცევის დაუჯერებელი, თავზარდამცემი და გასაოცარი თავგადასავალი შეგვახსენებს თავს, რაზეც ავტორმა არაჩვეულებრივი ქმნილება „გორა მბორგალი“ შექმნა.

მაგრამ რაც მთავარია, ორივე ცხოვრების ბოლოს, თითქოს ერთიდაიმავე ხელმა დაწერაო, თავიანთი ბოლო ქმნილების თავფურცელზე, მეუღლისადმი მიძღვნას გააკეთებს, ნიშნად ერთგულებისა, სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემისა.

ფიოდორ დოსტოევსკი ძუნწად წერს:

„ვუძღვნი ანა გრიგორევნა დოსტოევსკაიას“.

ხოლო, ჭაბუა ამირეჯიბი წერს:

„ჩემი წიგნებისა და სიცოცხლის მოამაგეს, ქალბატონ თამარ ჯავახიშვილს ვუძღვნი“.

ცხოვრების ბოლოს კი, ორივე, ერთნაირი „მწყურვალებითა“ და შეგნებით მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში ბრუნდება: მონანიე, მორჩილი მლოცველის სახით. როგორც ცნობილია, ფიოდორ დოსტოევსკი სახარებით ხელში მიიცვალა, ხოლო მისი იდუმალი მეგობარი და თანამოაზრე, დიდი მოაზროვნე და მისტიკოსი ჭაბუა ამირეჯიბი ბერი დავითად აღკვეცილი, ავადმყოფობის უმძიმესი წლების მიუხედავად, ხმადაკარგული, დამუნჯებული თავის სათქმელს დაფაზე ცარცით წერდა და ისე განაგრძობდა განმარტოებულ, მხურვალე ლოცვასთან ერთად ყველა საზოგადო საქმეში მონაწილეობას: პუბლიკაციებითა თუ პირადი ურთიერთობებით.

და ალბათ, სულაც არ არის გასაკვირი, როგორც თვითმხილველნი გვიყვებიან, რომ ორივე მათგანს სიკვდილის წინ ერთნაირი გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე:

ბოროტებაზე სიკეთის, სიკვდილზე სიცოცხლის ძლევის გამომხატველი: მშვიდი, სათნო და რწმენით გასხივოსნებული.

ხორხე ლუის ბორხესის 1894 წლით დათარიღებული ლეონ ბლუას განმარტებაში ვკითხულობთ:

„აწ ვხედავთ ვითარცა „სარკითა და სახითა“ ფარდას ხდის ადამიანის სულის ნამდვილ უფსკრულს. ცათა წიაღში დაფარული აურაცხელ უფსკრულთა შემაშინებელი სიმრავლე მოჩვენებითია, რადგან ის ჩვენი შინაგანი სამყაროს მხოლოდღა „სარკეში“ ჩენილი ანარეკლია. ჩვენ გვმართებს შიგნით მივმართოთ მზერა და ურთულესი ასტრონომიული გათვლები მოვახდინოთ გულის თვალუწვდენელ სიღრმეებში, რისთვისაც სასიკვდილოდ თავი დადო უფალმა... ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვხედავთ ირმის ნახტომს, რომ ის ნამდვილად არსებობს ჩვენს სულში“.

და ასე მგონია, ფიოდორ დოსტოევსკისა და ჭაბუა ამირეჯიბის რომანების წაკითხვას მხოლოდ ის მკითხველი შეძლებს, ვინც წინასწარ ივარაუდებს ხორხე ლუის ბორხესის მსგავსად, რომ ამ ნაწარმოებებში წმინდა წერილში ჩასაიდუმლოებული ამბებია მოთხრობილი. მაშასადამე, პავლე მოციქულის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ფიოდორ დოსტოევსკის და ჭაბუა ამირეჯიბის რომანებში წმინდა წერილში მოთხრობილი ამბები უნდა „გავხსნათ“. თუმცა, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებებში ბევრი რამ ისევ საიდუმლო ენით იქნება მოთხრობილი და ბევრი რამ კი ენიგმასავით ამოუხსნელი დარჩება, რადგან წმინდა წერილის საიდუმლო არაფრით არ შეიძლება პირდაპირ, ლოგიკურად აიხსნას და გადმოიცეს.

2.

ჩვენს წინაშეა ასე განსხვავებული ორი სამყარო: ფიოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ და ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“. მაგრამ შეიძლება მათში ერთნაირი კითხვები ამოვიკითხოთ:

– აქვს თუ არა სიცოცხლეს რაიმე ღირებულება? აქვს თუ არა ადამიანს საზრისი კაცობრიობის ისტორიაში? ანუ კაცობრიობის ისტორიის მსვლელობას აქვს თუ არა რაიმე ისეთი ღირებულება, რომელიც გაამართლებდა უსამართლობასა და ბოროტებას მიწიერ სამყაროში? როგორ უნდა აღმოიფხვრას ბოროტება? ან რა არის ბოროტების ბუნება, მისი არსი? როგორ უნდა დაასრულოს ღმერთმა თავისი შემოქმედება და რა როლს შეასრულებს მისი შექმნილი მასში, ანუ პროვიდენციალურ საკითხს მივადექით.

და ეს კითხვები განიხილება, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ორ რომანში „დათა თუთაშხიასა“ და „ძმებ კარამაზოვებში“ სამყაროს კრიზისის გამამჟღავნებელი ფაქტითა და ამ კრიზისის შედეგით: – მამისკვლელობის თემით, რომელიც მთავარი თემაა ორივე ნაწარმოებისა.

როცა ამ ორ მწერალს შორის არსებულ განსხვავებაზე ვსაუბრობთ, იმთავითვე მათი განსხვავებული ეთნოსი უნდა იქნას გათვალისწინებული, ორი განსხვავებული ნაციონალური ხასიათით.

როგორც ნიკოლაი ბერდიაევი წერს, გენიალურ მწერალ ფიოდორ დოსტოევსკიში სავსებით გაიხსნა რუსული ნაციონალიზმი, მისი ხასიათი, ანუ ის თვისება, რასაც იგი უწოდებდა „ნიჰილისტურ და აპოკალიფსურ სულს“ სწორედ დოსტოევსკის გენიაში პოულობს ბერდიაევი რუსული ხასიათისათვის ასე ნიშანდობლივ და მოუცილებელ „მეტაფიზიკური ისტერიის“ გამჟღავნებას. სწორედ ამ „მეტაფიზიკური ისტერიის ველში“, დოსტოევსკის სამყაროში შეიძლება ისე გიყვარდეს, რომ სულაც არ ნიშნავდეს სიყვარულს, უფრო პირიქითაც, შეიძლება „გიყვარდეს და გეზიზღებოდეს“, ანუ როგორც ზუსტად შენიშნავს ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და კულტუროლო-

გი ჟერარ რენე წიგნში „დოსტოევსკი – გაორებიდან სულის გამთლიანებამდე“, რომან „დამცირებულნი და შეურაცხყოფილის“ პერსონაჟი ნატაშა საბოლოოდ ერთგვარ სიამოვნებას პოულობს იმაში, რომ ალიოშას ღალატი აპატიოს, რითაც ისევ და ისევ ხაზი გაესმება იმ უცნაურობას, რომ დოსტოევსკის სამყაროში დიდსულოვნებას, როგორც ყველა ადამიანურ თვისებას, ორგვარი ხასიათი აქვს.

დოსტოევსკის სამყაროში, „მეტაფიზიკური ისტერიის“ ველში ადამიანის გული უსაზღვრო სივრცეში განფენილ ველად იქცევა, რომელზეც ერთმანეთს ეჭიდება ანგელოზი და ეშმაკი.

რუსი მწერლის სამყაროში ყოველივე დიადი თუ კნინი ამ ნაციონალური, რუსული ხასიათის საზღვრებშია მოქცეული და გამონაკლისი არც ის გამორჩეული თვისებაა, აპოკალიფსური წყობის სულს მუდამ რომ ახასიათებდა და გამოარჩევდა. და რაც ფილოსოფიური კითხვების დასმის საჭიროებაში გამოიხატება, სულის დაუცხრომელ წყურვილში მუდამ პოულობს იმ ზღვარს მიღმა გასვლის უფლებას, სადაც გასვლა-გაღწევა ღმერთმა იმთავითვე აკრძალა. შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ გენიალური მწერალი თავისი აზროვნებითა თუ ფიქრით სცილდება ღვთის მიერ დაწესებულ კანონს, რადგან როგორც რელიგიური წიგნები გვიწესებენ, ამგვარ კითხვებზე პასუხები უფრო მეტად დააბნევს ადამიანს და უფრო მეტად იქნება შესაძლებელი, ცთუნდეს და ბოროტი ძალის ტყვეობაში მოექცეს.

თუმც ფიოდორ დოსტოევსკი ამაზე ერთგვარი მინიშნებით წერს და იმასაც აღნიშნავს, რომ ადამიანის გონება „ევკლიდური გონებაა“, რომელსაც არ შესწევს უნარი ღვთაებრივი საიდუმლოება ამოიცნოს. არ ძალუძს ასევე ჩაწვდეს იმ საშინელებას, თუ რატომ იტანჯება ასე სასტიკად ადამიანი დედამიწაზე? ანუ რა აზრი აქვს ტანჯვას დედამიწაზე? ან უფრო ზუსტად, რა საფასურს მიიღებს სიკვდილის შემდეგ ადამიანი ამ ტანჯვა-წამების სანაცვლოდ?

ამიტომაცაა, რომ ღმერთის მიერ დაწესებული ზღვრის მიღმა გაღწეული ადამიანის „ევკლიდური გონება“ მუდამ ირყევა და ვერა და ვერ ფუძნდება ერთ აზრზე:

– არ იცის არსებობს თუ არა ღმერთი? მაშასადამე, არ იცის არსებობს თუ არა სიკეთე? არსებობს სიყვარული თუ არა? არსებობს თუ არა სულის უკვდავება? უანგარობა? და ადამიანის ყველა ღირებულება ღმერთის მიერ დაწესებული კანონით აკრძალულ ამ მიღმა „ტერიტორიაზე“, ამ „სიმაღლიდან“ უწონადოდ დაფარფატებს და ადამიანური გონება ვერცერთ ღირებულებას ველარ იპოვის წარსული დროების, ანუ კითხვის დასმამდე არსებული დროის შესაბამისად.

რაც შეეხება ჭაბუა ამირეჯიბს, მისი ქართული ეთნოსისათვის, მისი ხასიათის თავისებურებისთვის სრულიად უცხოა რუსი მწერლის აპოკალიფსური წყობა სულისა. უფრო პირიქით, მასში ერთმანეთს ერწყმის სულ სხვა ორი პოლუსი: ერთია ნიჰილიზმი და მეორე – სიხარულით სიცოცხლის მიღების უნარი. პირველში იკითხება ყველაფრის უარყოფის, ნგრევის სურვილი, რომელსაც ერთვის წრეგადასული კრიტიკა ყველაფრისადმი, რაც ქართულმა ნაციონალიზმმა შექმნა და ზიზღამდე მისული თვითგვემა. ამ დროს ქართულ ეთნოსში იკვეთება უცხოს გაღმერთება, რაც მდგომარეობს სხვა ერის ნაციონალური თვისებების გადაჭარბებით შეფასებასა და ამის ფონზე ქართული ღირებულებების ნიველირებაში.

მეორე მხრივ, ეს არის ქართული დიდებული სულის, საკუთარი თავის ღირსების შემგრძნობი და შემცნობი სულის თვისება. ამ თვისებაში, გარეგნული თვალისთვის იკვეთება გადაჭარბებული აღტაცება და თრობა იმ დიდებულებით, რაც ქართული სულის ნიშანია – შექმნას თავისი სულიდან კონტრაპუნქტი, რომელსაც ძალუძს თავის მრავალსახეობაში ამოიკითხოს და ისე შეიცნოს, რათა საბოლოოდ თავისი თავის ერთ ენაზე განსრულება შეიძლოს. ამ თვითშეფასებაში მას ღმერთის ბოძებული ნიჭი ღვთაებრივის თანაზიარი სიხარულით ცათამდე აამაღლებს და მაშინ მისი ბაგე ქებას აღავლენს ყველაფრისადმი, რაც მას გარს არტყია. სწორედ ამ მიზეზითაა, რომ სიცოცხლე თავისთავად, უპირობოდ დიდი ღირებულებაა ქართველისათვის, ამიტომაც მას არასოდეს არ მოსდის თავში დასვას ისეთი კითხვები, რაც თუნდაც ფიოდორ დოსტოევსკის რომან „ძმებ კარამაზოვებში“ დაისვა. ცხადია, როცა ქართულ ეთნოსსა და მის ხასიათზე ვსაუბრობ, უპირველესად, გამოვდივარ ქართველი მწერლის ჭაბუა ამირეჯიბის სამყაროდან. რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ეს მოსაზრება, როგორც ქარგა, გადავაცვათ მთელ ქართულ კულტურას ან თუნდ ქართულ ლიტერატურას.

– რა ღირებულება აქვს სიცოცხლეს?

ან სხვაგვარად:

– გვიყვარს თუ არა სიცოცხლე უპირობოდ? ყოველგვარი კრიტიკის, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე?

და თუ ქართველს ამ კითხვას დაუსვამ, ის აუცილებლად დამცინავ ხარხარს შემოგაგებებს საპასუხოდ, რადგან მისი სიხარულიანი, აღტაცებული დამოკიდებულება თავისთავად, უპირობოდ უკვე გულისხმობს, რომ სიცოცხლე დიდი ღირებულებაა. აპრიორი ღმერთი არსებობს და რომ სიკეთეს, სიყვარულსა და მშვენიერებას დიდი საზრისი აქვს და ის სიცოცხლის ერთ-ერთი მოუცილებელი საიდუმლოებაა.

თუ გარეგნული თვალისთვის ქართული ნაციონალური სულის ეს თვისება, ერთგვარად მის ზედაპირულობაზე და მისი სულის ერთგვარ ზერელობაზე მიანიშნებს, სინამდვილეში მისი ხასიათის ამ მოუცილებელ თვისებაში სულ სხვა შინაარსი ამოიკითხება: – იღებდეს სიცოცხლეს გაუხსნელად ისე, როგორც მას ღვთაებრივმა გონმა დაუწესა და არასოდეს გავიდეს იმ ზღვარს, საიდანაც იწყება არაადამიანურის სფერო. რადგან მან, იმთავითვე იცის, რომ ადამიანურსა და ღვთაებრივს შორის გადაულახავი უფსკრულია.

ამიტომაცაა, რომ ქართული სულისათვის უცხოა კითხვები:

– არსებობს თუ არა ადამიანი? არსებობს თუ არა ღმერთი? არსებობს თუ არა სიკეთე და ბოროტება? არსებობს თუ არა სულის უკვდავება? არსებობს თუ არა სიცოცხლე?

ქართული გონი ერთგული რჩება იმ საზღვრისა, რაც ღმერთისგან არის დაწესებული. ეს, მისი ეროვნული, თვითმყოფადი ხასიათია, რომელიც ბუნებაში ყოფნისას, ანუ ქართულ სუფრაზე „ფილოსოფოსობს“. ბუნების წიაღს განასახიერებს სუფრა, (რადგან ის აქ ჭამს, სვამს, ანუ ცხოვრების „გემოში“ მოგზაურობს) მას, მისი ბუნების მრავალფეროვნების თავისებური „თაიგული“ ისევ ხელთ უპყრია და ისე ცდილობს, გაიაზროს თავისი მყოფობა დედამიწაზე. ამით იმის თქმა მსურს, რომ აბსტრაქტული აზროვნება მისთვის ძალიან უცხო და მიუღებელია, რადგან ის ცხოვრების იდუმალი ძალის საიდუმლოებაში მყოფობას ამჯობინებს და იქიდან ადიდებს ღმერთს და ადიდებს ადამიანს. ქართული სუფრა სამყაროს საადიდებელი სუფრაა, სადაც ადამიანი სცილდება ჩვეულებრივ ცხოვრებას, რუტინას, ივიწყებს თავის ყოფას და გარდაისახება ანგელოზად. იმად, რაც ის არის თავისი ღვთაებრივი წარმომავლობის გამოისობით. და რადგან სუფრის თითოეული წევრი ხდება ანგელოზი, მაშასადამე, სუფრის მეთაური სიმბოლურად ღმერთი ყოფილა, იგივე თამადა; ხოლო სუფრა, რომელიც სუფრის წევრებს აერთიანებს, არის თავად მათი სამშობლო, სადაც ხდება ყოველი თემის ხელახლა გააზრება და ეს გააზრება არასოდეს არ არის იმ სახიფათო ზღვარზე გასვლა, სადაც ღმერთი კრძალავს ადამიანური გონებით მის განხილვას. ჭაბუა ამირეჯიბის პერსონაჟ დათა თუთაშხიასთვის თავისთავად სიცოცხლე უდიდესი საგანძურია და ეს იმიტომ, რომ მისი შემეცნება იმ საზღვრებშია მოქცეული, რადაც იწოდება ქართველი ეთნოსის, ერის საზღვრები. ამ ერის იდუმალ, მისტიკურ ორგანიზმში ჩაღვრილია ღვთიური საიდუმლოება და დათაც, ქართველი ხასიათიდან გამომდინარე, არასოდეს სვამს კითხვებს:

– არსებობს თუ არა მარადისობა?

– არსებობს თუ არა უკვდავება?

რადგან მან წინდაწინვე, ღვთის კარნახით იცის, რომ მარადისობა და სულის უკვდავება მისი სულის თანამდევი თვისებაა და ისიც მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მსჯელობს, თუ როგორ უნდა აღმოფხვრას „აქ და ამ დღეს, ამ სიტუაციაში“ დედამიწაზე ბოროტება.

ამიტომაც ფიოდორ დოსტოევსკის კითხვები, ამ გაორებული აპოკალიფსური და ნიჰილისტური სულის მგზნებარე ძიება მუდამ უცხო დარჩება ქართული სულისთვის, რომელიც იქნებ კიდევ ერთხელ დააყენებს თავის გენიასთან ერთად მთელს მოაზროვნე კაცობრიობას სამოთხეში სიკეთისა და ბოროტების ხის წინაშე და კიდევ ერთხელ იგემებს ღვთისგან აკრძალულ ხის ნაყოფს.

განა, აკრძალული ხის ნაყოფის „სიბრძნეზე“ არ მიგვანიშნებს კითხვები, მაგალითად, როცა შატოვი სტავროგინს ეუბნება:

„განა, თქვენ არ მეუბნებოდით, რომ თუ მათემატიკურად შეიძლებოდა დამტკიცებულიყო, რომ ჭეშმარიტება არსებობს ქრისტეს გარეშე, თქვენ აირჩევდით დარჩენილიყავით ქრისტესთან, ვიდრე ჭეშმარიტებასთან“.

ან იქნებ ყველაზე თავზარდამცემი აზრი:

„და მართლაც ადამიანმა ღმერთი მოიგონა და ის კი არ არის გასაკვირი ან გასაოცარი, რომ ღმერთი მართლაც არსებობს, არამედ ის, რომ ასეთი აზრი – ღმერთის აუცილებელი არსებობის აზრი – ისეთ ველურ და ბოროტ ცხოველს შეიძლებოდა გასჩენოდა, როგორც ადამიანია – იმდენად წმინდა, იმდენად გულისამაჩუყებელი და იმდენად ბრძნულია ეს აზრი და იმხელა ღირსებას სძენს ის ადამიანს“.



როსტომ მეორე

რეპლიკა

განსაკუთრებით დაინტერესებულმა წავიკითხე როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის („კომიკოსი ტრაგედიაში. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“) 889 გვერდის 680 გვერდი. ციტატები არ წამიკითხავს: ზეპირად ვიცი!

ამ წიგნს ორი გმირი ჰყავს: გალაკტიონ ტაბიძე და ოლია ოკუჯავა და ესაა ამ რომანის დიდი ღირსება. ოლია ოკუჯავა დღემდის იდგა გალაკტიონის ჩრდილში. რამდენიმე თვით ადრე ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით საგანგებოდ დავწერე მოზრდილი ესსე — „მთაწმინდის მთვარის დაბნელება“ და წარვუდგინე „ჩვენი მწერლობის“ რედაქტორს როსტომ ჩხეიძეს. ესსე 2012 წლის ოცდამეორე ნომერში გამოქვეყნდა 30 ნოემბერს. რამდენიმე დღის შემდეგ როსტომმა გამომიგზავნა თავისი ახალი წიგნი. ეს წიგნი რომ წაკითხული მქონოდა, ჩემი ესსე შეიძლება არცკი დაწერილიყო. თუმცა ერთი მოულოდნელი და სასიამოვნო შემთხვევა აღმოვაჩინე: როსტომის მიერ მოხმობილი ოლიას ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა არ ემთხვეოდა ჩემსას. თითქოს წინასწარ ვიყავით შეთანხმებულები და ამდენად, მეტი და მეტი დეტალი გავაცანით ქართველ მკითხველს.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ 2012 წელი გახლავთ ოლია ოკუჯავას მეორე და საბოლოო რეაბილიტაციის წელიწადი და მიხარია, რომ ამ დაგვიანებულ აღიარებაში როსტომთან ერთად დავიდე წილი.

„უცნობში“ მე ვივარაუდე: სტალინსა და ბერიას რომ არ დაეხვრიტათ ოლია ოკუჯავა, იქნებ გალაკტიონს თავი არც კი მოეკლა-მეთქი.

როსტომ ჩხეიძის წიგნის წაკითხვის შემდეგ თამამად ვაცხადებ: სტალინსა და ბერიას რომ არ დაეხვრიტათ ოლია ოკუჯავა, გალაკტიონი არავითარ შემთხვევაში არ მოიკლავდა თავს.

როსტომ ჩხეიძის რომანის ბოლო გვერდზე მითითებულია ორი თარიღი: 2011 წლის 1 დეკემბერი და 2012 წლის 15 აპრილი. მაშასადამე, წიგნი დაიწერა ოთხთვენახევარში ანუ ასოცდათხუთმეტ დღეში! ცხადია, წერის პროცესის ხანგრძლივობას არავითარი კავშირი არა აქვს ხარისხთან. არსებობს რამდენიმე საათში დაწერილი შედევრები და არსებობს ათეული წლების განმავლობაში შექმნილები.

მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა და ასეთი განსაკუთრებული გამონაკლისის უყურადღებოდ დატოვება არ ეგების: ასოცდათხუთმეტ დღეში 889 გვერდიანი აშკარად წარმატებული რომანი, თანაც ბიოგრაფიული ანუ დოკუმენტური, როცა ფანტაზია მაქსიმალურადაა შეზღუდული.

გულის გულში კი გავიფიქრე: როსტომი თავს გვაწონებს და თარიღები განგებ დაავიწროვა-მეთქი. მაგრამ წინა წელიწადსაც ახალი ბიოგრაფიული რომანი შემოგვთავაზა და მომდევნო წელიწადსაც — ახალი და ასე შემდეგ. ამიტომ ეს ეჭვი გამოირიცხა.

დარჩა ერთადერთი გამოსავალი: აქამდე მეეჭვებოდა და ამჯერად საბოლოოდ დავრწმუნდი, არსებობს მეორე როსტომ ჩხეიძე, რომელიც წლების მანძილზე აგროვებდა და აზუსტებდა მასალებს გალაკტიონის რომანისთვის და მერე დაჯდა და დაწერა ეს სოლიდური წიგნი.

დიახ, არსებობს ორი როსტომი: ერთი, რომელიც წერს და წერს და წერს და მეორე — რომელიც ჩანს.

ასე რომ, არაა გამორიცხული, ოდესმე როსტომ ჩხეიძის ორეული გამოგვეცხადოს — როსტომ მეორე!

P.S. „ჩვენი მწერლობის“ 2014 წლის მეთხუთმეტე ნომერში დაიბეჭდა „როსტომ ჩხეიძის ახალი ბიოგრაფიული რომანის განხილვა“ („რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკა“). ამ განხილვის დროს თვითონ როსტომმა ჩამოთვალა ქართული ბიოგრაფიული რომანის თხუთმეტი ნიმუში და ორი პოტენციური ავტორიც, რომლებიც ბიოგრაფიულ რომანებს წერენ, მაგრამ ჯერ არ დაუსრულებიათ.

გამიკვირდა: ნუთუ, როსტომს, რომელიც ყველაფრის წაკითხვას ასწრებს, ჩემი „უცნობი“ არ წაუკითხავს? არადა, „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკაში“ ხშირად მიხსენებს და მიმოწმებს.

უცებ გამახსენდა მეორე როსტომი და ჩემი ვარაუდი საბოლოოდ დავიჯერე: როგორც ჩანს, რევაზ გაბაშვილის ცხოვრების ქრონიკის განხილვას დაესწრო სწორედ ის მეორე როსტომი, რომელიც ჩანს და რომელსაც ჩემი „უცნობი“ ჯერ არ წაუკითხავს.

ვახტანგ ჯავახაძე

გამომცემელი

რუსუდან მოსიძე

საქართველოში საგამომცემლო საქმე წინ მიიწევს, თითოეულ გამომცემელს მკვეთრად გამოკვეთილი „ხელწერა“, პრიორიტეტები აქვს, სხვადასხვა მიმართულებას ანვითარებს და განსაკუთრებული პროდუქტის შექმნას ცდილობს. ამ მხრივ გამორჩეულია „ბაკმი“, რომელიც კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო ნიმუშებს აწვდის მკითხველს.

უკანასკნელ წლებში „ბაკმმა“ ქართული ხელნაწერი წიგნების საგანძურიდან მარგალიტების ამოკრება და თანამედროვე დიზაინისა და პოლიგრაფიის შერწყმით, მათი გამომზეურება დაიწყო. გამომცემლობისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლობამ ახალი სიცოცხლე აჩუქა საუკუნეების წინანდელ საგანძურს და საშუალება მისცა მკითხველს „განძი რჩეულის“ მფლობელი გამხდარიყო.

ისინი არ ჩქარობენ, კონვეირივით არ უშვებენ წიგნებს. როცა ლიტერატურის დამფასებელი ხარ, სხვაგვარად მუშაობა ალბათ შეუძლებელიცაა. გამომცემლობაში „ბაკმის“ დამფუძნებლებს, ბონდო მაცაბერიძესა და რუსუდან მოსიძეს შევხვდი. „ვეფხისტყაოსანი“, „წმინდა ოთხთავი“, „ფსალმუნნი“ და ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“ მართლაც განძივით რომ დამიდეს, სანამ გადავშლიდი, მინდოდა, დიდხანს მეცქირა. შემდეგ გადავფურცლე და შთაბეჭდილება ახლა თურმე იქ მელოდა. როგორც იქნა, მასპინძლებისთვისაც მოვიცალე, თუმცა ბატონმა ბონდომ ასპარეზი ქალბატონს დაუთმო და მეც პირველი კითხვით რუსუდან მოსიძეს მივმართე.

— „ბაკმი“ სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების ლიტერატურას გამოსცემს და მკითხველს მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს, თუმცა დღეს მსურს, რამდენიმე გამორჩეულ გამოცემაზე და სერიაზე შევაჩეროთ ყურადღება. გთხოვთ, მიამბოთ, როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან.

— ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ჩვენი ურთიერთობა წლების წინ დაიწყო. მაშინ იაკობ გოგებაშვილის „საღვთო ისტორიაზე“ ვმუშაობდით და მათ საცავში სრულიად შემთხვევით მოვხვდით. სხვა უძვირფასეს ხელნაწერ წიგნებს შორის ვნახეთ გელათის ოთხთავი და წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი მაშინ სწორედ ამ წიგნებმა გამოიწვია. ბუნებრივია, მათი გამოცემის სურვილი გაგვიჩნდა, მაგრამ როცა არჩევანზე მიდგა საქმე, თავდაპირველად „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა გადავწყვიტეთ.

— დაბეჭდვაში რას გულისხმობთ, რეპრინტის გამოცემა გინდოდათ?

— რასაკვირველია, დიდი სურვილი გვაქვს, ხელნაწერი წიგნების რეპრინტული გამოცემაც შევთავაზოთ მკითხველს, სამომავლოდ ამას აუცილებლად გავაკეთებთ. თუმცა პირველ ეტაპზე გადავწყვიტეთ, საზოგადოებისთვის შეგვეთავაზებინა თანამედროვე დიზაინითა და მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გაფორმებული იქნებოდა 54 მინიატიურით წერეთლისეული ხელნაწერიდან. მართლაც უნიკალური წიგნი გამოვიდა.

— როგორც ვიცი, წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“, პოემის სხვა ხელნაწერებთან შედარებით, ყველაზე უხვად არის ილუსტრირებული.

— „ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული ნუსხა, როგორც მას მეცნიერები უწოდებენ, XVII საუკუნის ხელნაწერია. მინიატიურები რამდენიმე უცნობი მხატვრის მიერაა შესრულებული, ერთ ნაწილს ირანულ-ისფაჰანური სამინიატიურო სკოლის გავლენა ეტყობა, ნაწილი კი წიგნის მხატვრობის ქართულ ტრადიციებს ასახავს. სულ ხელნაწერში 80-ზე მეტი ილუსტრაციაა, მაგრამ ჩვენს გამოცემაში ისინი სრულად ვერ შევიდა, რადგან მხოლოდ დაუზიანებელი მინიატიურები გადმოვიტანეთ. ტექნიკურად არც ეს იყო იოლი, რადგან, მოგეხსენებათ, ქაღალდი ძველია, შელახული, მინიატიურები ისე უნდა გადაიღო, რომ ხარვეზები არ ეტყობოდეს. რაც შეეხება ხელნაწერ ტექსტს, ის შესრულებულია მხედრულად, შავი მელნით, სათაურები და სტროფების დასაწყისები — სინგურით, საწერ მასალად გასანთლული ქაღალდია გამოყენებული. სულ 289 ფურცელია. ხელნაწერს ვრცელი და საინტერესო ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ წიგნმა ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად იმოგზაურა უცხოეთში, თუმცა მანამდეც, მისი მოძიება და გადარჩენა სწორედ ბატონი ექვთიმეს დამსახურება გახლდათ. „წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“ დიდად შესანიშნავია, ისეთი ღირსების სურათები არცერთ სხვა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს არ მოეპოვებაო“, — წერდა მეცნიერი. ძალიან მიხარია, რომ გამომცემლობამ საშუალება მისცა ქართველ ადამიანს, ის „სურათები“ თავად ეხილა, ალბათ მოვა დრო და „ბაკმი“ წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის“ რეპრინტსაც შესთავაზებს მკითხველს.

— არანაკლებ შთამბეჭდავი გამოცემაა „წმინდა ოთხთავი“. დასაწყისში ბრძანეთ, რომ მისი გამოცემის სურვილი გელათური „სახარების“ ხილვის შემდეგ გაგიჩნდათ.

„წერეთლისეულ რეპრინტს შევთავაზებთ მკითხველს“

— მართლაც საოცარი ხელნაწერია — XII საუკუნის ქართული სახარება ე.წ. „სადღესასწაულო“. იგი პირველი ნიმუშია, რომელიც გიორგი მთაწმინდელისეულ რედაქციას შეიცავს. ტექსტს დართული აქვს ლიტურგიკულ ნიშანთა განმარტებები ბერძნულ და ქართულ ენებზე, ასევე „ავგაროზის ეპისტოლე“. წიგნის მხატვრობა ქართული მინიატიურული ხელოვნების იშვიათი ნიმუში გახლავთ. იქ 250-ზე მეტი მინიატიურაა. ტექსტი ნუსხურადაა გადაწერილი, ყავისფერი მელნით, ოქრომელნითა და სინგურით. როცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავში ეს წიგნი ვნახეთ, გაგვაოცა მისმა განუმეორებელმა მხატვრობამ, დეკორის სიუხვემ, ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, რომ ქართული კულტურის ნამდვილ საგანძურს შევეხეთ. მაშინ გაგვიჩნდა აზრი, რომ ქართული ოჯახი შეუძლებელია ამ საგანძურის გარეშე მოიაზრებოდეს და გადავწყვიტეთ, გამოგვეცა „ოთხთავი“ გელათური ხელნაწერის მინიატიურებით.

მართალი გითხრათ, თავდაპირველად გვინდოდა ტექსტი ნუსხურადვე დაგვებეჭდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მკითხველი წიგნს დიდად ვერ მოიხმარდა, ჩვენ კი გვსურდა ის საყოველთაო, თითოეული ქართველისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, ამიტომ ვამჯობინეთ დაგვებეჭდა მხედრულად. გამოცემის ტექსტი მომზადდა „ახალი აღთქმის“ საქართველოს საპატრიარქოს 1963 წლის გამოცემის მიხედვით და გაფორმდა გელათის სახარების 251 მინიატიურით. ქართულ საგამომცემლო სივრცეში ეს პირველი ფერადი სახარება გახლავთ.

— ცოტა ხნის წინ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში „ბაკმის“ ახალი წიგნის „ფსალმუნნის“ პრეზენტაცია გაიმართა. „ფსალმუნნი“, ხარისხით, ტოლს არ უდებს „განძი რჩეულის“ წინა ორ გამოცემას.

— ახალგამოცემული „ფსალმუნნი“ მართლაც ჩვენი სიამაყეა. მისი გამოცემა გადავწყვიტეთ მას შემდეგ, რაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავში ჯრუჭის XIII—XV საუკუნეების ხელნაწერი ვიხილეთ. მისი ტექსტი, ასევე, წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელისეულ რედაქციას და ნუსხურადაა შესრულებული. ხელნაწერი 1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილს წამოუღია ჯრუჭიდან.

— XIII-XV საუკუნეებით თარიღდებაო, — თქვით, ნუთუ თარიღის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია?

— საქმე ის გახლავთ, რომ ხელნაწერის დათარიღებაზე სამეცნიერო წრეებში დავა დღემდე გრძელდება. ილუსტრაციების უმეტესი ნაწილი XIII საუკუნისაა, ტექსტი კი XVII საუკუნეში ზელიმხან ბატონიშვილის დაკვეთით გადაუწერიათ. მოგვიანებით ბატონიშვილისთვის მინიატიურები უჩუქებიათ და ისინი ხელნაწერისთვის ბოლოში დაურთავთ. ზოგადად, „ჯრუჭის ფსალმუნნის“ უნიკალურობა ისიცაა, რომ ძველი აღთქმის ქართულ ხელნაწერებში დასურათება თითქმის არ გვხვდება, აქ კი მთელი სისავსითაა წარმოჩენილი ქართული მინიატიურული სკოლა. დედანში 132 ილუსტრაციაა, ჩვენი გამოცემა კი 119 მინიატიურით გავაფორმეთ, ამასთან, მათი ზომაც არ შეგვიცვლია, არც ტექსტს განუცდია ცვლილება, იგი ათონელისეული რედაქციით დაიბეჭდა, მხოლოდ — მხედრულად.

როგორც მოგახსენეთ, დედანს ილუსტრაციები ებმის. გამოცემულ ტექსტში კი მინიატიურები თემატურად გადავანაწილეთ. ამაში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ქავთარია დაგვეხმარა. ქალბატონი ნინო არაერთი წელია გელათისა და ჯრუჭის ხელნაწერებზე მუშაობს, ზედმიწევნით იცნობს ტექსტებს და ის რომ არა, „ფსალმუნნის“ გამოსაცემად მომზადებას წელიწადზე ბევრად მეტი დრო დასჭირდებოდა.

— შეიძლება ითქვას, ეს პროექტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ერთად განახორციელეთ?

— იდეა ჩვენია, მაგრამ ვინაიდან დედნები სახელმწიფო კუთვნილებაა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, მის ხელმძღვანელს, ბუბა კუდავას დავუკავშირდით და მან უფლება მოგვცა, გვემუშავა საცავში ხელნაწერებზე. მანვე დაგვახმარა შესანიშნავი სპეციალისტები — ნინო ქავთარია, მაია კარანაძე და ნინო მეგენეიშვილი. „ფსალმუნნისა“ და „ოთხთავის“ რედაქტირება ვთხოვეთ ელგუჯა გიუნაშვილს. მადლობა მინდა ვუთხრა მირიან კილაძესაც, არაჩვეულებრივ ფოტოგრაფს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი პროექტების წარმატებაში.

ბუნებრივია, „ფსალმუნნის“ პრეზენტაცია, ისე როგორც „განძი რჩეულის“ წინა ორი წიგნისა, გაიმართა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ღონისძიებას უამრავი ადამიანი დაესწრო, თუმცა ცენტრის თანამშრომლებმა მაინც ყველაზე უკეთ იციან იმ გამოცემების ფასი. უკვე არაერთი წელია, მათთან ერთად ვიზიარებთ სიხარულს. თავიდან „ბაკმის“ წამოწყებას სკეპტიკურად უყურებდნენ, არ სჯეროდათ, რომ ჩვენი იდეა რეალობად იქცეოდა. ამბობდნენ, თქვენამდე სხვა გამომცემლებიც მოსულან თანამშრომლობის სურვილით, მაგრამ იმდენად ძვირადღირებული პროექტებია, დაიწყებდნენ მუშაობას და მალევე ანებებდნენ თავსო. მართალი გითხრათ, ჩვენც დიდხანს და ამაოდ ვეძებდით სპონსორს. ბოლოს და ბოლოს, სამივე წიგნი საკუთარი ხარჯებით გამოვეცით.

— სულ ახლახან კიდევ ერთი არაჩვეულებრივი წიგნი წარმოადგინეთ. ესაა ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, რომელიც გურამ გოგიაშვილმა თარგმნა. ძალიან მაღალი დონის გამოცემაა.

— პროექტი განვახორციელეთ კულტურის სამინისტროს თანადაფინანსებით. შეიძლება ითქვას, რაბლე საკუთარ ქვეყანაშიც კი არ გამოუციათ ასეთ დონეზე. ეს გახლავთ ხუთწიგნეული ერთ წიგნად. გამოცემა დიდი მოცულობისაა და გაფორმებულია გუსტავ დორეს ილუსტრაციებით. 500-ზე მეტმა ილუსტრაციამ ძალზე გაამდიდრა წიგნი. ვიზუალური და პოლიგრაფიული თვალსაზრისით სრულყოფილ გამოცემაში თარგმანის ხარისხიც შესაბამისია. გურამ გოგიაშვილი ოცდაათ წელზე მეტხანს მუშაობდა ამ ტექსტზე. მისი თარგმანი ადრეც გამოცემულა, მაგრამ — შეკვეცილად. „ბაკმი“ კი „გარგანტუა და პანტაგრუელის“ სრულ ვერსიას სთავაზობს მკითხველს.

პროექტზე დაახლოებით ათი წელი ვიმუშავეთ. ბატონი გურამი მიიჩნევს, რომ ეს თარგმანი მისი ცხოვრების არსია, მას ყველა ენაზე გამოცემული რაბლე აქვს შინ და უნდოდა, ქართული გამოცემაც მაქსიმალურად სრულყოფილი ყოფილიყო. რამდენჯერმე გაითხოვა ტექსტი — კიდევ რაღაც მაქვს ჩასასწორებელიო, ამბობდა. ამიტომაც წიგნის გამოცემა დროში გაიწელა, თუმცა შედეგი ნამდვილად ღირდა







ძალისხმევად. თარგმანი ისეთია, იფიქრებ, „გარგანტუა და პანტაგრუელი“ ქართულად არის დაწერილიო. ტექსტის რედაქტირებისას გაოცებას ვერ ვმალავდი ბატონი გურამის შესანიშნავი ქართულის, მთარგმნელობითი ოსტატობის გამო. თარგმანი ლიტერატურულ პრემია „საბაზე“ წარვადგინეთ.

ეს არ გახლავთ ბიზნესპროექტი, გამომცემლობისთვის ასეთი წიგნების დაბეჭდვა ღირსების საკითხი უფროა. იგივე ითქმის იმ გამოცემებზე, ზემოთ რომ ვილაპარაკეთ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ადამიანს ენახოს ეს წიგნები და სუნთქვაშეკრულს არ ეთქვას: „ეს არის განძი!“. გამომცემლისთვის უფრო დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს, როცა მისი საქმიანობის ნაყოფს ასეთი სიტყვით შეაფასებენ.

— „სასკოლო ბიბლიოთეკა“ ძველი პროექტია. ვიცი, რომ სიახლე აქაც გაქვთ.

— „სასკოლო ბიბლიოთეკა“ მნიშვნელოვანი პროექტია გამომცემლობისთვის, რადგან მივიჩნევთ, რომ ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველი სწორედ წიგნიერება და განათლებული ახალი თაობაა. შესაბამისად ვცდილობთ, ბავშვებსა და მოზარდებს საუკეთესო საკითხავი შევთავაზოთ. ხუთი წლის განმავლობაში ოცდათორმეტი წიგნი გამოვეცით. აქამდე მხოლოდ ქართველი ავტორების ნაწარმოებებს ვბეჭდავდით, ახლა უცხოური ლიტერატურით ვაგრძელებთ. „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და „ბიძია თომას ქოხი“ უკვე გამოსულია.

— „ბაკმის“ დამფუძნებელი, ამავდროულად, საბავშვო მწერალიცაა. ბატონი ბონდოს ზღაპრების გმირებს, თეკლა გოგოსა და ბექნა ბიჭს ნორჩი მკითხველი კარგად იცნობს. მგონი ამ პერსონაჟებს გერმანულენოვანი პატარებიც მალე გაიცნობენ. ასეა?

— მოგეხსენებათ „ბაკმი“ საერთაშორისო წიგნის ბაზრობების აქტიური მონაწილეა. ფრანკფურტში სხვა გამოცემებთან ერთად ჩატანილი გვქონდა ბონდო მაცაბერიძის „ზღაპრები ბექნა ბიჭზე“ და „ზღაპრები თეკლა გოგოზე“. ამ წიგნებით ერთ-ერთი გერმანელი გამომცემლობა დაინტერესდა. თავდაპირველად, ზღაპრების გარკვეული ნაწილი ითარგმნა. ეს სამუშაო არაჩვეულებრივად შეასრულა ანასტასია ყამარაულმა. იოსტ გიპერტს — ცნობილ ენათმეცნიერს, კავკასიოლოგსა და ქართული მწერლობის ქომაგს თარგმანი ძალიან მოეწონა და მანვე ითავა რედაქტორობა. მალე კვლავ ვეწვიეთ ფრანკფურტს, ამჯერად მანანა თანდაშვილის ლიტერატურულ სალონში ბატონი ბონდოს ზღაპრებიდან ნაწყვეტები უნდა წაეკითხათ. გერმანული ენა არ ვიცი, მაგრამ როცა თარგმნილ ტექსტს ვისმენდი, ინტონაცია იმდენად ზუსტი, ორიგინალის ადეკვატური იყო, მეგონა, უბრალოდ, სიტყვები არ მესმის, თორემ ტექსტს ქართულად კითხულობენ-მეთქი. შეხვედრას ქართველებიც ესწრებოდნენ, გერმანელებიც. ნაწყვეტები ყველას ძალიან მოეწონა. მანანა თანდაშვილის ლიტერატურული სალონი საბავშვო წიგნებზე არ მუშაობს, მათთვის პრიორიტეტული მაინც თანამედროვე პროზის თარგმნაა, მაგრამ უცხოელი მკითხველის მხრიდან ამგვარი რეაქციის შემდეგ გადაწყდა, ორივე ზღაპარი სრულად თარგმნილიყო.

მოგვიანებით ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის პროგრამაში — ფესტივალი ამ სახის ღიონისძიებების სიმრავლით გამოირჩევა — ბონდო მაცაბერიძის ზღაპრების კითხვაც შეიტანეს. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დარბაზი გერმანელი მკითხველით გაივსო. ანასტასია ყამარაულმა და მანანა თანდაშვილმა წაიკითხეს ნაწყვეტები. ამის შემდეგ ყველამ მოისურვა წიგნები შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის შეეძინა. ამ ეტაპზე გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულება გერმანელ გამომცემელთან და სულ მალე „ზღაპრები თეკლა გოგოზე“ და „ზღაპრები ბექნა ბიჭზე“ გერმანულად გამოვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს არის პირველი პრეცენდენტი, როცა თანამედროვე ქართველი საბავშვო მწერალი უცხოურ ენაზე ითარგმნება. ზღაპრებით დაინტერესდა ერთ-ერთი პეტერბურგული გამომცემლობაც. გავუგზანეთ თარგმანი და ველოდებით, როდის დაიბეჭდება.

ესაუბრა თამარ ჟურული

ირაკლი სამსონაძე

აპრილის ქარები

დასასრული

ბა ტრულაილას – ტრულაილა დევის სახლში ჩაბუდებული, დევადქცეული ნაცარქექაია, რომელიც თავად ტყუვდება და – ტაშ, ტაშ, ტრულაილა, ტააშ, ტააშ! ანდა, ანდა, ანდა, ანდა – იქნებ არც ასე იყოს საქმე; იქნებ, იქნებ, იქნებ, იქნებ შეასახლეს ტრულაილად, ან იქნებ თავად შეისახელა ტრულაილად თავი, რათა გადარჩენილიყო, ფერი იცვალა, ხვედრს გაურიგდა, ხვედრისგან მოგდებული მასხარის ნიღაბს ლირიკული გმირის პეწიანი ცრემლიც შემატა, მაგრამ მაინც მასხარად დარჩა; და გინდ ისა თქვი, ის – დევადქცეული ნაცარქექია სახელად ტრულაილა, გინდა ეს თქვი – ლირიკული გმირი მასხარის ნიღბით, – ორივე შემთხვევაში ტრულაილაა მოტყუებული და ჰე, ტრულაილავ, ჰე, საიდან მოდიხარ, სად მოგძებნა ამ სახელმა, სად? იმ ყმაწვილკაცობაში გადაწყდა, როცა ერთსა და იმავე დუქანში რამდენჯერმე დაპატიჟე ძმაკაცები და მედუქნემ, იმ ეშმაკის კერძმა სიმონიკამ სიტყვა შემოგაგება – ვინა სთქვა შენზე, არ მოვაო?! — ბიჭოიამ კი, აი, ამ ბიჭოიამ, მხარმარცხნივ რომ გიზის ახლა, ყველას გასაგონად გკითხა: რა იყო, დიტოია, გარიგდი სიმონიკასთან თუ რაა, ამნაირი დახვედრა ტრულაილასაც შეშურდებოდაო, – და აიტაცეს ეს სახელი, შეგრჩა და შეიტოვე, თუ შეიფერე, რადგან გესიამოვნა, ჰო, გესიამოვნა, მეტად წამოგებრიქა მკერდი, მეტად შეგეზნიქა მუცელი, მეტად მოჟინიანდი, რათა ცხოვრებაში გევარგა, გეშოვა ფული და ასე, ასე, ასე, სწორედ ასე შეგგებებოდნენ მედუქნეები თუ რესტორატორები: – ვინა სთქვა შენზე, არ მოვაო, ვინ?! — წაგაქეზა, მედუქნის მარტივ ხრიკზე წამოგიკიდა სიმონიკამ და შენც წამოეკიდე, შეგასახლა ბიჭოიამ და შენც შესახლდი ტრულაილად, რადგან, როგორც ჩანს, რაღაც გაკლდა, ჰო, უეჭველად, უეჭველად, უეჭველად ასე იქნებოდა, უეჭველად – ნაკლულობა შეივსე ამ სახელით, საშველი გაუჩინე საკუთარ თავს და მასთან, სწორედაც რომ მასთან, – უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან წამოიწყე მძიმე, გამთანგველი თამაში, სადაც ბუნებრივი სურვილი კი არ გმართავდა, ტრულაილობა გაიძულებდა ატორღიალებოდი „ბლონდინკებსა“ თუ „ბრუნეტკებს“, ისეთებსა თუ ასეთებს, ტრულაილას შესაფერის წიწკვებს, მოკლედ რომ ვთქვათ და ჰე, მეგობრებო, ძვირფასო სტუმრებო – დოროგიე დრუზია, პრიეზჟაიტე ვ გრუზია! იუ — ბიჯო, – იუ, ვ გრუზიუ! აჰა – იუ? კეთილი, ჩემო ბატონო, მაშინ ასე ვთქვათ, – დოროგიე დრუზიუ, პრიეზჟაიტე ვ გრუზიუ! — და ხა, ხა, ხა, ხაა, და ხი, ხი, ხი, ხიი! — კოლორიტული მასხარა უშველებელი იმპერიის ერთი განაპირა რესპუბლიკის ძველისძველ ქალაქში, – კოლორიტული მასხარა, ვისი ნახვაც ასე ეძვირფასებათ უშველებელი იმპერიის სხვადასხვა ქალაქიდან წვეულ „ბლონდინკებსა“ თუ „ბრუნეტკებს“, ისეთებსა თუ ასეთებს და ისიც აქაა, ადგილზეა, სურვილის შემთხვევაში თავისუფლად ნახავთ, როგორც ზოოპარკის ფაფრიან ლომს, ანდა, როგორც ცირკის ჯამბაზს, ან თუნდაც, როგორც ტრულაილას საბჭოთა საქართველოდან და ჰე, ბიჭო, ტრულაილა, ჰე, მარტო რესტორანი ხომ არაა, შე კაცო, ბაგრატის ტაძრის ნაშთები მაინც აჩვენე სტუმარს, წაიყვანე ექსკურსიაზე და ანახე, რაც ჯერ კიდე შემოგრჩენია, ანახე, ჰო, ანახე, თუნდაც იმის დასტურად ანახე, რომ სულ ასეთი არ ყოფილხარ, უბრალოდ მოხდა ასე – მოწყდი შენს ბუნებრივ მდგომარეობას და ამ დროს როგორც ხდება ხოლმე, თავის გადასარჩენად შეეგუე ახალ კლიმატს, ახალ ხვედრს, ახალ ტყავს, რომელსაც უკვე იმდენი ხანია ატარებ, ისე მოიშინაურე, რომ ტრულაილობა გექცა ტრადიციად, წარსულში შენი სიამაყე კი ამპარტავნებად დამცრობილ აწმყოში, სადაც თამაშობ, თამაშობ, თამაშობ, ჰო, გამუდმებით თამაშობ, რადგან თამაშის გარეშე სრული არარაობა ხარ, ჰოდა, შენც თამაშობ, თამაშობ, თამაშობ იმათთან, ამათთან, ყველასთან და რაც ყველაზე დამამცირებელია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან თამაშობ, – და იმას, იმას, იმას, იმას, საკუთარ თავს უმტკიცებ, რომ ვიღაცა ხარ, წარმოსადეგი მამაკაცი, ვისაც არც სიტყვა-პასუხი ეშლება, არც – საქციელი, ძირძველი ქალაქელი იმ ქალაქიდან, სადაც ჯერ კიდე არსებობს ბაგრატის ტაძრის ნაშთები და ჰე, მეგობრებო, ძვირფასო სტუმრებო, ჰე, – დოროგიე დრუზია, პრიეზჟაიტე ვ გრუზია! იუ, — ბიჯო, – იუ, ვ გრუზიუ! აჰ — იუ? შენც ხომ კარგად იცი, რომ – იუ, მაგრამ თამაში მოითხოვს და თამაშობ, თამაშობ, თამაშობ - რითმავ კვლავაც, – დოროგიე დრუზიუ, პრიეზჟაიტე ვ გრუზიუ! და ხა, ხა, ხა, ხაა, და ხი, ხი, ხი, ხიი! და ის გეკითხება, ის, ის, ის „ბლონდინკა“ თუ „ბრუნეტკა“, ის ისეთი თუ ასეთი გეკითხება – ექსკურსიის მერე სად წავალთო და შენც პასუხობ — მერე ვივახშმებთო, – და ამას ისე ამბობ, საქმის ცოდნით, ხიბლიანად და ტაშ, ტრულაილა, ტააშ, ტააშ! — მაგრამ არც ისე უნიჭო და მარტივი ხარ, ტრულაილობას ფული სჭირდება, შოულობ ფულს, უძღვები საქმეს, მერე კი, მერე, მერე, მერე, ვისი რა საქმეა, სად და როგორ დახარჯავ იმ ფულს, ძმაკაცებთან მოიპრიანებ ქეიფს, თუ უშველებელი იმპერიის სხვადასხვა ქალაქებიდან წვეულ „ბლონდინკებსა“ თუ „ბრუნეტკებს“ დაახვედრებ იმას, რასაც შენგან ელოდნენ – კოლორიტს, რომელიც შენ და მათ, ერთობლივად აქციეთ ასეთ კოლორიტად; ტრადიციას, რომელიც შენ და მათ, ერთობლივად აქციეთ ასეთ ტრადიციად, ტრულაილას ნიღაბს ახვედრებ, რომელზეც შესაძლოა, ლირიკული გმირის პეწიანი ცრემლიც გდის დროდადრო და აი, ახლაც, ახლაც, ახლაც, შენივე სურვილითა და ხარჯით გაწყობილ პურ-მარილზე, რასაც საკუთარი საოხრის ქელეხი დაარქვი, საიდანღაც მოიწევს ცრემლი, თუმცა მწარეა, სხვა ცრემლია აშკარად, ლიბრად გადგება თვალზე და იმ ლიბრიდან, იმ მწარე ლიბრიდან ყველაზე ცხადად ხედავ შენი ამპარტავნების სიბითურესა და დღემოკლეობას. ხომ იცოდი, ზუსტად იცოდი, რომ ბიჭოია მთელ ქალაქს მოსდებდა ამ ქელეხის ამბავს, მაგრამ სწორედ ამიტომაც უხმე, გვერდით მოისვი იმ იმედით, რომ ბიჭოია თავისებურად გააფორმებდა ყველაფერს, მოვლენად აქცევდა და ილაპარაკებდნენ შენს განსაკუთრებულობაზე, შენს კოლორიტულ მეობაზე, შენზე...

მაგრამ,
მაგრამ,
მაგრამ,
რაღაც გაუთვალისწინებელი, წინასწარ ვერგასათვლელი მოხდა, მაგრამ...

„ამპარტავნებისთვის წვალობს და ჯახირობს კაცი“, – იფიქრა ტრულაილამ, – „ამპარტავნებისთვის ბევრსაც იტანს, რათა მწყემსივით დასცინოს გიჟ მარტს, მაგრამ სასჯელი მოდის, სასჯელი სწორედ მაშინ მოდის, როცა ყველაზე ნაკლებად ელი, აპრილის თვეში, ქართან ერთად“.

ფანჯარას გახედა. ეზოში არავინ ჩანდა; ქარი, ტირიფი, სხვა – არავინ. „რაც არის, არის“, – თავს შეუძახა ტრულაილამ, – „ადამიანს ვერაფერი შეცვლის, თუ ეს თამაში წამოვიწყე, ისე უნდა გავასრულო, გახსენებად რომ ღირდეს“, — ბიჭოიას გამოხედა, თვალი ჩაუკრა, განსხვავებული ჭიქისკენ ანიშნა. აქეთ ბიჭოიამ, იქით – მხატვარმა გერა ნი...ძემ განსხვავებულები შეავსეს.

— მე ვიცი, ვინც იქნება ამ ქელეხში თამადა, – თქვა ტრულაილამ.

— თამადა არ ხარ? გადასარევად უძღვები საქმეს, – შეაგება ბიჭოიამ.

— არა, – თავი გადააქნია ტრულაილამ, – მე ჭირისუფალი ვარ, თამადას ახლა მოვიწვევთ.

— ვის, გაფიცებ ძმობას, ვის? – ჩაეცივდა ბიჭოია.

— ლამარიეს, – თქვა ტრულაილამ.

ბიჭოიას სახე ჩამოუგრძელდა.

— აბა, აბა, – ორჯერ ამოიბლუყუნა პარტიულმა ფუნქციონერმა კიაზო ბა...იამ, მესამედაც მიაყოლა მერე, – აბაო, მოკვდაო?

— არ მომკვდარა, – თქვა ტრულაილამ, – ცოცხალია, ავტოქარხნის რაიონში რომ ბიბლიოთეკაა, იქ მოვაწყვე ბიბლიოთეკარად.

— რას ჩივი, კაცო, კითხვა იცოდა? – გაუკვირდა პარტიულ ფუნქციონერს.

— კი, — თქვა ტრულაილამ, – ცოდნია, ტექნიკუმის დიპლომიც მანახა.

— რომელი ტექნიკუმის, საინტერესოა ძალიან, – თქვა კიაზო ბა...იამ და ლიმონათი ჩამოისხა ჭიქაში.

— მე ვისზე მითხრეს, აბა? – იკითხა ბიჭოიამ.

— ნანულიეზე გეტყოდნენ, – თქვა ტრულაილამ, – დაქალობდნენ ეგენი, დაფშვიტინობდნენ ერთად; ნანულიე მოკვდა, ლამარიე ცოცხალია, ზის ბიბლიოთეკაში, არის მშვენივრად.

— ახლა იი უნიფხვო ლამარიე წამომისკუპე აქ თამადად, – კვლავაც წამოუხურდა წარბას სახე, – ჩემი მეობა და სახელი მიტარებია ამ ქალაქში, ახლა უნდა დამასხა თავსლაფი? რა იყო, შეჩემაალა, რამ გაგაცოფა, ვის არ დავარდნია ეგ დედააფეთქებული, შემარგე ერთი სტაქანი ღვინო, ბიჯოოს, არ გადამაყოლა, კაცო!..

— მე რომ მკითხოს კაცმა, – ჩვეულებისამებრ წამოიწყო მხატვარმა გერა ნი...ძემ, მაგრამ წარბამ შეაწყვეტინა წამისმიერად:

— როის იყო, თუ ძმა ხარ, აზრს გეკითხებოდი, გაჩუმდით ახლა და ჩეიწკიპეთ ენა მუცელში! — თქვა წარბამ და ბასრი მზერა მოავლო მეგობრებს.

ტრულაილამ თვალი გაუსწორა წარბას.

— დღევანდელი დღე ჩემია, როგორც ვიტყვი, ისე იქნება, – თქვა ტრულაილამ და ხელი შეავლო განსხვავებულ სასმისს.

ვაჟა გიგაშვილი

დასასრული

ჟონგლიორობდა არყის ჭიქებითაც, პურის ნაჭრებითაც და სხვა რამეებით... მაგიდას ნასვამი ხალხი შემოეჯარებოდა ხოლმე და უყურებდნენ პირდაღებული... კარგად დაღებულ პირს რომ შეამჩნევდა, შიგ ბურთულას უგდებდა... ამაზე ერთხელ ცემაც დაუპირეს... კარგადაც იჩხუბა, სანამ გავაშველებდით... ესენი ქვეცნობიერად უკვე გურამის პერსონაჟებად მყავდა წარმოდგენილი, მაგრამ ეტყობა, არაფერი ჩაუწერია, თორემ შენ არ გამოგრჩებოდა (მიმართვა მარინე რჩ-ს)... მგონი, შენც იყავი მოსკოვში იმ წელს გურამთან... იმ დარბაზში ხომ არ ყოფილხარ?..

30 ოქტომბრის ჩანაწერში ნათქვამია „ავჩარკაზე“... ცოტას წინდაწინ ავხსნი, რომ გასაგები იყოს... „ავჩარკა“ იყო ელისო, ერთი სოფლელი გოგო, მგონი, მთიული... ჩუღურეთში ჰქონდა ნაქირავები ერთი „დირკა“ ოთახი... ეს გოგო იყო ნამდვილი ძვლების გროვა, დიდი, ძვლიანი ყბითა და გრძელი, ფაფარივით დაყრილი თმებით... მე მგონი, ეს თმები იყო მისი ერთადერთი ქალური ატრიბუტი... როგორც მახსოვს, მგონი, ბერდია გოგოჭურმა გააცნო გურამს... ადრეც ნათქვამი მაქვს გურამის თვისებაზე: სწრაფად იწვევდა ხოლმე ადამიანებში ანგარიშმიუცემელ, უანგარო სიყვარულს (ქალურს არ ვგულისხმობ, საერთოს)... „ავჩარკასთვის“ გურამი ღმერთი იყო... არა მგონია, ეს ქალური სიყვარული ყოფილიყო... უფრო, ნამდვილი ავჩარკის სიყვარულსა ჰგავდა უმაღლესი არსება-პატრონისადმი... აბეზარა არ იყო... ხანდახან გამოჩნდებოდა უნივერსიტეტის ბაღში, ჩუმად იჯდა ხოლმე და უსმენდა ბიჭების ღადაობას... მერე წავიდოდა... ხანდახან გურამი ამასაც პატიჟებდა ხოლმე დასალევზე... რამდენჯერმე ამანაც დაგვპატიჟა...

...ადრე ნათქვამი მაქვს, რომ მეორე იარაღის შოვნა გვინდოდა (ერთი მქონდა: ჯეჯი გომელაურისაგან ნაჩუქარი, მამამისის „ბრაუნინგი-5“) და მაშინ მალევე ვიშოვეთ ორი იარაღი: ერთი პარაბელუმი და ერთი „ტტ“... ჰოდა, ამ იარაღებს, როცა თან არა გვქონდა, „ავჩარკასთან“ ვინახავდით... „ავჩარკა“ აბსოლუტურად სანდო და ერთგული იყო... კრიმინალშიაც იყო ნაჩალიჩარი, იარაღიც იცოდა და კიდევ სხვა რამეებიც...

ციტატა: „...„ავჩარკასთან“ ვიყავით... გურამმა ვიწრო ტახტზე მიმითითა, ამ „კარობკის“ ნახევარი რომ ეკავა და მითხრა: „...აი, აქა სძინავთ „ავჩარკასა“ და ბერდიას... თავფეხშექცევით წვანან...“ უცებ წარმოვიდგინე და გიჟივით გამეცინა... ამ დროს „ავჩარკაც“ შემოვიდა, ლუდები მოიტანა...“

...სულ ეს არის!... მეტი აღარსადაა ნახსენები... მაგრამ მე ხომ გამახსენა „ავჩარკას“ არსებობა... ბერდია კი, როცა უბინაოდ იყო, აქ მოდიოდა ხოლმე ღამის გასათევად...

შემდეგში, უკვე 1958-ის ზაფხულში, „ავჩარკა“ გაქრა თბილისიდან... ვერაფერი გავიგეთ, ბერდიამაც არაფერი იცოდა... სახლის პატრონმა გვითხრა — სამი თვის ქირა დაუგროვდა და გაიპარაო... კარგი, ამას გაეპარა, ჩვენ რაღაზე გაგვეპარებოდა-თქო, ვამბობდით... მერე ისევ ბერდიამ მოგვიტანა ამბავი... „ავჩარკას“ ჰყოლია დამეგობრებული მეზობელი სომხის გოგო, როზა... ბერდია კარგად იცნობდა ამ როზას: კარგი გოგოა — ამბობდა ბერდია. ძალიან შველოდა ელისოს, გაუთოება, გარეცხვა... რამე... ცხელ კერძს უწილადებდა... როცა ელისო სახლში იყო, სულ ერთად ისხდნენ და პრუტუნებდნენ... ჰოდა, ჰყვებოდა ბერდია: „...ამ როზასთვის უთქვამს — უნდა გავქრე, თორემ ეგ ბიჭები მომკლავენო... — თქვენზე უთქვამს... როზამ: ...რას ამბობ, რატომ?.. სულ მაგათ ქებაში არ იყავიო?.. ელისომ: ...მაგათი იარაღები ორ ჩემს სოფლელს ვათხოვე „საქმეზე“, ...განა დაიკარგებოდა, სამ დღეში უეჭველად დააბრუნებდნენ, მაგრამ მილიციელებმა დახოცესო... ეხლა მე მოღალატე გამოვედი და ეგენი ღალატს არავის აპატიებენო...

...იმ პერიოდში „კომუნისტში“ იყო შსს-ს ინფორმაცია, რომ სოფელ კაკაბეთში, მილიციის მიერ, ორმხრივ სროლაში ლიკვიდირებულ იქნა ორი, ციხიდან გაქცეული, ძალიან საშიში ბანდიტი-რეციდივისტი, რომელთა სინდისზე იყო არაერთი სისხლიანი დანაშაულიო...

...აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!.. აი, თურმე სად იმუშავეს ჩვენმა პისტოლეტებმა ჩვენი „ავჩარკას“ წყალობით!.. მაგრამ ეს — „უეჭველად მომკლავენ“ — რაღა იყო?.. ნუთუ, მართლა სჯეროდა, რომ მოვკლავთ?.. რა სისულელეა?.. საიდან?.. რატომ?.. ეჭვი მაქვს, რომ ეს ზედმეტი დრამატიზირებისათვის დააბრეხვა იმ გოგოსთან... ვფიქრობ, რომ მას სრულიად აუტანლად და გაუსაძლისად ეჩვენებოდა, გურამისთვის, მისი კერპისათვის, თვალებში შეხედვა იარაღის დაკარგვის შემდეგ... ცხოვრება ისე გავიდა, რომ აღარაფერი მსმენია ელისო-„ავჩარკის“ შესახებ... გვარიც კი არ მახსოვს მისი (ვიცოდი კი თავის დროზე?.. ეგეც არ მახსოვს)...

...ნოემბრის 8-ში ჩანაწერიდან:

„...მე და გურამი ვისხედით გრიბოედოვის კუთხეში, ჯიგაროსკენ ამავალ კიბეებზე და ველოდით ჯიგაროს... ჩუმად ვენეოდით და უცებ გურამი მეუბნება:

„...კაცმა ისეთი რამე არ უნდა გააკეთოს, რომ საკუთარ დედას შეძულდეს...“

„...ვის გულისხმობ?..“ — ვკითხე მე...

„...არავის... ისე, საერთოდ...“

„...საერთოდ, ცნობილია, რომ კაცმა რაც გინდა საზიზღრობა ქნას, დედას მაინც უყვარს და გამართლებასაც უძებნის...“

„...ეგ კრეტინ დედებს მოსდით...“ — ჩაიფრუტუნა გურამმა — „...მაგათ მარტო ცხოველური ინსტინქტი აქვთ... ინსტინქტი ფარავს ჭკუასა და ღირსებას...“

ცოტა ხნის შემდეგ დაამატა: „...კაცი თუ მაქამდე მივიდა, რომ საკუთარ დედას შეეზიზღა, გათავებულია მისი საქმე... შეიძლება, ვერცა ხვდებოდეს, მაგრამ მაგის იქით აღარაფერია...“

...მივხვდი, რომ წეღან დეიდა მაროზე ფიქრობდა... ვიცი, რომ ძალიან მაღლა აყენებს დედამისის პიროვნულ თვისებებს...“

გივი ალხაზიშვილი

ცვალებადი რაკურსი

დასასრული

რად ანგაჟირებული და დროში (აბანოში) გამოჩნდება შედეგები! ასე რომ, პროლეტარული კულტურა თავისი ადგილის დაბრუნებას ცდილობს! ესე იგი, ექო, მეტადრე ლიტერატურული — დროდადრო მეორდება, განსხვავებული ტონალობით, სიხშირით და დიაპაზონით.

„დრამატურგიულად შეფუთული სიცრუე“

დაუსრულებლად გრძელდება მითქმა-მოთქმა ჩემს წიგნზე „მომავალი წარსული“. სარწმუნო წყაროებით ვიცი, რომ სიცრუეს ავრცელებენ ისინი, ვისაც თავიდანვე თვალში არ მოუვიდა ეს წიგნი ან თავი ამოიცნო რომელიღაც უარყოფით პერსონაჟში.

ცილი დამწამეს, რომ მე, ამ წიგნის ავტორმა, უარყოფით კონტექსტში მოვიხსენიე ზოგიერთები გარდაცვალების შემდეგ, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ეს წიგნი დაიწერა 2008 წელს და მალევე დაიბეჭდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“, როცა ის სუბიექტები, ვისაც გარდაცვლილად ასაღებენ მეჭორეები, ყველა ცოცხალი იყო, გარდა საბჭოთა კავშირისა, რომელსაც კბილებით იცავენ საბჭოეთის ნარჩენები.

ყველანაირად დასტურდება, რომ არცერთ გარდაცვლილზე მათი სიკვდილის შემდეგ არაფერი მითქვამს და არ დამიბეჭდავს რაიმე შეურაცხმყოფელი, მაგრამ მთავარ დაზარალებულს ძალიან მოუნდა ჩემთვის დაებრალებინა ეს სიცრუე და ცილი დამწამა.

სიმართლე გითხრათ, მე ნაკლებად მწამს ის ცნობილი რომაული ანდაზა, რომელსაც თუთიყუშივით იმეორებს მრავალი, რომ გარდაცვლილზე ან კარგს ამბობენ ან არაფერს... როგორც ჩანს, ქარონმა თუ წაიყვანა ჰეროსტრატე, მაშინვე პირში წყალი უნდა ჩავიგუბოთ და აუგი აღარ უნდა ვთქვათ მასზე, არც სხვაზე, ვინც პოლიტპატიმართა ძვლებით გაავსო გულაგი და ტყვეებით კონცლაგერები.

კაენზეც კრინტი არ უნდა დავძრათ, რათა განკითხვაში არ ჩაგვეთვალოს. ილიას მკვლელებზეც არ შეიძლება კრინტი დავძრათ. როცა ძმაკაცი, სამსახურში რომ მიიღე და მაღალი ხელფასი დაუნიშნე, მერე კი მან შენი თავიდან მოშორება, სამსახურიდან გაგდება განიზრახა და შენი ადგილი მოინდომა, მაგრამ არ გამოუვიდა, ამისთვის შემოგწყრა და გაიბუტა, თურმე უწყინარ კონტექსტშიც არ უნდა მოგეხსენებინა შენს წიგნში. აი, ამათი სამართალი ასეთია. შენ ხმა არ უნდა ამოგეღო, უნდა გაეგდე სამსახურიდან და შენ ადგილზე წამოსკუპებულიყო ეს ტიპი. თავი უნდა ჩაგექინდრა და წასუსულიყავ.

ჩემი ნებით არ წავედი სამსახურიდან. მოვითხოვე გავეთავისუფლებინე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს და ბრძანებაში აღენიშნა განთავისუფლების მოტივი, არაპროფესიონალიზმი, განსხვავებული პოლიტიკური მრწამსი და ასე შემდეგ. თუ ასე არ მოიქცეოდა, თავმჯდომარეს დავპირდი, რომ ამ ყველაფერს, ანუ პოლიტიკური ნიშნით დევნაზე მოვუყვებოდი უცხოურ რადიოარხებს და საერთოდ მასმედიას! ჩემი ულტიმატუმის შემდეგ თავმჯდომარე მოლბა, შეკრთა, ჩაფიქრდა და მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრობა შემომთავაზა და მას, ვინც ჩემზე აამხედრა და ჩემს თანამდებობას დაპირდა, ზურგი შეაქცია. ასე ჩაიფუშა ეს მზაკვრული გეგმა. ჩემი მეგობარი, ვინც მე სამსახურში მივიყვანე, საბოლოოდ დამემდურა, აღარ მესალმებოდა და მისი განაწყენება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ნებით არ დავტოვე სამსახური და არ დავუთმე ჩემი ადგილი. აი, ასე მომექცა ის, ვისაც სამსახური მივეცი.

მოგვიანებით, წლების შემდეგ, ცალკე გამიხმო და მითხრა: ძალიან მაგარი ყოფილხარ! რას გულისხმობ, ლიტერატურას? არა, ლიტერატურას არა, სხვა რამეს! გვიანობამდე ვერ გავაცნობიერე, რაში ვიყავი ძალიან მაგარი?! როგორც მერე, მოგვიანებით მივხვდი, მაგარი ლიტერატურაში კი არა, თავის გადარჩენაში ვყოფილვარ, რადგან გავუძელი ასეთ ზეწოლას და დაუფარავ მუქარას: „შვილების გამო მაინც არ გეშინია?“ დიახ, ასე დამემუქრა „უფროსი,“ მერე რომ უკან დაიხია, როცა ვუთხარი, რომ დასავლურ პრესას მოვუყვებოდი ამ რეპრესიაზე!

დაჯდა ეს ბებერი მთხვზელი დი მედუზა და ჭორები შეაკონწიწა. მერე ტელეფონით შეუდგა სიცრუის გავრცელებას. სამეგობრო შეკრიბა, სათითოოდაც მოინახულა და იწყო ჭორის გავრცელება, „ამ უსვინდისომ მკვდრებიც კი არ დაინდო და თავის წიგნში თავს დაესხაო.“ ყველაზე მეტად მაკვირვებენ ისინი, ვინც გაუთავებლად იმეორებენ იმავე სიცრუეს და ამით მაიძულებენ გავხსნა ფრჩხილები, რაც მათთვის მომაკვდინებელი იქნება. ნუთუ არ ურჩევნია, მორჩეს ცილისწამებას და ხმა გაკმინდოს?

დადგება დრო და ყველაფერს ნათელი მოეფინება.

ახლა სავსებით მშვიდად ვუყურებ ყოველივეს, რაც მოხდა, ყოველივეს და ამ პიესის ავტორსაც, ცნობილ მიზანტროპს და მისი დაკვეთის შემსრულებელ კრეტინკოსს. ეს გახლდათ საბჭოთა მენტალიტეტის ამხედრება ჩემი წიგნის წინააღმდეგ. „მომავალი წარსული“ შეივსება, ხელმეორედ დაიბეჭდება და ნათელი მოეფინება ყველაფერს.

ნუ იღელვებთ, ძვირფასებო, თქვენს ტყუილს მოკლე ფეხი აქვს ან სულაც უფეხოა! რომანის დაბეჭდვისას ის პერსონაჟები ცოცხლები იყვნენ და თუ ავტორმა ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენია რომელიმე მათგანი, შეეძლოთ პასუხის გაცემა, მაგრამ არ ისურვეს.

ასე საპნის ბუშტივით გასკდა მედუზას გავრცელებული დრამატურგიულად შეფუთული სიცრუე.

დანართი: „მომავალი წარსული“ დაიბეჭდა ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“, წიგნად გამოიცა 2010 წელს „სიესტაში“. წიგნის რედაქტორი და წინათქმის ავტორია როსტომ ჩხეიძე. რასაც აქ ვწერ, ამის შემსწრე და მოწმე როსტომია. მეგობარო, მიდი და ჰკითხე როსტომს, ის ხომ შენი მეგობარიც არის, მართალს ვამბობ თუ ვცრუობ?! ვისაც სიმართლის დანახვა არ სურს, მზესაც ვერ დაინახავს ცაზე!

შემდეგი ნომერი გამოვა 5 სექტემბერს

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com